

# ძეგლის მეგობარი

3

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია: «მატერიალური კულტურის ძეგლები»

*

# ძეგლის მეგობარი

10.371

კრებული მესამე

გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო»
თბილისი — 1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი გამოქვაბულები

სპელეოლოგია შედარებით ახალი მეცნიერებაა საერთოდ, და მით უმეტეს, ჩვენში. საქართველოს ხელოვნური და ბუნებრივი გამოქვაბულები და მღვიმეები ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოებას შეიცავს. რამდენიმე წლის წინათ თრეხვის მახლობლად ერთ სახიზარში იპოვეს სტელა, რომლის წარწერა ლეონტი მროველს ეკუთვნის. ამ წარწერით საბოლოოდ გაირკვა ლეონტი მროველის ცხოვრების წლები. სამსარის გამოქვაბულში ამოკვეთილი წარწერით ზუსტდება სარკინოზების მიერ ჯვარის მონასტრის დაწვა-აოხრება და სხვა. გამოქვაბულთა გეგმა-ზომიერი შესწავლა ჩვენი ისტორიის მრავალ, დღემდე უცნობ საკითხს მოჰფენს ნათელს.

ძეგლის მეგობრის მე-3 ნომერში მოთავსებული წერილები, ძირითადად, ჩვენს გამოქვაბულებს ეხება. იმედია, ეს წერილები კულტურის ძეგლის მეგობრებში ინტერესს აღძრავს და ისინი უფრო მეტად იზრუნებენ ამ დიდი მემკვიდრეობის დასაცავად.



ქვათახევი. XII-XIII ს.

გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

**სარედაქციო კოლეგია:** შალვა ამირანაშვილი, ანდრო აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, თენგიზ ბუაჩიძე, ლევან გოთუა, ლადო გუდიაშვილი, თეიმურაზ კანდელაკი, ნიკო კეცხოველი, ლევან მატარაძე, კოტე სოხაძე, ზაირა სტურუა, გიორგი ჩიტაია, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ლევან ხიმშიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზივი ბაფრინდაშვილი
არქიტექტურის კანდიდატი

# ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები

ქვაბთა ხუროთმოძღვრება ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების ფრიად მნიშვნელოვანი დარგია.

ქართველი ხალხი ხისა და ქვის ნაგებობათა გვერდით ფართოდ იყენებდა კლდეში ნაკვეთ ნაგებობებს. ამ სამივე დარგმა რამდენადმე ისტორიული განვითარების მსგავსი გზა განვლეს. თუმცა სამშენებლო მასალის სხვადასხვაობის შედეგად თვითოეული მათგანი განსხვავებული თავისებურებით გამოირჩევა. ამის შედეგია, ის რომ ქვაბთა კომპლექსებმა სრულიად თავისებური სახე შექმნეს ხუროთმოძღვრებაში.

თუ ხე და ქვა, როგორც სამშენებლო მასალა, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე წარმატებით გამოიყენება, კლდეში კვეთის ხელოვნება ისტორიულ წარსულში დარჩა.

საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ორმოცდაათი ათასი წლის წინათ, საზოგადოების განვითარების საწყის საფეხურზე, პირველყოფილი ადამიანი თავშესაფრად იყენებს ბუნებრივი წარმოშობის ქვაბებისა და კლდის ქიმებს. ამ ხანაში ადამიანს ჯერ კიდევ ძალა და უნარი არ შესწევს კლდე დაამუშაოს.

საქართველოში ადრე მონათმფლობელური სახელმწიფოების ჩამოყალიბების ხანიდან მოკიდებული ძვ. წ. აღ. VI—III სს., როდესაც რკინის კულტურის განვითარება უკვე განვლილი ეტაპია, ცალკეულ საცხოვრებელთა და სხვა არქიტექტურულ ნაგებობებთან ერთად კლდეში მასიურად იკვეთება ქვაბ-საცხოვრისები.

ამის შესანიშნავი მაგალითია ამავე ხანის კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი უფლისციხე.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ, ქვაბთა მშენებლობა ძირითადად დაკავშირებულია ე. წ. ,,სირიელ მამათა'' მოღვაწეობასთან (VI ს.). ეს არის უკვე ქვაბთა მშენებლობის ახალი წინმავალი განვითარების საფეხური, რომელიც გრძელდება განვითარებულ ფეოდალურ ხანაშიც XI—XIII სს. სწორედ ამ ხანის დასასრულს აღწევს იგი სრულყოფის უმაღლეს საფეხურს.

ქვაბთა გამოყენებას გვიანფეოდალურ ხანაშიც გაედევნება თვალი, თუმცა თვით კვეთის ტრადიცია საგრძნობლად შენელდა და, ძირითადად, უკვე არსებულ კომპლექსთა გადაკეთება-გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს.

ქართველი კაცის მარჯვენას რკინის საკვეთი იარაღების გამოყენებით კლდეში უკვეთია ეკლესიები და მონასტრები, კლდის სოფლები, nაირსახეობის გეგმის ქვაბ-საცხოვრისებით და რთული გვირაბული სამალავებით; აგრეთვე მრავლად გვხვდება ცალკეული სახიზარი კომპლექსები. იკვეთებოდა ბოსლები თუ საწნა-

ხელები, სამზარეულო და საპირფარეშოები, წისქვილები, წყალსადენები, სარწყავი არხები, წყალსაცავები და სხვა სამეურნეო ნაკვეთობანი, რაც ადამიანის ცხოვრებას უშუალოდ უკავშირდება.

კლდის ძეგლებიდან აუცილებელია დავასახელოთ მ ო ნ ა ს ტ რ ე ბ ი: დავით გარეჯა VI-XIII სს. (XVIII ს-მდე); შიო-მღვიმე VI-XIII სს., ვაჰანის ქვაბები VIII-XVI სს., პატარა სამსარი X ს. კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესიით; ს ა ხ ი ზ ა რ ი—თრეხვი (ქარელის რ-ნი) დათარიღებული სამშენებლო წარწერით 1066 წ.; კ ლ დ ი ს ს ო ფ ლ ე ბ ი: ვანის ქვაბები XI-XII სს.; ჭაჭკარი XI-XII სს. და ანანაური XI-XII სს. (ვარძიის ანსამბლში); ნასოფლარი პატარა სამსარის კლდის საერო საცხოვრისები—VIII-IX სს. და სხვა.

საქართველოს კლდეში ნაკვეთ ნაგებობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისტორიული ჯავახეთის ქვაბთა კომპლექსებს. მათი მიმოხილვით წარმოდგენა გვეძლევა არა მარტო ამ მხარის ქვაბების გარშემო, არამედ მათ მაგალითზე ქვაბთა თანდათანი განვითარების იმ საერთო სურათს ვეცნობით. რითაც ხასიათდებოდა ქვაბთა კვეთის ხელოვნება ფეოდალურ საქართველოში.

ამ მხარეში ქვაბთა ერთი ნაწილი მდ. მტკვრის ხეობაშია თავმოყრილი; მეორე ნაწილი კი ძირითადად მდ. ფარავნის წყლის (ჯავახეთის მტკვარი) ხეობასა და მის შენაკადებთან. ეს საინტერესო ქვაბთა სამყაროც სწორედ ხერთვისიდან იწყება ორივე მდინარის აყოლებით იქ, სადაც X საუკუნის ულამაზესი ციხე და სახიზარი გამოქვაბულებია.



ვარძია, მარანი.



ვარძია. საცხოვრებლის კარ-სარკმელი.

კლდეში ნაკვეთ ამ კომპლექსთა წარმოშობა-განვითარებას უმთავრესად ვხედავთ VIII-XIII სს. შორის, თუმცა ამ ქვაბების უმეტესობაში ცხოვრება და მოღვაწეობა XVI ს.-მდე გრძელდება.

ქვაბთა ერთი ჯგუფი ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი რ ე ლ ი გ ი ი ს ძ ე გ ლ ე ბ ი ა, რომელნიც სამონასტრო მოძრაობის შედეგად შეიქმნა (მონასტრები: ჭოლთა (ჯოლდა), მარგასტანი, გელსუნდა, ვერტაში, სადაყუდებულო, ვაჰანის ქვაბები, ვარძია. ბერთა ცალკეული საცხოვრისები: შორაღის თავი, მირაშხანი, ბერის ხევი და სხვ.); მეორე ჯგუფი კი საერო ქვაბ-სადგომებია (სახიზრები: გელსუნდა-III, ხერთვისი, თმოგვი, კორის ხევი, მგლის ხევი, ახალი ნავარძიევი,

ზერთაყანა და სხვ.; გლეხის ცალკეული ქვაბ-საცხოვრისები; ახჩია, ფია, [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა
ვარძია; კლდის სოფლები: ანანაური, ჭაჭკარი, ვანის ქვაბები და სხვ.)

ყოველი დანიშნულების კლდის ძეგლი გარკვეულ, მტკიცედ ჩამოყალიბებულ, ხერხებს ემორჩილება. ეს კი მკვეთრად მიჯნავს სხვადასხვა ფუნქციის ქვაბებს. მაგალითად, სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს ეკლესიასთან დაკავშირებულ საცხოვრისებს და საზოგადოებრივი დანიშნულების ქვაბებს. საერო ქვაბ-საცხოვრისი სხვა ნიშნების გარდა შედგება ადამიანისა და საქონლის სადგომის—ბოსლის ერთ სახლში გაერთიანებით; ანდა გლეხის დარბაზი გვირგვინული განათებით ჭერში; სახიზარი კომპლექსები კი, უმთავრესად, მიუდგომელ სიმაღლეზე გაფანტული ქვაბებია, ურთიერთდაკავშირებულნი კლდის სიღრმეში გვირაბებით, ერდოებით, ვიწრო ოროკისებითა და თაროებით.

ზემოთ ჩამოთვლილი საერო თუ საკულტო ძეგლები ამ ტრადიციულ სქემაზე დამყარებით თავისთავად ნაირსახეობის ნიმუშებად არის წარმოდგენილი.

საერთო მასშტაბი, არქიტექტურული კომპოზიცია, ქვაბთა შიგა სივრცის თავისებურებანი და დამუშავების არქიტექტურული ხერხები, რაც ამა თუ იმ ეპოქის სამშენებლო ხერხებისა და ცხოვრების სპეციფიკური თვისებებიდან გამომდინარეობს, ძეგლებს აახლოებს ანდა მიჯნავს ერთმანეთისაგან.

ჯავახეთის ქვაბთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს ამოვხსნათ ქვაბსადგომთა გეგმარების შიგა ორგანიზაცია და მოწყობილობის ხალხური ტრადიციები, სამშენებლო ხელოვნების ამ დარგის თანდათანი განვითარების საფეხურები და მისი ურთიერთდამოკიდებულება მშენებლობის სხვა დარგებთან, რომელთა გავლენა ხშირად იგრძნობა კლდის ძეგლებში.


ვარძია. სატრაპეზო.

ძველი ქართული საცხოვრისის თავისებურებათა ირგვლივ მცირე მასალა გვაჩნია, რადგან მრავალი იმდროინდელი ხისა და ქვის ნაგებობა დაღუპულია, ან ნანგრევების სახითაა ჩვენამდე მოღწეული, ზოგი კი მიწის ქვეშაა და გამომზეურებას მოელის. ამიტომ გასაგებია ის მნიშვნელობა, რაც კლდეში გამოკაფულ ქვაბ-საცხოვრისის ნიმუშებს ეკისრებათ.

სხვას რომ თავი დავანებოთ, რად ღირს VIII-IX სს. და XI-XII სს. სამსარსა და ჭაჭკარში არსებული კლდეში ნაკვეთი გლეხის საცხოვრებელი დარბაზული სახლები, ამ სახის საცხოვრისისათვის დამახასიათებელი გვირგვინული განათებით ჭერში. ეს კლდის დარბაზები უნიკალური ძეგლებია, ლიკანის კოშკის ხევის ქვის დარბაზებთან ერთად. მსგავსი საცხოვრისების არსებობა წერილობით დასტურდება ჯერ კიდევ ამ ოცი საუკუნის წინ. ამჟამად შემორჩენილი საცხოვრებელი ხის დარბაზები კი მხოლოდ XVIII-XIX ს-საა.

ანდა რა შესანიშნავად არის დაგეგმილი და რა მაღალ ჰიგიენურ მოთხოვნილებამდეა აყვანილი ნასოფლარ ფიის გლეხის კლდის სახლები X-XI სს. აქ არსებულ სამივე სახლს გააჩნია: საცხოვრებელი, სამზარეულო, წყალსაცავი და

საპირფარეშო, ურთიერთდაკავშირებულნი დერეფნით. საცხოვრებლებს აქვთ ჭიშკარი და თავდაცვითი გამაგრებისა და სათვალთვალო საშუალებანი. ასე რომ, აქ არა თუ ქვაბ-საცხოვრისთა ნაირსახეობასა და სპეციფიკას ვეცნობით, არამედ მათი საშუალებით იმავე დროის საცხოვრებელთა საერთო განვითარებას გაედევნება თვალი.

ავიღოთ მაგალითად, ჭოლთა-მარგასტანი VIII-IX სს., ვაჰანის ქვაბები, ვარძია XI-XIII სს. ეს ძეგლები სამონასტრო კომპლექსებია. პირველი ორი ერთიარუსიანი მცირე მონასტრებია. აქ ერთი სახეობის თითო მცირე ფართის ქვაბსენაკებია ეკლესიასთან განლაგებულნი. ამასთან მათ კლდის სიღრმეში, მაღალზე გამოკვეთილი სამალავები გააჩნიათ. თვით ქვაბ-სენაკები კი ხასიათდებიან



პატარა სამსარი. კლდეში ნაკვეთი დარბაზი. ინტერიერი.
გვირგვინული გადახურვა დედა-ბოძით. ნახ. გ. გაფრინდაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვარძია

ფოტო ს. შიმანსკისა

შემთხვევითი და ოვალური მოხაზულობით, კედლის ზედაპირის უხეში დამუშავებით და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჰანის ქვაბები და ვარძია კი მიუხედავად იმისა, რომ ჭოლთისა დ[illegible]გასტანის ტრადიციული სქემა მათაც საფუძვლად უდევთ, კერძოდ ეკლესია და მასთან განლაგებული ქვაბ-სენაკები ერთ კომპლექსად, მაინც მათ შორის მკვეთრი განსხვავებანია. ვაჰანის ქვაბთა და ვარძიის დიდი მასშტაბი, ეკლესიის მოცულობის გაზრდა და კედლის მხატვრობით გამოყოფა, ცალკეულ საცხოვრებელთა გართულება და მრავალსახეობა, დამატებითი მცირე კანონიკური ეკლესიების ჩამოყალიბება, საცხოვრებელთან დამხმარე საციო-საკუჭნაოს შექმნა, საცხოვრებელთა კედლის ზედაპირის სუფთა დამუშავება, თავდაცვით-სახიზარ ნაკვეთობათა გართულება-ნაირსახეობა, რაც XI-XIII სს. ახასიათებს, განასხვავებს მას VIII-IX სს.



პატარა სამსარი. ქვაბთა საერთო ხედი.

ფოტო გ. გაფრინდაშვილისა.

მონასტრის მსგავსად საერო კლდის ძეგლებშიც ნაირსახეობის საცხოვრისებია მოცემული—უმარტივესი სახეობიდან რთულის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ არა თუ სხვადასხვა ეპოქის, არამედ თვით ერთი ხანის ქვაბ-საცხოვრებელთა შორისაც გვხვდება არქიტექტურულ-კომპოზიციური მიდგომის ესა თუ ის განმასხვავებელი თავისებურებანი, თუმცა ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნების მსგავსება მათ უთუოდ გააჩნიათ. ეს ეხება ორივე ტიპის საცხოვრისებს, ბერისაა იგი თუ გლეხის, მონასტრისაა თუ სოფლის.

მაგალითად, ნასოფლარ ფიის გლეხის კლდის სახლები X-XI სს. და მირაშხანის ბერის ქვაბ-საცხოვრისი XI ს. პირველი რთული საცხოვრისია, სადაც

მოცემულია საერთო ფართის დანაწევრება უბე-ფართებად და ცალკე დანიშნულებისათვის გამოყოფილ სადგომებად. მირაშხანის საცხოვრისიც უბე-ფართებია-და მოცემული, თუმცა აქ ფიის სახლების მსგავსად მტკიცედ ჩამოყალიბებული და გამიჯნული ცალკეული სადგომები არ არის მოცემული. არქიტექტურული გეგმარების სქემაც სრულიად სხვაა.

მიუხედავად ამისა, ეპოქის დამახასიათებელი სამშენებლო არქიტექტურული ხერხი-გარკვეული დანიშნულებისათვის გამოყოფილი უბე-ფართები ერთ საერთო მოცულობაში, რაც საწყისი საფეხურია მათი ცალკე სათავსოებად ჩამოყალიბებისა, ორივე საცხოვრებელშია ასახული. ასევე მსგავსია ჭერისა და კედლების ბრტყელი და შემთხვევითი ფორმები, კლდის ზედაპირის რამდენადმე უხეში დამუშავება და სხვ. ამის მაგალითი მრავალია.

XI-XII სს. საერო და სამონასტრო ქვაბ-საცხოვრისთა დაახლოება ხდება. მონასტრებშიც თანდათან იკიდებს ფეხს საერო ცხოვრების წესები. მონასტრები უკვე მძლავრ ფეოდალურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ამის შედეგია ის, რომ როგორც საერო, ისე სამონასტრო ქვაბ-საცხოვრისებში განსხვავებული ტიპებია წარმოდგენილი. მათში ასახულია ის სოციალური უთანაბრობის სურათი, რაც ამ ეპოქის მონასტრებსა და სოფლებში არსებობდა. ამის მაგალითია, ერთის მხრივ, ნასოფლარ ფიის ქვაბ-საცხოვრისები და სოფელ ჭაჭკარის მარტივი ქვაბ-საცხოვრისები და სხვ. ასევეა მონასტრებშიც, სადაც მარტივი და რთული ქვაბ-საცხოვრისებია დაგეგმარებული. მაგ., ვაჰანის ქვაბები და ვარძია.

აღნიშნული კლდის ძეგლები სრულიად ახალ მასალას იძლევა ფეოდალური საქართველოს ისტორიის, ხელოვნების, დამწერლობისა და ხალხური სამშენებლო ხელოვნების შესასწავლად.

ჯავახეთის კლდის ძეგლებმა შემოგვინახა ძველი ქართული დამწერლობის არაერთი საყურადღებო ნიმუში. ეს წარწერები ძირითადად ათარიღებს ამა თუ იმ კლდის ძეგლს, რაც სხვა მასალათა გვერდით, საერთოდ, სამშენებლო ხერხების დადგენის საშუალებას გვაძლევს. ამის მეოხებით კი თვალი გაედევნება ქვაბთა მშენებლობის ისტორიულ განვითარებას საქართველოში.

საქართველოს ისტორიის არაერთ საინტერესო საკითხს ჰფენს შუქს კლდეზე ამოკვეთილი ეს ,,ქართლის ცხოვრების'' დაფანტული ფურცლები. აფართოებს და აზუსტებს მატიანეებში მოთხრობილ ამა თუ იმ ამბავს. კლდეზე შემორჩენილმა წარწერების ერთმა ნაწილმა ქართული დამწერლობის ცალკეული საფეხურების არაერთი სადაო საკითხი გადაწყვიტა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეპიგრაფიკის საერთო განვითარების საქმეში.

ავიღოთ თუნდაც თერთმეტ-თერთმეტ სტრიქონიანი წარწერები სამსარისა და მირაშხანის ქვაბებიდან.

,,მატიანე ქართლისაი'' მოგვითხრობს, რომ X ს.-ის 20-30-იან წლებში სარკინოზებმა ,,მოტყუენეს კახეთი და დაწუეს ჯუარი და მცხეთა, და შეიქცეს; და წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი''. ეს წმინდა ნინოს მიერ აღმართული ის ჯვარია, რომლის ,,სასწაულმოქმედი'' სახელი საქართველოს ფარგლებს გასცილდა.

სამსარის კლდეზე ამოკვეთილი წარწერის აღდგენილ ძირითად ნაწილში კი ვკითხულობთ, რომ ,,...მაშინ დავწერე ოდეს მცხეთისა ეკლესიაი დაწუეს და წმინდა ნინოის ხელი ტყვედ წარიტანეს''. ე. ი. სამსარის წარწერით ირკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, რომ აუოხრებიათ არა მცხეთა, არამედ დაუწვავთ მხოლოდ მცხეთის ეკლესია ჯვრისა, რადგან სწორედ იქ იყო წმ. ნინოს მიერ აღმართული ,,ჯვარი პატიოსანი'' რომელიც სამსარის წარწერაშიც ასევეა დასახელებული, როგორც ,,ნინოს ხელი''. ამას ის პრინციპული მნიშვნელობა აქვს რომ ,,მატიანე ქართლისაი''-ს სხვა ვარიანტით მართლაც ისე გამოდის, რომ სარკინოზები ქალაქ მცხეთაში არ მოსულან, არამედ კახეთის აოხრების შემდეგ მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე გამოსულან და ჯვრის ეკლესია დაუწვავთ. ასე, რომ სამეცნიერო წრეში ამ სადაო საკითხს ხსნის სამსარის წარწერა. გარდა ამისა, სამსარის წარწერა დღეისათვის ერთადერთი თარიღიანი და ყველაზე ადრეული ეპიგრაფიკული ძეგლია X ს-ის 20-30 იანი წლებისა, სადაც მოცემულია არა თუ ასომთავრული და ნუსხური ასოების აღრევა, არამედ, საერთოდ, ნუსხური დაწერილობის გავლენა იგრძნობა თვით ასომთავრულ ასოთა მოხაზულობაში. ამიტომ აქაც, ის სადაო საკითხი, თუ ეპიგრაფიკაში როდის იკიდებს ფეხს ნუსხური დამწერლობა IX ს. თუ X-XI სს. აღნიშნული წარწერით პირველის სასარგებლოდ წყდება. აქ აღარას ვამბობთ ამ წარწერის შინაარსისა და თარიღის მნიშვნელობაზე თვით ქვაბთა მონასტრისათვის.

თუ სამსარის წარწერები დიდმნიშვნელოვანია ასომთავრულ-ნუსხური დამწერლობის სათავეების გარკვევისათვის, სამაგიეროდ, მირაშხანის ქვაბის კედელზე ამოკვეთილი წარწერა არანაკლებ მნიშვნელოვანია მხედრული დამწერლობის ჩამოყალიბების გასარკვევად. XI ს. წარწერა შერეული დამწერლობის იშვიათი ნიმუშია. აქ მოცემულია ასომთავრულ-ნუსხურთან ერთად, მხედრული ასოები. ეს წარწერა თარიღდება 1065 წლით, რადგან მოთხრობილია თურქ-სელჯუკების ჯავახეთში შემოსევა და ახალქალაქის აოხრება. მაგრამ თუ ამ შემოსევის შესახებ წერილობით წყაროებში არაა აღნიშნული ბრძოლაში მონაწილე მესხ აზნაურთა ვინაობა, მირაშხანის წარწერიდან ჩანს, რომ ახალქალაქის ციხეში გამაგრებულ მესხ აზნაურთა შორის ყოფილა ფარსმან თმოგველი ერისთავთ-ერისთავი, რომელსაც თავი შეუწირავს სამშობლოსათვის. ამ ძლიერი ფეოდალის ცხოვრების უკანასკნელი დღეები მხოლოდ მირაშხანის წარწერაშია მოცემული.

ჩვენ აქ შევჩერდით ქვაბთა ზოგიერთ ძირითად საკითხზე, შევეხეთ ორიოდე მნიშვნელოვან წარწერასაც. მაგრამ ამ ქვაბთა შესწავლისას სხვა მრავალი საინტერესო საკითხებიც იყრის თავს ქართული ეროვნული კულტურის სფეროდან. ნათქვამიც საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლდის ძეგლებს ფეოდალური საქართველოს ყოფისა და კულტურის ისტორიის წარმოსაჩენად.



ბოლნისი. V ს.

შალვა ამირანაშვილი
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარძიის მთავარი ტაძრის კედლის-მხატვრობა

თამარ მეფის ეპოქის მხატვრობათა შორის ყველაზე ადრეული და ამავე დროს მხატვრული ღირებულებით უმნიშვნელოვანესია ვარძიის კლდეში გამოკვეთილი მთავარი ტაძრის ფრესკული მოხატულობა.

საკურთხევლის კონქში ტრადიციის მიხედვით გამოსახულია ღვთისმშობელი ძითურთ, მთავარანგელოზთა შორის, ვარსკვლავებით შემკულ მუქ ლურჯ ფონზე. მხატვრობის ქვემო რიგში მოთავსებულია მთელი ტანით, გაშლილი გრაგნილებით ხელში მღვდელმთავრები ტრადიციულ სამოსლებში; ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია: იოანე ოქროპირი, ნიკოლოზი, იოანე მოწყალე, ელევთერი, ათანასე და კირილე (ალექსანდრიელი); სამხრეთისაზე კი: ბასილ დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, პეტრე ალექსანდრიელი, ევპლოსი, მიტროფანე, სილიბისტრო, ლავრენტიოსი და გერმანოსი. სარკმელებში გამოსახულია წმ. მხედრები: გიორგი, ნესტორი, პროკოპი და მერკური.

ახალი აღთქმის ციკლს უკავია ტაძრის თაღები. დასავლეთის კედელი მთლიანად და სამხრეთის კედლის ნაწილი; სულ თოთხმეტი კომპოზიციაა მოცემული: ხარება, ქრისტეს შობა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმში შესვლა (ბზობა), საიდუმლო სერობა, ფერხთა ბანა, ჯვარცმა, ჯოჯოხეთს წარტყვევნა, ამაღლება, სული წმინდის მოფენა და ღვთისმშობლის მიძინება.

ყველა დამახასიათებელი დეტალით ღია კარიბჭის კედელზე მოთავსებულია დღე განკითხვის (მეორედ მოსვლის) კომპოზიცია.

ისე, როგორც ატენის ტაძრის მხატვრობაში, დიდი ადგილი უჭირავს „მართალთა“ სამოთხეში სვლას, სადაც ცალკე გუნდებად გამოსახულია: წმ. დედანი, მამანი ანტონის მეთაურობით, მოწამენი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მღვდელთმოძღვარნი და სხვ. დასავლეთ კედელზე გამოსახულია „წიაღი აბრაამისა“, ცალკე გამოყოფილია ჯოჯოხეთური წამებანი. კარიბჭის თაღში გამოსახულია ანგელოზი გაშლილი გრაგნილით, ხოლო კონქში—ვედრება. კარიბჭის დასავლეთ კედელზე გამოსახულია სტეფანე პირველმოწამის მოსვენება და გოლგოთის ჯვრის „პოვნა“.

ტაძრის კამარებზე, პილასტრებისა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია წმინდანები. შესავლის კართან სამხრეთის პილასტრზე გამოსახულია წმ. ნინო.

ტრადიციული სიუჟეტების გადმოცემაში ემოციური მომენტების აქცენტირებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ კედლის-მხატვრობაში. XII ს. მეორე ნახევარში სავსებით ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება, რომელიც ფსიქოლოგიურ დახასიათებას თვითოეული სიუჟეტის, მთავარ პერსონაჟების განცდის მხატვრულ ასახვას სათანადო ყურადღებას აქცევს. ახალმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თამარ მეფე.

ვარძიის ფრესკა.

მხატვრულმა მიმართულებამ ცხოველმყოფელი ნაკადი შეიტანა ტრადიციული თემების იკონოგრაფიაში. წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს მოციქულთა სახეებზე აღბეჭდილი მწუხარება „ფერხთაბანა“-ს კომპოზიციაში, რა დიდი და ჩუმი გლოვაა, რაოდენ ადამიანური განცდაა აღბეჭდილი მოციქულთა სახეებზე ღვთისმშობლის მიძინების კომპოზიციაში, სადაც მხატვარს მოციქულთა მგლოვიარე დასი ინტიმურად განწყობილ ჯგუფებად გაუნაწილებია. ღვთისმშობლის ფაქიზად მოხაზული სახის მშვიდი ნაკვეთები, თვალები, რომელნიც სავსებით დახუჭული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მათ სიკვდილის სუნთქვა უკვე შეეხო, მაყურებელზე წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს. ჯვარცმა გამოირჩევა ჭეშმარიტი დრამატიზმით. ქრისტე გაკრული ჯვარზე უკვე მკვდარია, თავი უმწეოდ დახრილი აქვს, ტანი სიმძიმის გამო მოხრილია და მკლავებზეა ჩამოწოლილი. ჯვრის ზემოთ მგლოვიარე ანგელოზებია. ღვთისმშობელი არ ევედრება თავის ძეს—მაცხოვარს... იგი განიცდის უსაზღვრო მწუხარებას, დასტირის შვილს, იგი მგლოვიარე დედაა. ქართულ ხელოვნებაში ძირიანად შეიცვალა ჯვარცმის რელიგიურ-დოგმატური გაგება. იგი გამოხატავს ადამიანის განუსაზღვრელ მწუხარებას. რელიგიური ხელოვნების ტრადიციული იკონოგრაფია შეიცვალა. ადამიანის განცდის თემა ძლიერი ნაკადით შეიჭრა სახვით ხელოვნებაში.

ვარძიის მოხატულობის ყველა კომპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არქიტექტურულსა და მთების პეიზაჟს, რომელსაც პირობითი ხასიათი აქვს. მათი საშუალებით კომპოზიცია ერთგვარი სიღრმისა და მოცულობით შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ერთსა და იმავე კომპოზიციაში გამოყენებულია სწორი და შებრუნებული კომპოზიცია და მხედველობის სხვადასხვა წერტილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მხატვრის მიერ მთები უფრო რეალისტურად არის გადმოცემული, ვიდრე ბიზანტიურსა და ძველ რუსულ ხელოვნებაში. მთების ფორმა და ფერადოვნება, კლდეებსა და ნაპრალებში ხეების განლაგება ვარძიის მხატვრობაში იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი მხატვარი აკვირდებოდა სინამდვილეს და ცდილობდა გადმოეცა იგი რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, განვითარებული რელიგიური ხელოვნების ტრადიციის ფარგლებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წმ. სტეფანეს ნეშტის (ნაწილების) გადმოსვენების კომპოზიციაში მხატვარმა, ტრადიციული ეტლის ნაცვლად, ქართული ურემი დახატა. ამით მან დაარღვია დაკანონებული იკონოგრაფიული ტრადიცია და ახალი შტრიხი შეიტანა.

ვარძიის მოხატულობა თავისი ეპოქის მხატვრული კულტურის მაღალ საფეხურზე დგას. მას ახასიათებს პროგრესიული ხასიათის მიღწევა, რომელმაც გაამდიდრა ქართული კედლის-მხატვრობის შინაარსი, ახალი ცხოველმყოფელი ნაკადი შეიტანა ქართული მხატვრული კულტურის ისტორიაში.

ვარძიის მოხატულობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ისტორიულ პირთა გამოსახულებას. ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ განაკვეთზე მოთავსებულია გიორგი მესამისა და თამარ მეფის პორტრეტული გამოსახულებანი. ორივე მეფე წარმოდგენილია „ვარძიის ღვთისმშობლის“ წინაშე, რომელსაც „წიაღში“ ყრმა ჰყავს. კომპოზიციას აგვირგვინებს მფრინავი ანგელოზი, რომელსაც ხელში სამეფო გვირგვინი უჭირავს. თამარ მეფეს, თანახმად მიღებული წესისა, აცვია

მამაკაცის სამეფო შესამოსელი და არა დედოფლის (იხ. ბეთანია, ყინცვისი, ბერთ-უბანი). მხოლოდ თავსაბურავის დეტალები, თმის გაკეთების წესი, სამკაულები, მანიაკი გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ქალის გამოსახულებასთან. ეს სავსებით გამართლებულია, ვინაიდან თამარ მეფე იმ დროსაც კი, როდესაც იგი დავით სოსლანის მეუღლე იყო, მეფეთა-მეფის ტიტულით მოიხსენებოდა. სახელმწიფო მმართველობის აღმნიშვნელი ყველა აქტი, როგორიც იყო ჯარების შეკრება, სალაშქროდ გაგზავნა და სხვა, მხოლოდ თამარ მეფის უშუალო ბრძანებით სრულდება. ისტორიულ წარწერებში და დოკუმენტებში თამარი ყოველთვის იხსენიება მეფეთა-მეფის ტიტულით, ხოლო გამონაკლისის სახით მეფედ და დედოფლად (იხ. თამარ მეფის ჯვრის წარწერა, საქ. ხელოვნების მუზეუმი).

თამარ მეფის თავსაბურავის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ის ჯერ გაუთხოვარი იყო, რადგანაც მას „საყბეური" არა აქვს. ეს წესი უძველესი დროიდან მომდინარეობს, იგი დადასტურებულია წერილობითი წყაროების მოწმობით და ისტორიული პირების პორტრეტული მხატვრობით. თამარ მეფის სხვა პორტრეტულ გამოსახულებაში (ბეთანია, ყინცვისი, ბერთუბანი), სადაც იგი გამოსახულია გიორგი ლაშასთან, მას „საყბეური" აქვს.

ფრესკული წარწერის შინაარსი საშუალებას გვაძლევს ვარძიის კედლის მხატვრობა ზუსტად დავათარიღოთ. გიორგი მეფის გამოსახულებას თან ახლავს ასომთავრული წარწერა: „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე გიორგი ძე დემეტრე მეფეთა მეფისა". თამარ მეფის გამოსახულებას აქვს შემდეგი წარწერა: „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე, შვილი გიორგისა თამარ, რომელი მრავალჟამეულობსმცა". აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თამარ მეფეს არა აქვს ტიტული „დედოფალთ-დედოფალი", ვინაიდან თამარი ჯერ დაქორწინებული არ იყო. წარწერის ბოლო ნაწილი „რომელი მრავალჟამეულობსმცა" მიგვითითებს, რომ გიორგი III უკვე ცოცხალი არ იყო, თამარს კი ეჭირა სამეფო ტახტი. მხატვრობა შესრულებულია არა უადრეს 1184 წ. 27 მარტისა (გიორგი III გარდაცვალების თარიღი) და არა უგვიანეს 1186 წლისა. გიორგი მეფის გარდაცვალებიდან ერთი წელი გაგრძელდა გლოვა, რის შემდეგ უკვე მოხდა თამარ მეფისა და გიორგი რუსის ქორწინება, ე. ი. 1186 წ.

ამრიგად, ვარძიის კედლის მხატვრობა შესრულებულია 1184—1186 წ. წ.

ვარძიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე შესასვლელი კარის პირდაპირ მთელი ტანით გამოსახულია საერო პირი ვედრების პოზაში, რომელსაც მაღალი თავსაბურავი აქვს. თავსაბურავს ახლო პარალელი მოეპოვება დავით-გარეჯის ერთ-ერთ გამოქვაბულის XI-XII სს. კედლის-მხატვრობაში, სადაც გამოსახულია რუსთავის ერისთავი ბუბაქარი. წარწერა დაზიანებულია, ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზის გამო, ძველად ყოფილა დაზიანებული გამოსახულების პირისახე. მესამე სტრიქონში იკითხება, რომ აქ გამოსახული პირი ქართლის ერისთავის ტიტულს ატარებდა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. ტაძრის სამხრეთ კედელზე ჯოჯოხეთის წარტყვევნის კომპოზიციის ქვემოთ გამოსახულია „ეშმაკის განსხმა", სიუჟეტი, რომელიც არცერთ ქართულ კედლის-მხატვრობაში არ არის დღემდე ცნობილი. კომპოზიციის ცენტრში ეშმაკთა „მთავრის" ტახტია, რომლის მახლობლად ტახტიდან ჩამოგდებულ ეშმაკს ანგელოზი ებრძვის.

ეშმაკთა ,,მთავარი'' პირიდან ცეცხლს აფრქვევს. მეორე ანგელოზი ჯოჯოხეთის განსახიერებას ბორკავს. ქვესკნელის განსახიერებასთან ანგელოზთა ბრძოლა შესრულებულია გასაოცარი ექსპესიით. ამ თემის შეტანა ვარძიის კედლის-მხატვრობაში, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს დემნას განდგომილების შთაბეჭდილების ქვეშ...

ვარძიის ტაძრის მოხატულობა წარმოადგენს ქართული ხელოვნების ნამდვილ საუნჯეს, რომლის სათანადო განმარტებით ღირსეული გამოქვეყნება წარმოადგენს ჩვენი მეცნიერების საპატიო ამოცანას.



ბოლნისი. V ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შერმადინ ონიანი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

# მივხედოთ ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს

„ძნელია ოხვრა არ აღმოგხდეთ და არ აღშფოთდეთ, როცა იხილავთ იმ უამრავ დაზიანებას და დასახიჩრებას, რაც ჟამთა ბრუნვასა და ადამიანებს მიუყენებიათ ამ ღირსშესანიშნავი ძეგლისათვის".

ვ. ჰიუგო „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი".

ძველი ქართული კულტურის ზოგიერთი ძეგლი საგანგებო მზრუნველობასა და მოვლა-პატრონობას საჭიროებს. ერთ-ერთი ასეთი ძეგლი ვანის ქვაბთა მონასტერია თავისი პოეტური წარწერებით. სამწუხაროდ, მათი ერთი ნაწილი ბარბაროსულად დაუმახინჯებიათ აქ შემთხვევით მოხვედრილ უმეცარ პირებს. ჯერ მოკლედ თვითონ ვანის ქვაბთა მონასტრის შესახებ.

ვანის ქვაბთა მონასტერი, რომელიც ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია, მდებარეობს მესხეთში, ვარძიასა და თმოგვს შუა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვარძიის ქვევით, მისგან სამი კილომეტრის დაშორებით. ეს სამი ძეგლი ქმნის თავისებურ სამკუთხედს. ვარძიის მსგავსად ვანის ქვაბთა მონასტერიც ფრიალო კლდეშია გამოკვეთილი. მისი ნანგრევები დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებენ მნახველებზე.

ვანის ქვაბთა მონასტერი წერილობით წყაროებში იხსენიება XII საუკუნიდან. თავდაპირველად ის სამეფო მონასტერი ყოფილა. მის ნანგრევებში ნაპოვნი ერთი წარწერის მიხედვით, 1204 წელს ვანის ქვაბთა მონასტრისათვის ზღუდე აუშენებია თამარ მეფის ვაზირს ანტონ ჭყონდიდელს. ამის შემდეგ, თმოგვის ციხე-სიმაგრესთან ერთად, მალე ეს მონასტერიც საპატრონოდ გადაუციათ მხარგრძელებისათვის, რომლებიც ამიერიდან თმოგველებად იწოდებიან. დაახლოებით 1204-1234 წლებში თმოგველთა საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელს, ერისთავთ-ერისთავ მხარგრძელს, ვანის ქვაბთა მონასტრისათვის შეუდგენია სპეციალური წესი და განგება ანუ ტიბიკონი. XIV საუკუნეში თმოგველებს დაუტოვებიათ ეს კუთხე და სხვაგან გადასულან. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან XVI საუკუნემდე ვანის ქვაბთა მონასტრის პატრონებად სხვა გვარეულობანი ჩანან: ღარიბასძენი, სამცხის ათაბაგები და რჩეულაშვილები. ისინი იხსენიებიან თვითონ ვანის ქვაბთა მონასტრის განგების მინაწერებში.

ვანის ქვაბთა მონასტერს სისხლიანი ისტორია აქვს. 1552 წელს, ირანის ბრძანებელს შაჰ-თამაზს,სამცხე-საათაბაგოში ლაშქრობის დროს სასტიკად მოუოხრებია ვარძიის დიდებული მონასტერი და ვანის ქვაბები. იგივე ისტორია განმეორებულა 1576 წელსაც, როდესაც მესხეთ-ჯავახეთის დიდებულები აუჯანყ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვანის ქვაბები.

ფოტო ი. ზენკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ ათაბაგებს. ამჯერად უკვე თვითონ სამცხის ათაბაგს აუოხრებია ვანის ქვაბთა მონასტერი თმოგვის ციხე-სიმაგრესთან ერთად.

ვანის ქვაბთა მონასტრის მიმართ მთელი თავისი სიმკაცრე გამოუჩენია ბუნების სტიქიასაც. ფრიალო კლდეში გამოკვეთილი, ოდესღაც დიდებული მონასტერი ამჯერად თითქმის მთლიანად დანგრეულია. მონასტრის ეზო და გამოქვაბულთა დიდი ნაწილი დაფარული და ამოვსებულია კლდის ნამსხვრევებითა და ქვა-ღორღით. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დარჩენილი თქმულებით ვანის ქვაბთა მონასტერი ჩამოქცეულა ძლიერი მიწისძვრის შედეგად, აღდგომა დღეს. მას თან ჩაუთრევია აქ სალოცავად მოსული დიდძალი ხალხი, რომელთა შორისაც თითქოს ყოფილა 7 წყვილი პატარძალი. ეს გადმოცემა მართლდება ფაქტიური მონაცემებითაც: გ. გაფრინდაშვილს სახელდახელოდ გაუთხრია ჩამონგრეული მონასტრის დიდი ეკლესიის ერთი ადგილი და წარწერიან ქვასთან ერთად უნახავს ადამიანთა ძვლებიც.

ვანის ქვაბთა მონასტერი თავდაპირველად მამათა მონასტერი იყო. ამიტომ ერისთავთ-ერისთავი მხარგრძელი თავის ტიბიკონში კატეგორიულად კრძალავს მონასტერში ქალის შეშვებას. შემდეგ საუკუნეებში საქმის ვითარება ძირეულად შეცვლილა. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან ვანის ქვაბთა მონასტერს უკვე ჰქონია დედათა განყოფილებაც. ჩვენი აზრით, ეს განყოფილება უნდა ყოფილიყო გამოქვაბულთა ყველაზე მაღალ იარუსში, რომლის დიდი ნაწილიც ამჯერად ჩამონგრეულია. საბედნიეროდ, ჟამთა სიავესა და ბუნების სტიქიას რაღაც სასწაულებრივად გადარჩენია ამავე იარუსზე, ჩრდილოეთის მხარეს მოთავსებული გამოქვაბულთა მცირე ჯგუფი. მათში ყურადღებას იქცევს თეთრად შელესილი ჯვრის ტიპის ერთი პატარა გუმბათიანი ეკლესია, აღმოსავლეთის მხრიდან პირდაპირ კლდეში ჩაშენებული. ის შედარებით უკეთესად არის დაცული. ვანის ქვაბთა მონასტრის ნანგრევების ფონზე მისი თეთრი სილუეტი ქმნის ერთგვარ კონტრასტს და შორიდანვე იზიდავს მნახველის თვალს. ეს პატარა ეკლესია, მასთან მდებარე სხვა შენობებთან ერთად, უნდა წარმოადგენდეს დედათა სამყოფელის ნაშთს. ამას ადასტურებს ისიც, რომ მის კედლებზე მოთავსებული წარწერები შესრულებულია ქალების მიერ. გამოქვაბულთა ეს სართული საგანგებოდ არის გამოყოფილი სხვა იარუსებისაგან კლდეში გაჭრილი საიდუმლო გვირაბებითა და ხვრელებით, რაც მას ძნელად მისასვლელს ხდის. ვანის ქვაბთა მონასტრის ეს პატარა ეკლესია განსაკუთრებით საინტერესოა. მისი კედლები თითქმის მთლიანად დაფარულია XV საუკუნის მხედრული წარწერებითა და ლამაზად შესრულებული ნახატებით, რომლებიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველებზე. ამჯერად ისინი წარმოადგენენ ვანის ქვაბთა მონასტრის მთავარ სიმდიდრეს.

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები განსაკუთრებით საინტერესოა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. მათში პროზაული სახით მოყვანილია XII-XV საუკუნეების ქართული პოეზიის ნიმუშები, როგორც ლიტერატურული, ისე ფოლკლორული. ლირიკული ლექსების გვერდით წარწერებში ვპოულობთ ეპიკურ თხზულებათა ფრაგმენტებს, როგორიც არის, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ და საბაშვილის მიერ გალექსილი „როსტომიანი“. ეს ლექსები ეკლესიის კედლებზე ზეპირად წარუწერიათ ვანის ქვაბთა მონასტრის ბინადარ ქალებს. ლექსების უმრავლესობა სატრფიალო ხასიათისაა და გადმოგვცემს მიჯ-

ნურის განშორებით გამოწვეულ სევდასა და ნაღველს. წარწერათა შემსრულე-ბელ ქალებს მათი საშუალებით გამოუხატავთ თავიანთი წრფელი გულისნადე-ბი. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ანა რჩეულაშვილის წარწერაში დამახინ-ჯებული სახით მოყვანილი ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ ორი სტროფი (სტრ. 1300-1301), ამოღებული ნესტანის სატრფიალო წერილიდან, რომელსაც ის ქაჯეთის ციხიდან უგზავნის თავის მიჯნურ ტარიელს. პოემის საიუბილეო გამოცემაში ეს სტრო-ფები ასეა წარმოდგენილი:

,,ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
და მათთა შებმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან‘‘.

,,ნუთუ ესენი გეგონნეს სხვათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
და მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!‘‘

ანა რჩეულაშვილს რუსთაველის ამ სტროფების მოყვანით ვანის ქვაბთა მონასტერი ქაჯეთის ციხისთვის შეუდარებია. ეს შედარება არ არის საფუძველს მოკლებული. ქაჯეთის მსგავსად ეს მონასტერიც ფრიალო კლდეშია გამოკვე-თილი, გვირაბებითა და საიდუმლო ხვრელებით დაქსელილი. ჩანს, ანა რჩეუ-ლაშვილიც ნესტანივით იყო იძულებით მოყვანილი და გამომწყვდეული ვანის ქვაბთა მონასტერში. ამიტომაც გახსენებია მას დიდი რუსთაველის ეს უკვდავი სტროფები.

ლექსების შემცველ წარწერებზე არა ნაკლებ საინტერესოა პროზაული წარწერებიც. ზოგიერთი მათგანი ჭეშმარიტი პოეზიის სიმაღლემდეა ასული. ამიტომ მათ მხოლოდ პირობით შეიძლება ვუწოდოთ პროზაული წარწერები. გულქანი ასე გადმოგვცემს თავის ვინაობას: ,,...მომიყვანა მანუჩარ ქალად და გასათხოვარად. ქმარი ჯერ არ მედგა. ღმრთის მადლმა და ამა წმინდათა მადლ-მა, ჩემსა ულამაზესი დედასმიწაზედა არა იარებოდა და არც სხვა გამოსულა, არც თვალად, არც ტანად, არცა ზნითა. თუარემ ჩემნი მნახავნი არ გამამტყუვ-ნებენ...‘‘ მონასტერში ყოფნით უკმაყოფილო ანა რჩეულაშვილი მწარედ ჰგოდებს: ,,ვერ დავალ, ვერცა გავიხარე სმით, ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაცმითა, ვერცა დი-თა, ვერცა ძმითა, ვერცა რძლითა, გაუხარელი მოვკვდე გაუხარელად!‘‘. ამავე მონასტრის ბინადარი ქალი, შაბანი სულთანი, გულისტკივილით ამბობს:

,,ქ. ვაი, გარჯილსა ამა სოფელსა: ბრალი არ არის, შაბანის გულშეწყენით იყოს!

ვაიმე, ბრალი არ არის, ის სევდიანათ იყოს!

ვაიმე, თუ მოვკვდე ღარიბათ, შემიბრალეთ ვისაც გენახოს შაბანის მხია-რული გული!‘‘.

რამდენი სევდა-ნაღველია ჩაქსოვილი ამ ერთ პატარა ლირიკულ წარწე-რაში!... ასეთი წარწერები სხვაც ბევრია ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე.

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების მეცნიერული მნიშვნელობა თავის-თავად ცხადი იქნება ჩვენთვის თუ გავითვალისწინებთ ერთ გარემოებას: XII-XV საუკუნეების ქართული პოეზიის ნიმუშების ამათზე ძველი ჩანაწერი ჩვენ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება. ეს ეხება როგორც ,,ვეფხისტყაოსნისა‘‘ და ,,როსტო-

მიანის“ ფრაგმენტებს, ისე წარწერებში მოყვანილ ძველი ქართული ლირიკული პოეზიის შედევრებს, რომელთა ერთი ნაწილიც დღესდღეობით მხოლოდ ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებით გახდა ცნობილი. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ფოლკლორული ლექსების შესახებაც. ყოველივე ამის გამო ვანის ქვაბთა მონასტერს შეიძლება ვუწოდოთ ძველი ქართული პოეზიის სავანე. მონასტრის კედლებზე ამგვარი ხასიათის წარწერები არსად არ მოგვეპოვება: არც საქართველოში და არც სხვაგან სადმე. ამ მხრივ ვანის ქვაბთა მონასტერი ერთადერთია მთელს ქრისტიანულ სამყაროში. თავისთავად ეს ფაქტი დიდად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ქართული კულტურის ისტორიისათვის. შეიძლებოდა ამის შესახებ კიდევ ბევრი რამ გვეთქვა, მაგრამ ამჯერად ესეც საკმარისია.

სამწუხაროდ, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები ცუდ მდგომარეობაშია, რაც არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ. მზის სხივები ყოველდღიურად აცხუნებენ და დაღუპვით ემუქრებიან მათ. დაგვამახსოვრდა ერთი ასეთი ეპიზოდი: წარწერებზე მუშაობის დროს, ეკლესიის შემოსასვლელში, დასავლეთის კედელზე, სრულიად შემთხვევით მივაკვლიეთ ერთ ძალზე გადალეულ წარწერას. მასში ძველი ქართული სატრფიალო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში აღმოჩნდა. ამ კედელზე სხვა წარწერებიც ყოფილა, მაგრამ მზის სხივებს მთლიანად გადაულევია. გული დაგვწყდა. ვინ იცის რა ძვირფასი მასალა დავკარგეთ მათი სახით: იქნება მათშიც ძველი ქართული პოეზიის ნიმუშები იყო მოყვანილი? ჩვენ არ გვინდა, რომ შემდგომი თაობის ადამიანებმა ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე წარწერების მაგიერ მათი ნაშთები იხილონ. ამის რეალური საფრთხე უკვე არის წარწერათა ერთი ნაწილის მიმართ. შორს რომ არ წავიდეთ, ნიმუშად ხსენებული წარწერაც საკმარისია: სულ რამდენიმე წელი და მზის სხივებისაგან ის საბოლოოდ დაიღუპება...

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებისათვის დიდი ზიანი მიუყენებიათ ჩვენი დროის უმეცარ ადამიანებს: ადგილობრივ მკვიდრთ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან მოსულთ, ტურისტებს. ეკლესიის კედლები აჭრელებულია მნახველთა წარწერებით ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ზოგიერთი მათგანი თვითონ ძველ წარწერებზეა ამოკვეთილი ან ფანქრით წარწერილი. წარწერებში აღნიშნულია შემსრულებელთა ვინაობა, მოსვლის დრო, რიცხვი და სხვა. მათი მთლიანი აღნუსხვა შორს წაგვიყვანს და ამჯერად არც მიგვაჩნია საჭიროდ. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს. ბორჯომელ შალვა ჭიქურაშვილს თავისი აქ მოსვლა რამდენიმე წარწერით აღუბეჭდავს. ამასთან ერთად მას დაუკაწრავს ერთი მეტად საინტერესო წარწერა და მთლიანად დაუფხაჭნია წარწერის დასაწყისში მოთავსებული იშვიათი მხატვრობა. ერთი წარწერით ვგებულობთ, რომ აქ მოსულან ადგილობრივი ახალგაზრდები ,,ძროხების ძიებაში“!. მონასტერთან ახლო მდებარე სოფ. გოგაშნის ,,ფრიადოსანი მოსწავლეები“ აქებენ თავიანთ მასწავლებელს. ამაზე ხომ არ არის ნათქვამი: ,,ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად წვრთნილი“! ყოველ შემთხვევაში ეს მოსწავლეები წარწერას არ მოათავსებდნენ აქ, მათთვის რომ მასწავლებელს ძველი ქართული კულტურის ძეგლებისადმი სიყვარული, პატივისცემა ჩაენერგა. გვხვდება უშნო მსხვილი ასოებით ამოკვეთილი ასეთი უაზრო წარწერებიც: ,,დიპი-პაპა-ძმებს“ და სხვა. ჩვენი დროის უმეცარ ადამიანთა ამ ბარბაროსულმა ნამოქმედარმა არ შეიძლება არ აგაღელვოთ და არ დაგაფიქროთ ვანის ქვაბთა მო-

ნასტრის წარწერების ბედზე: თუ ასე გაგრძელდა, ეს წარწერები საბოლოოდ დაიღუპება და ხელიდან გამოგვეცლება. ამავე დროს რაოდენ საინტერესოა ისი-ნი ჩვენი კულტურის ისტორიისათვის: სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებმა ,,ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ყველაზე ძველი ჩანაწერი შემოგვინახა!..

დროა მივხედოთ ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს და ვიზრუნოთ მათს მოვლა-პატრონობაზე: 1. უნდა აღდგეს აღმოსავლეთის კედელი, რომელიც წარწერებს დაიფარავს მზის სხივებისაგან. ეს დიდ თანხას არ მოითხოვს; 2. წარწერების დაცვის მიზნით უნდა დაწესდეს მნახველებზე მკაცრი კონტროლი; 3. წარწერების შემცველი ვანის ქვაბთა მონასტრის პატარა ეკლესია კლდის ქიმზეა მოთავსებული და მიწისძვრის შედეგად შეიძლება ადვილად დაინგრეს. ამიტომ სასურველია გაკეთდეს დოკუმენტური ფილმი: ვანის ქვაბები. დასასრულ, საჭიროა საგანგებო წესით გადავიღოთ გადალეული წარწერების ფოტო-სურათები იმისათვის, რომ შევიძლოთ მათი წაკითხვა და მეცნიერული შესწავლა.



კაცხი. XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ხახუტაიშვილი
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

# უფლისციხე

კავკასიის მონათმფლობელური ხანის მონუმენტურ მატერიალურ კულტურაში ძნელად თუ მოიძებნება ძეგლი, რომელსაც ისე კარგად შეენახოს უძველესი სახე, როგორც ეს უფლისციხის სინამდვილეში გვაქვს წარმოდგენილი. კერძოდ, ეს შეეხება მონათმფლობელური ხანის ქალაქის კლდეში ნაკვეთ ნაწილს, რომელმაც თავისი გარეგნული სახე, უმნიშვნელო ცვლილებებით, ჩვენს დრომდე მოიტანა. ცხადია, ყოველი ისტორიული პერიოდი, წარმოდგენილი გარკვეული საზოგადოებრივი წყობით, თავის კვალს აჩნევდა ქალაქს, ცდილობდა რა თავისი ხასიათისათვის შეეგუებინა იგი, მაგრამ უფლისციხის კლდეში ნაკვეთ ნაწილში ეს დანაშრევები შედარებით იოლი გამოსაცნობია და მკვლევარს ხელს არ უშლის ქალაქის ცხოვრების ძირითადი ქრონოლოგიური და სოციალურ-ეკონომიური მომენტები წარმოიდგინოს.

უფლისციხის შესწავლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში იწყება (დიუბუა დე მომპერე) და მომდევნო ხანაშიც გრძელდება (პლ. იოსელიანი, კ. მურავიოვ-აპოსტოლი, პ. უვაროვა, კ. ლემანჰაუპტი და სხვები), მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო, გამოთქმული შეხედულებები მიხვედრებისა და ჰიპოთეზების ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე დასაბუთებული მოსაზრებებისა. ამ მხრივ, საილუსტრაციოდ საკმარისი იქნებოდა ერთი მაგალითის მოტანა: აღმოსავლეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი კ. ლემან-ჰაუპტი უფლისციხეს, გარეჯასა და ვარძიას კლდეში ნაკვეთი ქალაქების ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში ათავსებდა და ხელმოსმით ხალდურ (ურარტულ) კულტურას უკავშირებდა; 1944 წელს ეს მოსაზრება ერთ-ერთ ავტორიტეტულ საბჭოთა გამოცემაშიც იქნა გამეორებული. უფრო მეტიც, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის" მეორე გამოცემაში უფლისციხის ზოგიერთი კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, რომელიც ფაქტიურად ადრე ანტიკურ ხანას (ძვ. წ. VI-V საუკუნეებს) მიეკუთვნება, განვითარებული შუა საუკუნეებით, კერძოდ XI საუკუნითაა დათარიღებული.

ცხადია, მკვლევარები, რომლებიც გარკვეულ დროსა და ენერგიას ახმარდნენ უფლისციხის შესწავლას, ცდილობდნენ თავისი წვლილი შეეტანათ ამ უნიკალური ძეგლის ბუნების გახსნაში, მაგრამ კრიტიკულად დადგენილი მასალების თითქმის სრული უქონლობა და შესადარებელი ძეგლების შეუსწავლელობა საშუალებას არ იძლეოდა მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები გამოთქმულიყო. ასე რომ, უფლისციხის შესწავლის დაწყებიდან 100 წლისთავზე ჩვენ ნათელი წარმოდგენა არ გვქონდა ისეთ საკითხზეც კი, როგორიცაა ძეგლის ქრონოლოგია. მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში, ქალაქის ისტორიის შესწავლაში ქრონოლოგიის საკითხების შესწავლა ერთ-ერთი რიგითი სამუშაოა. მის გვერდით დგება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა ქალაქის წარ-

მოქმნა და განვითარება, მეურნეობა და მისი თავისებურებანი, სოციალური, ეთნიკური და კულტურული სახე, ისტორიული ტოპოგრაფია და [illegible] დაქვეითება-დაცემის მიზეზები და ა. შ.

როგორც აკად. შ. ამირანაშვილმა 1944 წ. შენიშნა, უფლისციხის მეცნიერული შესწავლის წარმატება წარმოუდგენელი იყო ფართო არქეოლოგიური გათხრების გარეშე. უკვე 1957 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოსთან ერთად ატარებს უფლისციხისა და მისი მიდამოების ისტორიულ-არქეოლოგიურ დაზვერვებს და იწყებს ქალაქის კლდეში ნაკვეთი ნაწილის არქეოლოგიურ შესწავლას.




კლდეში ნაკვეთი საწნახელი სალიზკარის ხევიდან. ახ. წ. ა. XII-XIII საუკუნეების მიჯნა.

უფლისციხის ნაქალაქარის კლდეში ნაკვეთი ნაწილის ტერიტორიის არქეოლოგიური დაზვერვების დასაწყისშივე შენიშნული იქნა როგორც შუა საუკუნეების, ისე ანტიკური და წინა ანტიკური ხანის მასალები. წინა ანტიკური ხანის მასალები აღმოჩნდა აგრეთვე სოფ. უფლისციხის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში. მიგნებული იქნა ძველი საცხოვრებელი ბორცვი, რომელზეც, აგრეთვე, წინა ანტიკური ხანის მასალები დადასტურდა. მდინარე მტკვრის მიდევნებით, კლდეში ნაკვეთი კომპლექსების დასავლეთით, ვიდრე ქალაქ გორის მისადგომებამდე, გამოვლენილი იქნა ანტიკური ხანის რამდენიმე ნადაბური (ნამოსახლარი), რომლებიც მონათმფლობელური ქალაქის დაბათა და აგარათა ნაშთები უნდა ყოფილიყო. ასე რომ, უფლისციხის არქეოლოგიურ შესწავლას ყოვლად საიმედო პირი უჩანდა და, დაზვერვის მონაცემების მიხედვით, მდიდარ სამკალს გვპირდებოდა.

1958 წლიდან საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტთან ერთად იწყებს უფლისციხის არქეოლოგიური კომპლექსის ფართო გათხრებს (ექსპედ. ხელმძღვანელი აკად. შ. ამირანაშვილი), რითაც საფუძველს უყრის ძეგლის მეცნიერულ შესწავლას.

გავლილი 8 წლის მანძილზე უფლისციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა მდიდარი და ზოგჯერ უნიკალური მასალაც, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევრითა და ახ. წელთაღრიცხვის XV-XVI საუკუნეებით განისაზღვრება. მოპოვებული მასალების შუქზე, უკვე ახლა შეიძლება მსჯელობა უფლისციხის რაიონის მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე დროის მონაკვეთში, რომელიც დაახლო-




კლდეში ნაკვეთი საწნახლები უფლისციხიდან. ძვ. წ. ა. IV-III სს.

ებით 3000 წელს ითვლის და სამ სოციალურ ეპოქას მოიცავს (წინაკლასობრივი საზოგადოება, მონათმფლობელური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება). კერძოდ, კლდეში ნაკვეთი კომპლექსების დასავლეთით, ე. წ. ყათნალიხევის (ავსარეკლების) ბორცვზე გათხრილი იქნა წარმართული ტაძრის ნანგრევები. ტაძარი, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მიწურულს ჩვეულებ-

რივი სამოსახლოს ადგილას წარმოქმნილა, როგორც ქართული წარმართული პანთეონის ღვთაების დიდი დედა ნანას (მზექალის) სალოცავი, ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ მეოთხედში დაღუპულა. ტაძრის ნანგრევების გათხრებისას გამოვლენილი იქნა: ძელური ნაგებობები, ტაძრის ზღუდე, ტაძრის ფარეხი, საკურთხევლები, ღუმელი, ცხოველთა ფიგურები, ხარისა და მოზვრის თავის მოდელები, შესაწირავი ჭურჭლები, კაჟის ნამგლები, კევრის კოხები, სანაყები, ხელსაფქვავები, ჭურჭელი ოთხი ჯიშის ყურძნის წიპწებით და ფშატის კურკებით, თიხის საბეჭდავები და ა. შ. აღმოჩენილ ინვენტარში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ღვთაების (მზექალის) თიხის ჰორელიეფური გამოსახულება, რომელსაც ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები აქვს.



უფლისციხე. არმაზული წარწერები ქვევრის პირებზე.

გამოირკვა, რომ ღვთაება ნანას, ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი სამეულის ერთ-ერთ წევრთაგანს, როგორც ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაებას, თავის გარშემო შემოუკრებია ამ სფეროს მრავალ ღვთაებათა და კულტთა ფუნქციები.



უფლისციხე, საერთო ხედი.

ფოტო ი. გილგენდორფისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, მოცემულ წერილში არ მოხერხდება მთელი მასალის გაცნობა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, მაგრამ მკითხველის ყურადღებას ერთ დეტალზე შევაჩერებთ: ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვაობითი მასალების შესწავლის შედეგად, ქართველმა ეთნოგრაფებმა მიუთითეს, რომ წარმართულ ხანის ქართველ ტომებში უნდა არსებულიყო ვაზისა და სიუხვის ხის კულტი; თქმულებებში ვაზი „სიცოცხლის ხედაა“ წარმოდგენილი, რომელიც ღვთის კარზე იზრდება და სიუხვის ხეს, კერძოდ ალვას („ხეხვივანი“) ეხვევა. ამ გადმოცემის შუქზე გასაგები ხდება, თუ რატომ შეუწირავთ ნაყოფიერების ღვთაებისათვის ერთ ჭურჭელში ჩალაგებული ვაზისა და ფშატის ნაყოფი. ვაზისა და ფშატის შენაწირავი ნაყოფის აღმოჩენა თითქოს და კერძო ფაქტია და ერთი შეხედვით მისი მნიშვნელობა არც თუ დიდია, მაგრამ თუ საქმეს უფრო ყურადღებით ჩავუკვირდებით, მივიღებთ მეტად საყურადღებო სურათს: 1. ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ქართველი ტომების აღმოსავლურ-ქართულ ჯგუფში, ვაზი წმინდა (საკულტო) მცენარეა. მაშასადამე, ქართველი ტომების სამეურნეო ყოფაში ვაზს მნიშვნელოვანი ადგილი მოუპოვებია, რაზედაც ვაზის მრავალი ჯიშის გაჩენაც მიუთითებს. 2. უფლისციხის მიკროკლიმატის პირობებში მევენახეობის დაწინაურება თავისთავად გულისხმობს მორწყვითი მიწათმოქმედების მაღალგანვითარებულ საფეხურს. 3. მევენახეობის წარმოქმნა მიწაზე კერძო საკუთრების ჩასახვის მაუწყებელია. 4. ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ქართველ მთიელებში დაცული ფოლკლორული მასალები შეიცავენ მეტად სანდო ცნობებსაც, სადაც, ზოგჯერ, ქართველ ტომთა ცხოვრების უძველესი ვითარების საყურადღებო მხარეებია ასახული.

ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მიწურულსა, თუ I ათასწლეულის დამდეგს კვერნაქის ქედის სამხრეთ განშტოებაზე, იქ სადაც შემდეგში კლდეში ნაკვეთი ქალაქის გამაგრებული ნაწილი გაჩნდა, წარმოქმნილია კლდეში ნაკვეთი მოსახლობა (გორა), რომელიც თავიდანვე იწყებს ბრძოლას უფლისციხის რაიონის სასოფლო თემების დამორჩილებისათვის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ტრაგიკული გამოვლინებაა წარმართული ტაძრის განადგურება ყათნალიხევის (ავსარეკლების) ბორცვზე. ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დამდეგიდან კლდეებში განლაგებული მოსახლობა (დაბა) ხდება უფლისციხის რაიონის თემების პოლიტიკური და რელიგიური ჰეგემონი.

ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნეში უფლისციხეს უკვე ქალაქური ტიპის მსხვილი დასახლების სახე მიუღია, სადაც კარგად გაფორმებული კლდეში ნაკვეთი დარბაზებიცაა წარმოდგენილი.

ძვ. წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებიდან უფლისციხე უკვე მონათმფლობელური ქალაქი და იბერიის სამეფოს დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და კულტურული ცენტრია.

დღემდე შემოინახა ანტიკური ხანის უფლისციხის ძირითადი შემადგენელი ნაწილები: შიდა და გარე ქალაქი, ქალაქის დაბები და აგარაები, გზები და კლდეკარები, ქუჩები და ეზოები, დამცველი თხრილი და სასიმაგრო კედლები, სასახლე-დარბაზები და სამეურნეო ნაგებობები, გვირაბი და წყალსაწრეტი არხები. დასტურდება, რომ ქალაქს საკუთარი სამდინარო ნავთსადგურიც ჰქონია. ქალაქის გამაგრებულ ნაწილს არც შუა საუკუნეებში დაუკარგავს მნიშვნელობა. ცნობილია, რომ IX-XI საუკუნეებში უფლისციხემ საქართველოს გაერთი-

ანების საქმეში მეტად თვალსაჩინო როლი შეასრულა: საქართველოს გაერთიანებისათვის ურთიერთშორის მებრძოლი ძალებისათვის (აფხაზთა სამეფო, ტაო-კლარჯეთის საკურაპალატო, კახეთის სამთავრო, სომხეთის სამეფო) იმთავითვე ცხადი გამხდარა, რომ საქართველო-ამიერკავკასიის გაერთიანების მეთაურობა მას შერჩებოდა, ვინც შიდა ქართლში გაბატონდებოდა. ამიტომაც, გაერთიანებისათვის ბრძოლამ „ქართლსა ზედა“ ბრძოლის ხასიათიც მიიღო. მაგრამ შიდა ქართლში გაბატონების აუცილებელი პირობა უფლისციხის ფლობა იყო. ამიტომაც, არაბთაგან თბილისის განთავისუფლებამდე უფლისციხეს პირველხარისხოვანი სამხედრო-პოლიტიკური და ადმინისტრატიული ცენტრის მნიშვნელობა არ დაუკარგავს, თუმცა ამ დროისათვის მისი ეკონომიური მნიშვნელობა ანტიკური ხანასთან შედარებით მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული.



უფლისციხე.

ჩანგზე დამკვრელის თიხის ფიგურა. ძვ. წ. ა. VII-VI სს.

ანტიკურ ხანაში უფლისციხის მნიშვნელობაზე მიუთითებს ქალაქის მშენებლობაზე ჩატარებული სამუშაოების მასშტაბები: ამოკვეთილაა და გაზიდული ათეულ ათასობით კუბ. მეტრი კლდე. ქვის სამტეხლოებიდან მოზიდულია და დამზადებული ათიათასობით დიდი ზომის ქვათლილი, მოჭრილია ასიათასობით ალიზის აგური, გარკვეული გეგმით ამოკვეთილია ცენტრალური და გვერდითი ქუჩები, ასობით დარბაზი და სათავსო, დიდი დამცველი თხრილი, გვირაბი და წყალსაწრეტი არხები, აგებულია გრანდიოზული სასიმაგრო კედელი. რომლის სიგანე 4 მეტრს, ხოლო სიმაღლე 20 მეტრამდე აღწევდა. სპეციალურადაა დამუშავებული და გაშანდაკებული კლდის დარბაზთა კედლები და ჭერი. კლდეში ნაკვეთი სამეურნეო ნაგებობებიდან ყურადღებას იქცევს საწნახლები, რომლებიც თავისი აღნაგობით იმეორებენ პალესტინისა და ყირიმის, აგრეთვე, ძველი კოლხეთის კლდეში ნაკვეთ თუ ჩვეულებრივ ადრე ელინისტური ხანის

საწნახლებს და განსხვავდებიან შუა საუკუნეების, მათ შორის უფლისციხის გარეუბანში, ე. წ. სალიზვარის ხევში, აღმოჩენილ კლდეში ნაკვეთ საწნახლებისაგან.

მონათმფლობელური ხანის უფლისციხის მეურნეობაში მევენახეობის დიდ მნიშვნელობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მითითებული კლდეში ნაკვეთი საწნახლები, რომელთა ერთჯერადი წარმადობა რამდენიმე ათას ლიტრს შეადგენს. სამიწათმოქმედო კულტურის მაღალგანვითარებულობის მოწმობაა ბრინჯაოს ნამგლების, კევრების (დადასტურებულია კევრზე დამარხვაც), რკინის სახნისის, ვაზის სასხლავი დანების, ხორბლის შესანახი კლდეში ნაკვეთი ხაროების და ,,ხარიმხვნელის“ კულტის დადასტურება.

ანტიკური ხანის უფლისციხეს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონია, როგორც იბერიის და კოლხეთის ქალაქებთან, ისე დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებთან და მათ სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებთან. ამისი მოწმობაა გათხრების პროცესში აღმოჩენილი ირანული და ბერძნულ-რომაული მონეტები, მცირეაზიული და ეგვიპტური შავი და წითელლაკიანი კერამიკა, აგრეთვე, მინის ნაწარმი, ირანული ბულები, კოლხური და მცირეაზიული ამფორები, მცხეთური კრამიტი და მინის ნაწარმი, აგრეთვე, როგორც ჩანს, რკინაც (გაიხსენეთ „მცხეთის სარკინე“).

უფლისციხის ეკონომიკაში ვაჭრობის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის დიდი ყურადღება, რომელსაც ხელისუფლება გზების კეთილმოწყობაზე იჩენდა. კერძოდ, უფლისციხის დიდი კლდეკარი ანტიკური ხანის კავკასიის ამ რიგის ნაგებობათა შორის ერთ-ერთი უდიდესია. მისი სიგრძე—150 მეტრს შეადგენს, სიმაღლე-10 მეტრს, ხოლო სიგანე—2,5 მეტრს. ცნობილია, რომ ძვ. წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში ამიერკავკასიის ქვეყნებს (ალვანეთს, იბერია-ქართლს და კოლხეთს) გადასერავდა საერთაშორისო მნიშვნელობის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა. ამ გზის ტრასა, როგორც გამოირკვა, უფლისციხეზეც გაივლიდა და კოლხეთის ქალაქებისაკენ მიემართებოდა.

უფლისციხეში მოპოვებულ მასალებს შორის ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, არმაზული წარწერები ქვევრებზე, რომელთა შესწავლაზეც აკად. გ. წერეთელი მუშაობს.

უფლისციხის შესწავლაში თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ე. წ. „მიუვალი გამოქვაბულების“ გამოკვლევამ. თავდაპირველად ვფიქრობდით, რომ მიუვალი გამოქვაბულები შუა საუკუნეების სახიზრებს წარმოადგენდა. მართალია, კლდეში ნაკვეთი ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე კომპლექსები მართლაც შუა საუკუნეებისა აღმოჩნდა, მაგრამ ქალაქის დასავლეთ ფლატეში წარმოდგენილი კლდეში ნაკვეთი კომპლექსის შესწავლამ სავსებით მოულოდნელი სურათი წარმოგვიდგინა. გამოირკვა, რომ იგი ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი ქალაქის დასავლეთ უბნის ჩვეულებრივი კომპლექსი ყოფილა, რომელიც ქალაქის დასავლეთ ნაწილის ჩამონგრევის შედეგად, ძირითად უბანს გამოთიშვია და მიუვალი გამხდარა. ამის შემდეგ, საბედნიეროდ, დარბაზი გამოყენებული არ ყოფილა და რაიმე გადაკეთება არ განუცდია. დარბაზის იატაკზე აღმოჩენილი მასალების შესწავლამ ცხადჰყო, რომ იგი მიუვალი გამხდარა ძვ. წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში. მაშასადამე, დარბაზი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოკვეთილი ყოფილა არა უგვიანეს ძვ. წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებისა. იმის გამო, რომ „მიუვალი“ კომპლექსი თავისი აღნაგობით იმეორებს უფლისციხის კლდეში ნაკვეთ კომპლექსთა იმ ჯგუფს, რომელსაც ე. წ. „თამარის დარბაზიც“ ეკუთვნის, ცხადი გახდა, რომ კოჭური ჭერის მქონე ნაგებობების მიბაძვით ამოკვეთილი დარბაზები ძვ. წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ეს ფაქტი ამოსავალი გახდა უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაწილის ქრონოლოგიის საკითხების შესწავლაში, ძირეულად გადაისინჯა უფლისციხის ქრონოლოგიის საკითხებზე გამოთქმული ძველი მოსაზრებები და მომზადდა ნიადაგი ახალი, არგუმენტირებული მოსაზრებების გამოთქმისათვის.

ცხადია, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაწილის ქრონოლოგიის შესწავლა არ ეყრდნობა მარტო „მიუვალი“ კომპლექსის მონაცემებს; მის გვერდით, ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არქეოლოგიური გათხრების პროცესში მოპოვებული სხვა მონაცემები: კერამიკული მასალა, კლდეში ნაკვეთი საწნახლები, ქვათლილებით ნაგები კედლები, ე. წ. „ბაგინეთური“ წყობით, კლდის დარბაზთა კედლების ზედაპირის დამუშავების ხერხები და ა. შ. „მიუვალი“ კომპლექსის თარიღის დადგენამ დააკონკრეტა კლდეში ნაკვეთ კომპლექსთა თუ რომელი ჯგუფი ეკუთვნოდა ადრე ანტიკურ ხანას და შესაძლებლობა მოგვცა გაგვესაზღვრა, თუ რა სახის გადაკეთება განუცდია ამა თუ იმ დარბაზს მომდევნო პერიოდებში.

არქეოლოგიური შესწავლის პარალელურად მიმდინარეობდა ქალაქის კლდეში ნაკვეთი ნაწილის ინტენსიური არქეოლოგიური გაწმენდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წინაფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის ისტორიაში ბევრი რამ ხელახლა გახდება დასაწერი, ბევრი მოძველებული მოსაზრება იქნება უარსაყოფი, გარკვეულ ცვლილებას განიცდის ჩვენი წარმოდგენა შუა საუკუნის ქართული არქიტექტურის ფესვებზე, მის წყაროსთვალზე. უმდიდრესი მასალები დაგროვდა და გროვდება საქართველოში მშენებლობის ხელოვნებისა და კულტურის ისტორიაზე.

არქეოლოგიური გათხრების პროცესში უკვე მოპოვებულმა მასალებმა არა მარტო უფლისციხის, არამედ საერთოდ ძველი იბერიის ისტორიის არაერთი ფურცელი გახადა ახლად დასაწერი. მაგრამ შესრულებულია საქმის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. წინაა ახალი, უმნიშვნელოვანესი და მეტად პერსპექტული სამუშაოები.

უფლისციხის შესწავლის ძირითად ტვირთს დღემდე საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ეზიდება (დრო და დრო კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს მიერ გაღებული მცირე სახსრები ვითარებას არ ცვლის). მართალია, ძეგლის შესწავლაში მონაწილეობს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, მაგრამ გათხრების დაფინანსებაში მონაწილეობას ვერ ღებულობს. ამდენად, არქეოლოგიური გათხრების წარმოების მთელი ფინანსიური ტვირთი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ბიუჯეტს აწვება. მუზეუმის დირექცია ყოველწლიურად საშუალებათა მაქსიმუმს ახმარს ძეგლის შესწავლას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბებსა და მოსალოდნელ შედეგებს, აქამდე საკმარისი დაფინანსება მომავლისათვის საგრძნობ გაზრდას საჭიროებს.

სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ ექცევა, უფრო სწორედ, არავითარი ყურადღება არ ექცევა ძეგლისა და მისი მისადგომების კეთილმოწყობას, კერძოდ, სავსებით მოუწყობელია მისასვლელი გზები; გარდა ამისა, 1963—1964 წლებში მდინარე მტკვარმა შეუტია უფლისციხის წინ გაშლილ ჭალებს, რომელიც ძეგლის ბუნებრივ ფარსაც წარმოადგენდა. თუ უახლეს ხანაში არ გადაიჭრა ნაპირების გამაგრების საკითხი, ანტიკური ხანის ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლს უშუალო საფრთხე დაემუქრება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მეტ ყურადღებას მიაქცევენ ძეგლის კეთილმოწყობის საქმეს და ამით თავის წვლილს შეიტანენ ქართული კულტურის ამ უბრწყინვალესი ძეგლის მეცნიერული შესწავლისა და საჩვენებლად მომზადების საქმეში.



დავით-გარეჯი. XVII ს.

ზურაბ აბრამიშვილი
კონსტანტინე ვაჩეიშვილი
საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უფლისციხის „მიუვალი“ კომპლექსი

უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქის მიუვალ გამოქვაბულთა შესწავლის აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა უფლისციხეში წარმოებული ექსპედიციის მუშაობის პერიოდში,ხელოვნების მუზეუმმა, რომელიც 1958 წლიდან დღემდე სისტემატურად აწარმოებს, როგორც კლდეში ნაკვეთი ქალაქის, ასევე მისი ტერიტორიის კვლევით-არქეოლოგიურ, გაწმენდით სამუშაოებს. პირველი წლის სამუშაოებმა ცხადჰყო, რომ ქალაქის მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი ცხოვრების შედეგად უძველესი კულტურული ფენა შემდგომი ხანის არქეოლოგიურ მასალასთან იყო არეული, რის გამოც, სტრატიგრაფიულ ჭრილში მისი მთლიანი წარმოდგენა ვერ ხერხდებოდა. რიგ შემთხვევებში, არქაული მასალა ზედა ფენაში იყო მოქცეული (მომდევნო ხანების მოსახლეობის მიერ გაწმენდა-გასუფთავების შედეგად), რიგ შემთხვევაში კი არეული იყო ფეოდალური ხანის კერამიკულ მასალასთან. ამდენად, შიდა ქალაქის კლდეში ნაკვეთი დარბაზების დათარიღებისათვის ფაქტიურად არავითარი ხელჩასაჭიდი მასალა არ გაგვაჩნდა. ამ მხრივ კიდევ უფრო იზრდებოდა ინტერესი ,,მიუვალ'' გამოქვაბულთა შესწავლისადმი, რომლებშიც ჩაღწევის სირთულის გამო, სავარაუდო იყო იქ ადრეული ხანის ცხოვრების კვალის არსებობა.

უფლისციხის გამოქვაბულთა ჯგუფი მოთავსებულია კლდეში ნაკვეთი ქალაქის მასივის დასავლეთის ფლატეზე, რომელთაგან ერთი შიდაქალაქის არქიტექტურულ სისტემაში, დაახლოებით ,,ფრონტონიანი'' კომპლექსის* მიდამოებშია მოქცეული. გამოქვაბულთა სხვა ჯგუფები განლაგებულია ამავე მასივის ჩრდილოეთის ნაწილზე. ისინი შიდა ქალაქის ცენტრალური ნაწილისაგან 400-500 მეტრით არიან დაშორებული.

კლდის ფლატე, რომელშიც გამოკვეთილია შიდაქალაქის სისტემაში მოქცეული მიუვალი გამოქვაბული, საშუალოდ 48 მ სიმაღლისაა. შიდაქალაქის ბაქანიდან გამოქვაბულამდე მანძილი 13—15 მ. მასში მოხვედრა მხოლოდ თოკით გახდა შესაძლებელი**.

გამოქვაბული დროთა განმავლობაში გამოქარულა. ინტერიერის დიდი ნაწილი ჭერიდან და კედლებიდან ჩამონაშალი ქვიშა-ქვით იყო დაფარული. მისმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ ბაქნისა (ეზო) და ორი სათავსოსაგან შემდგარი კომპლექსი საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამშენებლო ხერხებით ყოფილა გამოკვეთილი. ცილინდრული თაღით გაფორმებულ პირველ დარბაზში ბაქნიდან

* ეს კომპლექსი სამეცნიერო ლიტერატურაში თეატრადაა მიჩნეული. იხ. შ. ამირანაშვილი ქართული ხელოვნების ისტორია ტ. I 1944 წ. გვ. 122, 123.

** ექსპედიციის მიერ მოწვეული იქნა მთასვლელები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეც. თანამშრომლები, სპორტის ოსტატი თ. ტატიშვილი და ო. თორთლაძე

შევდივართ. მისი ფორმები ხასიათდება მაღალი ზეაზიდული პროპორციებით*. საფასადო კედელი მაღალი, განიერი კამარითაა გახსნილი. სათავსოები ერთმანეთს ფართე ღიადით უკავშირდება. მეორე დარბაზი, პირველთან შედარებით, დაბალია და ბრტყელი ჭერითაა გაფორმებული. მისი შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ირკვევა, რომ დარბაზი საკმაოდ სუფთა გლუვი ფორმებით ყოფილა დამუშავებული. თაღის ფუძე რელიეფური კარნიზითაა პროფილირებული (25 სმ), რომლის მხოლოდ მცირე ნაწილიღაა დარჩენილი. როგორც ჩანს, იგი გარს უვლიდა სამივე კედელს, რაზეც კარგად მიუთითებს ამ კედლებზე კარნიზის კვალის აშკარა ნიშნები. სათავსოთა მაკავშირებელ შესასვლელისაგან მხოლოდ ჩრდილოეთის წირთხლია დარჩენილი, რითაც შესაძლებელი ხდება მისი პირვანდელი სახის წარმოდგენა. ეს ფორმა კი ახლო დგას უფლისციხის შიდაქალაქის ,,ფრონტონიან'' კომპლექსთა ჯგუფში შემავალ ნაგებობათა ღიადების კონფიგურაციასთან.



უფლისციხის „მიუვალი" გამოქვაბული.

ფოტო გ. აბრამიშვილისა

მეორე, აღმოსავლეთით მდებარე, დარბაზი შედარებით დაბალია (2 მ, 50 სმ) და გეგმაში კვადრატს უახლოვდება (3.56X2.90) 0-N სათავსოს შეერთების ხაზთან მისი იატაკის დონე 12-15 სმ. ამაღლებულია და ერთგვარ ხარისხს წარმოქმნის. მეორე დარბაზი, მისი მდებარეობის წყალობით, შედარებით უკეთაა დაცული. ჭერის თითქმის ძირითადი ნაწილის ჩამოშლისა და გამოქარვის მიუ-

* სიმაღლე 4 მ. 48 სმ., სიგრძე 1 მ. 90 სმ. სიგანე 3 მ. 30 სმ.

ხედავად, მის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეზე დარჩენილია დეკორაციული სისტემის ერთი ნაწილი. ჭერის ცენტრალურ მონაკვეთზე შეიმჩნევა [illegible] გამოკვეთილი ბრტყელი ე. წ. მზიდავი კოჭის ერთი ნაწილი, [illegible] მიმართულებითაა „გადებული". ჭერის დასავლეთის ნაწილზე კარგად გაირჩევა მისდამი პერპენდიკულარულად განლაგებული, შედარებით მცირე ზომის ბრტყელი კოჭები, რომლებიც ე. წ. „მზიდავ" კოჭზე დაწყობილი ძელების იმიტაციას წარმოადგენს. ჭერის არქიტექტურულ-დეკორაციული სისტემა სწორი, გლუვი სიბრტყეებით ყოფილა დამუშავებული. ამ სათავსოს კედლები საკმაოდ დაზიანებულია. ჩრდ. კედელზე ამოკვეთილია მცირე ზომის ორი ნიში (42x38; 22x24), სამხრეთის კედელზე—ერთი (60x32).

არქიტექტურული ფორმების გამოსავლენად, მეორე სათავსო გაიწმინდა კედლებიდან და ჭერიდან ჩამონაშალი ქვა-ქვიშოვანი ფენისაგან, რომლის სიმაღლე 40-60 სმ აღწევდა.

გაწმენდითი სამუშაოების შედეგად აღმოსავლეთის კედლის ცენტრალურ ნაწილთან გამოვლინდა სავარძლის ფორმის მონოლითი*, რომელიც აღმოსავლეთის კედლის მთელ სიბრტყეზეა დომინირებული და დამხობილი პირით დასავლეთისაკენ. სავარძლის მახლობლად არსებულმა მყარი მიწის ფენის პრეპარაციამ ოთხი კერამიკული ფრაგმენტი გამოავლინა**.

აღნიშნულ კერამიკული ფრაგმენტებიდან ერთი წმინდად გაცრილი, წითლად გამომწვარი და გულმოდგინედ გაპრიალებულია. დანარჩენი სამი ფრაგმენტი შავად და ლეგად გამომწვარ, შედარებით უხეში მასალისაგან დამზადებულ სქელკედლიან კერამიკას წარმოადგენს. არქეოლოგთა და ისტორიკოსმკვლევართა მოსაზრებით ისინი ძვ. წ. აღ. VI—V სს. განეკუთვნებიან.

ამ კომპლექსის შესწავლა იმითაც არის საინტერესო, რომ მისასვლელი გზის მოშლის გამო, მას ხელუხლებლად შეუნახავს უფლისციხის არქაული არქიტექტურული ფორმები და კულტურული ფენის ნაშთები, რაც გზის ამ ნაწილის მოშლის და ამდენად აქ ცხოვრების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრის ერთგვარ შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

დარბაზის ამ ნაწილში კერამიკული ფრაგმენტების შემთხვევითი მოხვედრა (ჩამორეცხის ან ზევიდან ჩამოვარდნის გზით) სავსებით გამორიცხულია, რადგან ისინი მეორე დარბაზის უკიდურესად ბოლო ნაწილში იყვნენ მოქცეული და ამავე დროს სტერილური ფენის ქვეშ არსებულ მიწის საკმაოდ მყარი ფენის ქვეშ აღმოჩნდნენ.

უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქის თითქმის ყოველ კომპლექსსა თუ ცალკეულ სათავსოებს განუცდიათ გადაკეთება-რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც რთულდება ზოგიერთ ნაგებობათა თავდაპირველი კომპოზიციის სრულად წარმოდგენა.

აქ მოწიფული და გვიანი შუასაუკუნეების ინტენსიური ცხოვრების შედეგად შიდა ქალაქის არქიტექტურულ სისტემაში მრავლად გვხვდება სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ნაგებობანი (თონეები და სხვა გაურკვეველი დანიშნულების მქონე კვეთილობა). ისინი უმეტეს შემთხვევაში ამახინჯებენ ან სრულიად

---

* სავარძლის სიმაღლე 40 სმ. ზურგით 65 სმ. უდრის.

** იხ. უფლისციხის 1958 წ. განათხარი მასალა №№ 44, 45, 46, 47.

ხპობენ ძველ არქიტექტურულ ფორმებსა და ზოგჯერ მთელ კომპოზიციას. ჩვენს მიერ აღწერილი მიუვალი კომპლექსი ჯერჯერობით ერთადერთია, სადაც არა ჩანს მისი შემდგომი გადაკეთებისა და შუასაუკუნეების ცხოვრების კვალი. გზის მოშლისა და ამდენად აქ ცხოვრების შეწყვეტის გამო ხელუხლებლად იქნა შემორჩენილი მისი არქიტექტურული კომპოზიციის ძირითადი სახე. ამ კომპლექსში მიკვლეული კერამიკული ფრაგმენტების V—IV სს. დათარიღება უნდა გვავარაუდებინებდეს ამ პერიოდის ახლო ხანებში მისასვლელი გზის მოშლას. ამდენად ეს თარიღი აღნიშნული კომპლექსის გამოკვეთის ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის ვარაუდის შ ე ს აძლებლობას უნდა გვაძლევდეს.




უფლისციხე. „მიუვალი“ კომპლექსი. განივი ჭრილი.

ბუნებრივად ისმის კითხვა ,,მიუვალი‘‘ კომპლექსის დანიშნულებისა და რაობის შესახებ. ნაგებობის აღმოსავლეთის სათავსოში მოთავსებული სავარძლის ფორმის მონოლითი დომინირებულია მთელი არქიტექტურული ანსამბლის გრძივ ღერძზე და ბაქნიდან აღიქვება, როგორც ნაგებობების ცენტრალური მაორგანიზებელი ნაწილი. სავარძლიანი დარბაზის ჭერი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საგანგებოდაა მორთულ-იმიტირებული კოჭური ბრტყელი გადახურვის სისტემით.

სავარძლის ფორმის მსგავს ძეგლებს ვხვდებით ძლევის ქედზე (სოფ. თვალადთან, კავთისხევის მიდამოებში) მის დასავლეთით მდებარე ბორცვზე, რომელიც თავისი ფორმით ძალზე მოგვაგონებს უფლისციხურ სავარძელს.

საყურადღებოა, რომ ძლევის ქედის სავარძელთა დამხობა ისეთივეა, როგორიც უფლისციხურის, ორივე პირით დასავლეთისკენაა მიმართული. აკად. შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, ძლევის ქედის მონოლითები წარმართული პანთეონის საკულტო ნაგებობებს უნდა წარმოადგენდნენ. მსგავს მონოლითს ვხვდებით სვანეთშიც, ლამარიას ეკლესიის ეზოში (უშგულის სასოფლო საბჭო), რომელიც ასევე ბორცვზეა აღმართული. უფლისციხის სავარძლის ფორმის მონოლითი ჯერჯერობით პირველი ძეგლია, რომელიც ნაგებობაში იმყოფება და, შესაძლოა, მათზე შედარებით მოგვიანო ხანისაც იყოს. ყოველივე ეს თითქოს უნდა მიუთითებდეს უფლისციხის მიუვალი კომპლექსის, როგორც წარმართული საკულტო დანიშნულების მქონე ნაგებობაზე, რომლის რაობაზე ჯერჯერობით გარკვეულად რაიმეს თქმა არ ხერხდება.



უფლისციხე. „მიუვალი“ კომპლექსი. გრძივი განაჭერი.

მიუვალი კომპლექსის არქიტექტურული კომპოზიცია, მისი სათავსოთა პროპორციები, გეგმარება და ცრუკონსტრუქციულ-დეკორაციული სისტემა ანალოგიებს პოულობს უფლისციხის შიდაქალაქის ცენტრალურ არქიტექტურულ კომპლექსებთან. ესენია: ,,ფრონტონიანი‘‘ (ე. წ. სანახაოზითი) კომპლექსი, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კომპლექსი (მთავარი გზის პირას) და ნაშენი ზღუდის უბანზე, მის ჩრდილოეთით მდებარე კლდეში ნაკვეთი კომპლექსი (აგურით ნაგები ეკლესიის—,,უფლისწულის‘‘ მახლობლად). ამათგან მეორედ დასახელებული ყველაზე ახლოს დგას ,,მიუვალი‘‘ კომპლექსის ,,არქიტექტურულ ფორმებთან, მის გეგმარებასთან. ,,მიუვალი‘‘ კომპლექსის ჭერის დეკორაციული გაფორმება, რომელიც ხის კონსტრუქციის ტრადიციათა კლდეში ნაკვეთ დარბაზში გადატანას წარმოადგენს*—თავის ანალოგიებს პოულობს უფლისციხის შიდა ქალაქის კლდეში ნაკვეთ რამდენიმე დარბაზის დეკორაციულ სისტემასთან. ესენია: ფრონტონიან ,,დარბაზიდან ჩრდილოეთით მდებარე სათავსო, რომელიც

* შ. ამირანაშვილი-ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1, 1944 წ. გვ. 125.

მიუვალ კომპლექსთან ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებს, ,,ორსვეტიანი'' დარბაზი*, ,,უფლისწულის'' ეკლესიიდან ჩრდილოეთით მდებარე სათავსო-ები. კ. მელითაური უფლისციხის კლდეში ნაკვეთ დარბაზებში ოთხ ძირითად ჯგუფს გამოჰყოფს, რომელთაგან კოჭური გადახურვის სისტემით გაფორმებულ დარბაზებს ადრეულად მიიჩნევს კესონურ დეკორაციულ სისტემასთან შედარებით**. მიუვალ კომპლექსში კოჭური გადახურვის დეკორაციული სისტემის დადასტურება და მისი გამოკვეთის ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის VI—V სს. ძვ. წ. ა. მიჩნევა ამ მოსაზრებას თითქოს ერთგვარად მხარ-



კერამიკული ფრაგმენტები „მიუვალი“-დან.

ფოტო ი. გილგენდორფისა.

საც უნდა უჭერდეს. ამის შესახებ კატეგორიულად რაიმეს თქმა ძნელია, რადგან მასალის სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს აქ არსებული კოჭური გადახურვის ყოველგვარი დეკორაციული სისტემა ჩვენს მიერ აღწერილ ,,მიუვალი'' კომპლექსის დეკორაციული სისტემის სინქრონულად მივიჩნიოთ, მაგრამ აქ უკვე დგება საკითხი მათი თარიღის გადასინჯვისა და, ვფიქრობთ, უფრო ადრეულ ხანებში გადაწევის შესახებ. ასევე ითქმის იმ არქიტექტურული ფორმების მიმართაც, რომლებიც დროის ამ მონაკვეთში უფლისციხის შიდა ქალაქის არქიტექტურისათვის ტიპიური უნდა ყოფილიყო. მიუვალი კომპლექსისა და შიდა-

---

* ე. წ. თამარის დარბაზი.

** კ. მელითაური, „სახლსამყოფის ერთი სახე საქართველოში“. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV № 5. 1953.

ქალაქის ძირითად ნაგებობათა არქიტექტურულ ფორმათა და დეკორაციული სისტემის ასეთი იდენტურობა თითქოს უნდა მიუთითებდეს უფლისციხის შიდა ქალაქის არქიტექტურის დაკანონებულ ნორმებზე და ამავე დროს მათ შედარებით ადრეულობაზეც*. საფიქრებელია, რომ ზოგიერთ სათავსოს ადრეულ ხანაშივე უნდა განეცადოს გადაკეთება, რაც, ძირითადად, ინტერიერის გაფართოება-გადიდებაში, ზოგიერთ დამხმარე სათავსოთა დამატებაში და რიგ შემთხვევაში, იმ დროის მოთხოვნილებათა შესაფერისი დეკორაციული სისტემით გაფორმებაში უნდა გამოხატულიყო. ,,ფრონტონიანი'' კომპლექსის არქიტექტურული კომპოზიციის მსგავსება ,,მიუვალ'' კომპლექსთან, რომელშიც ძვ. წ. ა. VI-V სს. ცხოვრების კვალია დადასტურებული, თითქოს უნდა მიუთითებდეს პირველის შედარებით ადრეულობაზე. იგი შიდა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენს და, ბუნებრივია, ამ ტიპის დარბაზები მის მიხედვით და მიბაძვით გამოიკვეთებოდნენ. მით უმეტეს, ,,მიუვალი'' კომპლექსი ,,ფრონტონიანის'' ტერიტორიაზე მდებარეობს და გზის მოშლამდე, ვფიქრობთ, მისდამი დაქვემდებარებაშიც იქნებოდა. მაშინ ,,ფრონტონიანი'' კომპლექსის კესონებით მორთვაში ხომ არ უნდა გვევარაუდა შედარებით მოგვიანო ხანის ცხოვრების კვალი?

აკად. შ. ამირანაშვილი კესონებს მართებულად მიიჩნევს რომის ექსპანსიის პერიოდისათვის დამახასიათებელ დეკორაციულ სისტემად და ახალი წ. ა. II-III სს. ათარიღებს**. უფლისციხის ,,მიუვალი'' კომპლექსის შესწავლის შედეგებმა დღის წესრიგში დააყენა კლდეში ნაკვეთი ქალაქის ძირითადი რიგის ნაგებობათა თარიღის ერთგვარად გადასინჯვის საკითხი, რასაც პასუხი უნდა გასცეს აქ წარმოებულმა არქეოლოგიურმა ძიებამ.



ბოლნისი. V ს.

---

* შ. ამირანაშვილის მიხედვით უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქი, რომის ექსპანსიის ხანებში II—III სს. უნდა გამოკვეთილიყო. იხ. შ. ამირანაშვილი—ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I. 1944 წ. გვ. 121—126.

** შ. ამირანაშვილი—ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I. 1944 წ. გვ. 123—124.



მყინვარწვერი.

ფოტო ნ. კეცხოველისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განდეგილი

(პირველი თავი)

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი არწივნი ვერ შეჰხვდებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან არადროს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ქექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი...
ფრიალოსებრ ჩამოცლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი
ვით კლდის ნაპრალზე არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზის
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

ილია ჭავჭავაძე

კოტე ჯავრიშვილი
საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის
სპელეოლოგიის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიწისქვეშა ძეგლთა სამყარო

მას აქეთ, რაც შვეიცარიელმა გაუზერმა, 1908 წელს საფრანგეთის ერთ-ერთ მღვიმეში, ლე-მუსტიეში, აღმოაჩინა მღვიმეში ბინადარი ადამიანის ჩონჩხი— მღვიმეებმა ანთროპოლოგთა, არქეოლოგთა, ისტორიკოსთა ყურადღება მიიზიდეს.

მღვიმე—პირველი მკვიდრი და უხიფათო ბინა იყო, სადაც ადამიანს შეეძლო შეფარებოდა, სიცივისა და ონავარი ცხოველებისაგან დაეცვა თავი.

მღვიმე—ჩვენი პირველი სახლია, შეიძლება აქ ადამიანმა პირველი კედელი ამოიყვანა, რომ ქარს შეფარებოდა ან გზა გადაეღობა მომხდური ცხოველისათვის. აქ, მღვიმეში, ადამიანმა შესძლო მუდმივად დაეცვა ცეცხლი—გაენათებინა და გაეთბო თავისი პირველი სახლი, მღვიმეში შეფარებული ადამიანი ცეცხლისა და პირველყოფილი იარაღის მეშვეობით გაძლიერდა და ცხოველთა სამყაროზე გაბატონდა.

მრავალი ათეული საუკუნის განმავლობაში ადამიანი იყენებდა თავისი საჭიროებისათვის მღვიმეებს—ბუნებრივ სიღრუვეებს, რომლებიც გამოფიტვის სხვადასხვა აგენტების გავლენით წარმოიშვნენ დედამიწის ქერქის ქანებში.

თუ კაცობრიობის გარიჟრაჟზე მღვიმეებს იყენებდნენ მხოლოდ საცხოვრებლად, საუკუნეთა მსვლელობაში, მღვიმეებმა სხვადასხვა გამოყენება ჰპოვეს— სამეურნეო, სათავდაცვო, საკულტო.

ჯერ ადამიანი იყენებდა მისთვის ხელსაყრელ მღვიმეს და არ ზრუნავდა მის მოგვარებაზე, შემდეგ, სხვადასხვა უმარტივესი ხერხებით ცდილობდა მის კეთილმოწყობას. ამ ხერხთა თანდათანი გართულების შედეგად წარმოიშვა საგამოქვაბულო მშენებლობის ხელოვნება, რომელმაც საშუალო საუკუნეებში უმაღლეს დონეს მიაღწია.

ქართველი არქეოლოგების მიერ მრავალი მღვიმე-გამოქვაბულია შესწავლილი. ამ მღვიმეებში მოპოვებული მასალის საფუძველზე თანდათან აღსდგება საქართველოს ტერიტორიაზე ოდესღაც ბინადარი ადამიანების ცხოვრების პირობები და კულტურა, დაწყებული ქვემო პალეოლითიდან (წონა, ყუდარო, ძევრისი), ზემო პალეოლითისა (დევის ხვრელი, საგვარჯილე) ბრინჯაოს ხანისა (ზოფხითო, ჩვეშური) ანტიკური ხანისა (უფლისციხე), ფეოდალური ხანით (ვარძია, დავით გარეჯი) დამთავრებული, ქციის ხეობის მრავალრიცხოვანი გამოქვაბულებით, რომლებიც შორეულ წარსულში მოაგვარა ადამიანმა თავისი საჭიროებისათვის და ზოგს დღესაც იყენებს სამეურნეო საჭიროებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილი გახდა ისეთი შესანიშნავი ძეგლები ქვაბ-საცხოვრისისა, როგორიცაა მტკვრის ხეობის ზემო წელის კლდის სოფლები და სამეურნეო ნაგებობანი, ვანის ქვაბები, ვარძიის შესანიშნავი ქვაბთა ანსამბლი,

ახალი ნავარძიები, თავდაცვითი და სახიზარი ქვაბები, ციხე-ქალაქი თმოგვი, ბერთაყანა, მონასტრები—ეკლესიები. მდინარე სამსარისწყლის ხეობაში—კლდის სახლები, ნასოფლარი-ქვემო სამსარში, მათ შორის კლდეში გამოკვეთილი ,,დარბაზი'' IX—X საუკუნეებისა.

ძნელია ჩამოთვლაც კი ყველა იმ საყოფაცხოვრებო, სამხედრო-სათავდაცვო და საკულტო ნაგებობისა, რომელიც გამოქვაბულია ჩვენი ქვეყნის ყოველ საამისოდ გამოსადეგ ადგილში.



ორბეთის ძირი. ციხე-ქვაბი.

ფოტო ნ. ერქომაიშვილისა

რამდენიმე წლის წინათ სრულიად უცნობი იყო ქარელის რაიონის სოფელ თრეხვის მახლობლად მდებარე სოროთ-ხევის სახიზარი. დღეს იგი პირველხარისხოვან ძეგლადაა აღიარებული, აქ ნაპოვნი სამშენებლო სტელის გამო, რომელზედაც მეთერთმეტე საუკუნეში გაკეთებული საამშენებლო წარწერა აღმოჩნდა. ეს წარწერა ,,ქართლის ცხოვრების'' ერთ-ერთ ავტორს, მროველს ეკუთვნის. მან საბოლოოდ გაარკვია ლეონტი მროველის ცხოვრების წლები, რითაც დადასტურდა დოკუმენტურად ივანე ჯავახიშვილის და კორნელ კეკელიძის ვარაუდი.

ასევე, სულ რამდენიმე წლის წინათ უცნობი იყო მეცნიერებაში ისეთი სახელწოდებანი, როგორიცაა ქობთავი, თეკნელა და ციხე-ქვაბი, დღეს ესენი ჩვენი მეცნიერების კუთვნილებას წარმოადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდ. ქციის ხეობაში საქართველოსთვის სრულიად უცნობი ტიპის მღვიმეებია აღმოჩენილი, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, პირღებული, ბაზალტის ქანებში ბუნების მიერ ამოქვაბული და შემდეგ კირქვის ნაჟონებით ინკრუსტირებული მღვიმე, რაც დღეს ცნობილ მღვიმეთა შორის შეიძლება უნიკალურად ჩაითვალოს, ანდა დავითის-უბნის ნაპრალისეული მღვიმეები, რომელშიაც კლდის მონასტერია ამოკვეთილ-ჩაშენებული. საყოველთაოდაა აღიარებული დავით-გარეჯის გამოქვაბულთა შესანიშნავი ფრესკები, მაგრამ ჯერ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს შავი ზღვისპირეთის კლდეში ნაკვეთ ციხეებზე—



ჭაჭკარი. კლდის სოფელი. ქვაბ-საცხოვრისები. XI-XII სს.

ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.

მჟიშტასა და კელასურზე. შესწავლილი გვაქვს ხვამლისა და ბეთლემის ლეგენდებით მოცული ციხე-სახიზარები, მაგრამ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს სხვა, შეიძლება უფრო მნიშვნელოვან, ციხე-ქვაბის, სახიზარისა და სამზერის, მონასტრისა და კლდის სოფლის შესახებ.

ქციის ხეობაში უკვე მეხუთე წელია კვლევა-ძიება წარმოებს და ჯერ დაზვერილი და შემოვლილიც კი არ არის ყველა მღვიმე და გამოქვაბული. შიო მღვიმის ირგვლივ უკვე მრავალი გამოქვაბულია შესწავლილი, მაგრამ სრულიად შეუსწავლელია არაგვის ხეობის ქვაბთა-ხევი და ბოდორნა, ივრის ხეობის— ალესილები და ალაზნის ხეობის მღვიმე-გამოქვაბულები.

ქციის აუზის გამოქვაბულთა შესწავლის შედეგად ჩვენ გამოვყოფთ გამოქვაბულთა შემდეგ ძირითად ჯგუფებს: 1. საცხოვრებელ გამოქვაბულ-ნაგებობებს, 2. სამეურნეო გამოქვაბულ-ნაგებობებს, 3. საბრძოლო-სათავდაცვო გამოქვაბულ-ნაგებობებს, 4. საკულტო გამოქვაბულ-ნაგებობებს, 5. სამრეწველო და სატრანსპორტო გამოქვაბულ ნაგებობებს.

ამ სქემაში სიტყვა ,,ნაგებობანი'' შემთხვევითი არაა, რადგან მღვიმის ადამიანის საჭიროებისათვის მოგვარებისას ანდა ხელოვნური გამოქვაბულის გამოქვაბვის, გამოთხრის დროს თითქმის ყოველთვის გამოქვაბვას თან ახლავს რაიმე ნაგებობაც.

ქციის ხრამის ფარგლებში ძირითადად საბრძოლო-სათავდაცვო ნაგებობანი გვხვდება.

საბრძოლო-სათავდაცვო გამოქვაბულ-ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება მრავალი სხვადასხვა დანიშნულების გამოქვაბული და მათთან დაკავშირებული სათავდაცვო ნაგებობა, რომლის ცალკეულ წევრთა დანიშნულების გარკვევა, ურთიერთ კავშირების აღდგენა და განლაგების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი სრულიად გარკვეული გეგმით არიან აგებული და მჭიდროდ დაკავშირებული მთელი ხეობის სათავდაცვო ნაგებობათა სისტემასთან.

ერთ რაიონში განლაგებულ გამოქვაბულ-ნაგებობათა ძირითად ერთეულს— ციხე-ქვაბი წარმოადგენს. ასე უწოდებს ვახუშტი ზურტაკეტის ხრამის პირას მდებარე ერთ-ერთ სოფელს და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ გამოქვაბულ ციხეს, რომლის ირგვლივ დაჯგუფებულია სათავდაცვო ნაგებობათა კომპლექსი. აქ პირველად იქნა დადგენილი ციხე-ქვაბის ყველა შემადგენელი ელემენტი. შემდეგში, როცა აღმოჩნდა, რომ ციხე ქვაბის ორგანიზაცია ტიპიურია საერთოდ ქციის აუზისათვის, ეს ტერმინი—,,ციხე-ქვაბი'' გავავრცელეთ ყველა დანარჩენ მსგავს გამოქვაბულ-ნაგებობაზე.

ც ი ხ ე - ქ ვ ა ბ ი ს ცენტრს, რომლის გარშემო შეჯგუფებულია ყველა დანარჩენი გამოქვაბულები და ნაგებობანი, შეადგენს ქარფის ყველაზე მიუვალ ადგილას მდებარე დიდი გამოქვაბული, რომლის შეუღწევადობა ხელოვნური ნაგებობითაა გაძლიერებული. ციხე-ქვაბი ჩვეულებრივ ქარფის ცენტრში მდებარეობს. იგი დაკავშირებულია მისასვლელი გზებით ქარფის თავთან ან ქარფის ძირთან, ე. ი. იმ არეებთან, სადაც დასახლება იყო. ეს გზები მრავალ შემთხვევაში ახლაც არიან შერჩენილი და, როგორც ჩანს ურმის ან, ყოველ შემთხვევაში, ცხენის გზებს წარმოადგენენ.

როგორც წესი, ასეთი მისასვლელი გზა მხოლოდ ერთია. ამ გზის დასაწყისი გადაღობილია ჩამკეტი ციხით ან ჩამკეტი ბურჯით, რომელიც, თუ გზა ქარფის თავიდან მოდის, ისე მდებარეობს, რომ ზეგანიდან არ ჩანდეს.

მისასვლელი გზის თავზე და მის გაყოლებით მდებარე ცალკეული გამოქვაბულები, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა როგორც ფორპოსტები, საიდანაც ადვილი არ იყო ამ გზის დაცვა. იმის მიხედვით, თუ საიდან აქვს ციხე-ქვაბს მისასვლელი—ქარფის თავიდან თუ ქარფის ძირიდან, ორგანიზებულია მისი დაცვის ფორტიფიკაციული სისტემა.

მისასვლელი გზის დასაცავად მის ზევით და მის გაყოლებით მოწყობილია თ ა რ ო — ს ა ნ გ რ ე ბ ი.

ბუნებრივი თარო ხშირად ხელოვნურადაა გაგანიერებული, ალაგ-ალაგ შეჭრილი აქვს ცალკე კამერები, ხანდახან საკმაოდ ღრმად 10-12 მეტრამდე. გარეთა მხრიდან თაროს მთელ სიგრძეზე ამოშენებული აქვს კედელი—0,7—1,5 მ სიმაღლისა და, ამგვარად, თარო გადაქცეულია ს ა ნ გ რ ა დ. თარო-სანგრები ხშირად რამდენიმე იარუსადაა განლაგებული.

თარო-სანგრების ზემოთ მოთავსებულია სახიზართა ბუდეები.



კლდის მონასტერი — „დავითის უბანი“. მდ. მაშავერას ხეობა.

ფოტო ნ. ერქომაიშვილ

თუ თვით თარო-სანგრების გაგანიერებითა და კლდეში შეჭრით მიღებული გამოქვაბულები—საბრძოლო გამოქვაბულებს წარმოადგენენ, თარო-სანგრების ზემოთ მდებარე და ბუდეებად განლაგებული გამოქვაბულები სახიზარებს შეადგენენ.

ზოგიერთ სახიზარ-გამოქვაბულში მოთავსებულია სამეურნეო ხასიათის ნაგებობა—თონე, წყლის ცისტერნები, ცალკეული იზოლირებული, მკვიდრი კედლით შემოღობილი საკუჭნაოები. ასეთი გამოქვაბული საზოგადო სარგებლობის დამხმარე სამეურნეო სათავსოს წარმოადგენდა.



პირღებულის მღვიმე ჭალის ხრამში.

ფოტო. ნ. ერქომაიშვილისა.

სახიზარები ხშირად შეერთებულია გარეგანი კიბეებითა და ბილიკებით, და, ხანდახან, კლდეში გამოკვეთილი საკომუნიკაციო გვირაბებითა და ხვრელებით. სახიზართა ბუდე ზოგჯერ ხვრელით უკავშირდებოდა წყაროს. ასეთი წყაროები დღესაცაა შერჩენილი. სახიზარი ბუდეები უმთავრესად კბოდეებზეა განლაგებული და მათგან ხშირად ბილიკი ან ხვრელი ხორხისკენ მიდის. თუ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე-ქვაბს არ ქონდა წყლის მუდმივი წყარო, წვიმის დროს ხორხი წყლის დროებით სადინარს წარმოადგენდა და აქ ადვილი იყო წყლის დაგროვება.

თვით მთავარი გამოქვაბული (ზედაპირულ საფორტიფიკაციო ნაგებობებთან ანალოგიით მას შეიძლება დ ე დ ა — ც ი ხ ე ვუწოდოთ) ვრცელსა და კარგად მოწყობილ გამოქვაბულს წარმოადგენს. მაგალითად, ზურტაკეტის ციხე-ქვაბის დედა-ციხის ფართობი 150 კვადრატულ მეტრამდეა.

ქარაფის თავზე ან ყველაზე გამოშვერილ კბოდეზე სამზერი გამოქვაბულია მოთავსებული, რომლიდანაც ჩანს შემდეგი სამზერი ან მახლობელ ციხის საგუშაგო გოდოლი.

ერთმანეთთან დაკავშირებული სამზერი გამოქვაბულების და ციხეთა საგუშაგო გოდლების მორიგეობა ქმნიდა ხეობის კავშირგაბმულობის მთლიან სისტემას.

ქციის ხრამის 45 კილომეტრის მანძილზე ასეთი სისტემის არსებობა სავსებით ცხადია და მის ძირითად საყრდენ პუნქტებს შეადგენენ: მოდინახეს ციხე ლიპარიტის უბნის ციხე-ქვაბის სამზერები, ქციის ციხე, ციხნარის სამზერები, ხულუტის ციხის სამზერები, ხულუტის ციხე—ბერიქალას ციხის სამზერები—პირღებულის სამზერები—სამღერეთის ძირის სამზერები—ორბეთის ძირის სამზერები—სამშვილდის ციხე და ასე ნახიდურამდე.

ქციის ხ რ ა მ შ ი რამდენიმე ციხე-ქვაბია მოთავსებული, რომლებიც ურთიერთ დაკავშირებული არიან თავდაცვის საერთო სისტემით და ერთი საბრძოლო სათავდაცვო ამოცანებით.

ხრამი შეადგენდა ერთი გეგმით აგებულ სათავდაცვო კომპლექსს ანუ როგორც მას დღეს უწოდებენ—გამაგრებულ რაიონს. ვინაიდან ასეთი გამაგრებული რაიონი ორგანიზაციულად დაკავშირებული იყო ადმინისტრაციულ რაიონთან—ხ ე ო ბ ა ს თ ა ნ, ხოლო ვახუშტი ხეობასა და მის ფარგლებში მდებარე ხრამს მჭიდროდ უკავშირებს ერთმანეთს, ამიტომ ჩვენ მას ც ი ხ ე - ხ რ ა მ ს ვუწოდებთ.

ასეთი, ერთი გეგმითა და ერთი ჩანაფიქრით აგებული, ციხე-ხრამები ჰქონდა ქვემო ქართლის ყველა ადმინისტრაციულ რაიონს (სადაც—კი ამას ბუნებრივი პირობები უწყობდა ხელს, ე. ი. სადაც ხრამები იყო).

მდ. ქციის სათავიდან, რომ მოვყვეთ, შეიძლება ათიოდე ციხე-ხრამი დავასახელოთ: თეზისა (ახლანდელ ს. ავრანლოსთან), ეძანის (წალკასა და ს. ტაშბაშს შუა), ზურტაკეტისა (ახლანდელი ყარაბულახის ხეობა) ქციისა (სამშვილდის და მიმდებარე მონაკვეთზე ქციის ხეობისა), ჭივჭავისა, მირთაშენისა (ახლანდელ სოფ. სისკალას მიდამოებში), ნახიდურისა (ახლანდელი არუხლოს ზემოთ).

თითოეული ციხე-ხრამი რამდენიმე ციხე-ქვაბისაგან შედგება, ხოლო ციხე-ქვაბი 10-12 გამოქვაბულისაგან. ამგვარად, ქციის ხეობის მღვიმე-გამოქვაბულთა საერთო რიცხვი ათასს აღწევს. საინტერესოა, რომ ციხე-ხრამები სრულიად უზრუნველყოფდნენ მიმდებარე რაიონების მოსახლეობის გახიზვნას.

ამ მღვიმე-გამოქვაბულთა შესწავლა მხოლოდ ახლა დაიწყო და, ცხადია, რომ მრავალი წლები მოუნდება ამ ვრცელი და მეტად საინტერესო სამყაროს

თუნდაც აღრიცხვა-შემოვლას. ჯერ მხოლოდ ფარდის კიდე ოდნავ აეხადა საიდუმლოებით სავსე მიწისქვეშა სამყაროს ჩვენი ქვეყნისა. წინაა ათასი ახალი აღმოჩენა, ბუნებისა და ხელოვნების ათასი შესანიშნავი ძეგლი, რომელიც ბუნებამ და ჩვენი წინაპრების შრომამ შექმნა. ამ მღვიმე-გამოქვაბულთა შესწავლაში უნდა ჩაერიოს ახალგაზრდობა, რათა გამოვამზეუროთ და საქვეყნო, სახალხო კუთვნილებად გავხადოთ ის, რაც დღეს მიწისქვეშეთის უკუნეთი სიბნელით არის მოცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაცხი. XI ს.

ვახტანგ დოლიძე
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით-გარეჯის გამოქვაბულთა კომპლექსი

კახეთის მრავალ თვალსაჩინო კულტურულ-ისტორიულ ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრებს. თავის მასშტაბით, ისტორიული ცხოვრების ხანგრძლივობითა და ხელოვნების ნაწარმოებთა სიუხვით ეს კომპლექსი მსოფლიო მნიშვნელობის განსაკუთრებულ ძეგლადაა მიჩნეული. მაგრამ მისი ჯეროვანი შესწავლა-შეფასება მხოლოდ საბჭოთა საქართველოს პირობებში ხდება. აკად. გიორგი ჩუბინაშვილმა გამოიკვლია დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები, ცალკე ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა მათ, რითაც საფუძველი დაუდო გამოქვაბულთა კომპლექსების მეცნიერულ შესწავლის საქმეს საქართველოში.

თბილისიდან სამოციოდე კილომეტრის მანძილზე, გარე-კახეთის სამხრეთ კიდეში გადაჭიმულია უწყლო და უტყეო, ძლიერ დასერილი მრავალმთა გარეჯისა. მის უმაღლეს ქედებიდან ფართო და შორი ხედები იშლება მტკვრისა და ივრის ხეობების გაყოლებით და თბილისამდე, რომლის უკანა პლანზე მთაგრეხილთა მოლურჯო სილუეტი ისახება. მონასტრების ადგილმდებარეობის ბუნება—ჩაკეტილი, შიშველი მთაგორაკიანი უბნები თანაბარი გადასვლებით ან უცნაური კონფიგურაციით—მკვეთრად განსხვავდება საქართველოს სხვა ახლომდებარე ნაწილებისაგან. გარეჯის უდაბნოს მონასტრები VI საუკუნის პირველ ნახევარშია დაარსებული. პირველი მონასტრის დამაარსებელია—საქართველოში დაბრუნებული ერთ-ერთი 13 ასურელ მამათაგანი, მკაცრი ასურული ასკეტიზმის მიმდევარი—დავითი. იგი თავდაპირველად თბილისის ახლოს, დასავლეთით მდებარე იმ მთაზე დასახლებულა, რომელსაც შემდეგში „მთაწმინდა“ ანუ ,,მამადავითი‘‘ ეწოდა. უფრო გვიან დავითი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გადადის გარეჯის უდაბნოში, სადაც მზისაგან გადამწვარი მთების პირქუში, უნუგეშო ბუნება უფრო უპასუხებდა დავითის ფსიქოლოგიასა და მოღვაწეობას. ამ უკაცრიელი მთების ერთ ნაპრალში მათ იპოვეს სამყოფელი-პატარა, ბუნებრივი მღვიმე. ასე დაედო საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილია, როგორც დავით-გარეჯის ლავრა და, სადაც ერთ მღვიმეში წვეთ-წვეთობით იკრიბება წყალი—ლეგენდის მიხედვით „დავითის ცრემლის წყალი“.

ლავრა მოქცეულია მთის ნაპრალში, რომლის ორსავე მხარეს ხელოვნური მღვიმეებია განლაგებული მრავალ რიგად, ერთი მეორის ზემოთ. დროთა ვითარებაში კედლებითა და საგუშაგო კოშკებით გამაგრებულ შიდა ეზოს ფართობზე ხეხილი გაშენდა, აიგო ეკლესია და საცხოვრებელი კოშკები. მაგრამ სადგომების ძირითადი მასა მღვიმეებს წარმოადგენს. მათ შორისაა ეკლესიები, მრავალი მღვიმე განდეგილთათვის, პატარა საერთო საცხოვრებლები მცირე სამლოცველოთი ან სატრაპეზოთი და ა. შ. საერთო სამონასტრო მნიშვნელობის

სადგომები—საჯინიბო, საწყობები და სხვ. აგრეთვე წვიმის წყლის შესაგროვებელი სისტემა—წყალმიმღები ღარები და წყალსატევები ხელოვნურადაა ნაკვეთი მთის მასივში.

გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ძირითადი ცენტრი—დავითის მონასტერი—დროთა ვითარებაში ძალიან გაიზარდა და მას განშტოებები შეექმნა ყველა მიმართულებით. ჯერ კიდევ დავითის ცხოვრებაშივე მონასტერმა ორი განშტოება წარმოქმნა, ე. წ. დოდოს რქის მონასტერი და შემდეგ ნათლისმცემლის მონასტერი. უფრო გვიან ნათლისმცემლის მონასტრის მეზობელ მთის ქედზე ამავე მონასტრის გაგრძელება შეიქმნა. ასევე, დავითის მონასტრის ზემოთ, მთის ნაპრალის მეორე მხარეზე გაჩნდა დიდი სავანე—უდაბნო; ცალკე ქედებზე წარმოიშვა ჩიჩხიტური და ბერთუბანი. ამრიგად, დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა შორი-შორს მდებარე გამოქვაბულ მონასტერთა კომპლექსი, რომელიც დაახლოებით ოცდახუთ კილომეტრიან ზოლზე განლაგდა.



ლავრის საგუშაგო კოშკი.

ფოტო ნ. კეცხოველისა

აქ ასობითაა ხელოვნური მღვიმე. მონასტერთა შემადგენლობაში დროდადრო ათასობით წევრი ითვლებოდა. მონასტერთა ამ ჯგუფის ცხოვრება თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ქართველი ხალხის, როგორც რელიგიურ, ასევე საერთოდ კულტურულ ცხოვრებაში. ამ მონასტრებმა XIX საუკუნის დასასრულამდე იარსება. ამრიგად, დავით-გარეჯის გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსის განვითარება შუასაუკუნეების ფეოდალური საქართველოს არსებობის მთელ პერიოდთანაა დაკავშირებული. მთელი ამ პერიოდის მანძილზე

გარეჯის მრავალმთა განსაკუთრებულ სამყაროდ გვევლინება. აქ იყო მაღალი კულტურის მქონე ბერების კრებული, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სულიერი კულტურის განვითარებას. ამიტომ აქ გამომუშავდა სამონასტრო ცხოვრების საკუთარი წესი, გამოქვაბული სადგომების თავისი, დამახასიათებელი გადაწყვეტა, ფრესკული მხატვრობის საკუთარი სკოლა და, უეჭველია დანერგილი იყო ლიტერატურაც. ამასთანავე თვით მონასტრის დაარსებიდან მოყოლებული, სამონასტრო ცხოვრების ყველა მხარემ, და კერძოდ, სადგომთა მოწყობა-ორგანიზაციამ განვითარების გარკვეული ეტაპები გაიარა. ადრინდელი ეტაპის საუკუნეები ხასიათდება ყველა იმ ტრადიციის გაგრძელებით, რომელიც დავითის მიერ იყო დანერგილი, მხოლოდ თანდათანობით ხდება მათი გარდაქმნა. გარეჯის უძველესი სადგომები მცირე ზომისა, და არაწესიერი, ბუნებრივი ფორმის მღვიმე-სენაკებია, რომელნიც მოკლებულია ყოველგვარ გაფორმებასა და მოხერხებულობასაც კი. აქ ყველაფერი უპასუხებს მოწამეობრივ მოღვაწეობასა და უკიდურეს ასკეტიზმს.

უფრო გვიანდელ სადგომთა შორის სხვაგვარი ფორმის სენაკები გვხვდება. დაიწყეს სენაკების კვეთა კლდეში ერთ ცენტრიდან მეტნაკლებად თანაბრად ყველა მიმართულებით. ამრიგად, შეიქმნა წრესთან მიახლოვებული გეგმა და ანალოგიურად გაკეთდა სადგომის ზემოთა ნაწილი—იგი უახლოვდება კამაროვან ფორმას.

საგულისხმოა, რომ ამ მცირე ზომის, დაბალი სენაკების შიგნით გამოყოფილია სხვადასხვა დონეზე ვიწრო თარო, რომელიც თვით სენაკის ფორმას გასდევს.

ამგვარი მარტივი ფორმის სენაკები, რომელთა ნიმუშებიც მრავალმთის სხვადასხვა სამონასტრო განშტოებებშია შემორჩენილი, თავისთავად მოწმობს, რომ უკვე ადრინდელ ეტაპზე მონასტრებში მრავალრიცხოვანი ბერ-მონაზონი და განდეგილი ცხოვრობდა.

დავით-გარეჯის მონასტერთა შემდგომი განვითარება ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწის ილარიონ ქართველის სახელთანაა დაკავშირებული. მან შექმნა დავითის მონასტრის საფილიალო განყოფილება IX საუკუნის შუალედში და მამულიც შესწირა მას. ილარიონის ფილიალის მთავარი სადგომები ლავრის მთის ნაპრალის სამხრეთ ნახევარში მდებარეობს. ფილიალი გამოქვაბულთა მთელ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც ეკლესიას, სატრაპეზოსა და სხვა სადგომებს შეიცავს. თუმცა აქ ზოგი რამ დანგრეულია და გვიანდელი დანამატებიც ჩანს, ძირითადი, ძველი სახე მაინც შემონახულია. კომპლექსი მკვეთრად გამოიყოფა სადგომთა დამუშავებით: ეკლესიაში დაცულია გეომეტრიული ფორმების წესიერი მოხაზულობა და სიმეტრია, კამარა აქ ნახევარცილინდრულია, გრძივ კედლებში ამოკვეთილია დეკორატიული თაღედი. არა ნაკლებ მაჩვენებელია აბსიდის თაღის შეწყვილებული ლილვი და იმპოსტების გაფორმება. სატრაპეზოში ამოკვეთილია წყალსატევი, გამოყენებულია ორმალიანი ღრმა თაღედი, ნიშები და სხვ. ერთ-ერთ დიდ სადგომში, გარდა ნიშთაროებისა, ფართო და გრძელი ნიშებიცაა გაკეთებული დასაწოლად ან ჩამოსაჯდომად.

ილარიონ ქართველის კომპლექსი მთლიანად ცხადად გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში გარეჯის მონასტრები დოვლათიანსა და მოხერხებული ცხოვრების განვითარების გზას დაადგნენ.



დავით გარეჯა. უდაბნო, სატრაპეზო.

ე. ლანსერეს აქვარელი.

ილარიონის სამშენებლო ინიციატივა არ იფარგლება მხოლოდ ახალი ობიექტების შექმნით. მონასტრის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში იგი აფართოვებს დავით-გარეჯის უმთავრეს ეკლესიას, რომელშიც დაკრძალული არიან დავითი და ლუკიანე. ილარიონის მიერ ამოკვეთილი ამ ეკლესიის ფორმები მეტად თავისებურია. საკუთრივ ეკლესიის წაგრძელებულ დარბაზს სწორკუთხა მოხაზულობის მოკლე სადგომი ეკვრის ჩრდილო მხარეს. იგი გასასვლელით უკავშირდება ეკლესიის აბსიდს და მეორე ფართო გასასვლელით ეკლესიის დარბაზს. ამ ფართო გასასვლელის ზონის ერთ ბოლოში დავითის საფლავია ეკლესიის ნიშაში, მეორე ბოლოში კი—ლუკიანესი, გვერდითი სადგომის ნიშაში. ამ განლაგებამ რანგის მიხედვით—მასწავლებლის საფლავისა



დავით-გარეჯი. ლავრა.

ფოტო ნ. კეცხოველისა.

ეკლესიაში და უახლოესი მოწაფისა—მახლობლად, მაგრამ მაინც თვით ეკლესიის გარეთ, ეკვდერიანი ეკლესიის რთული ფორმა წარმოქმნა. იგი შემდეგში კანონიკური გახდა ამოსაკვეთ ეკლესიისათვის. გარეჯის მონასტერთა განვითარების შემდგომ პერიოდში გარკვეულ მიჯნას წარმოადგენს სელჯუკი თურქების განდევნა XI საუკუნის დასასრულს, რის შემდეგაც იწყება გარეჯის კომპლექსის სწრაფი ზრდა და აყვავება. მშენებლობა თავის მწვერვალს აღწევს სახელმწიფოს საერთო ეროვნული კულტურულ-პოლიტიკური აღმავლობის დროის XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე. ამ დროისათვის თითოეული მონასტერი ორგანიზებულად შეკავშირებულ, მთლიან სახეს იძენს. ახლა მონასტერი კარგად დაყენებული შემოსავლიანი მამულების მფლობელი და გამრიგებელია. მონასტერი მსხვილ საწარმოო-სამეურნეო და საგანმანათლებლო ორგანიზაციად ხდება. ამ პირობებში არა მარტო გასაოცრად იზრდება რამდენიმე კილომეტრზე

დავითის ლავრა, დოდოს რქა და ნათლისმცემელი, არამედ ბერ-მონაზონთა რიცხვის სწრაფი ზრდა მთელ სამონასტრო ახალ წარმონაქმნების გაჩენას იწვევს. მათ შორის განსაკუთრებით მეტყველი და მაჩვენებელია ერთდროულად შექმნილი ბერთ-უბანი. მონასტრის ცენტრშია კანონიკური ფორმის ეკლესია სამსხვერპლო-ეკვდერით ჩრდილო მხარეს; ეკლესიის გვერდით დიდი სატრაპეზოა და შემდეგ ორსავე მხარეს სენაკებია განლაგებული. ამ პერიოდის სენაკი უკვე მხოლოდ და მხოლოდ ავდრისა და სუსხისაგან თავშესაფარს აღარ წარმოადგენს, არამედ ჩვეულებრივად აშენებული, წესიერი გეომეტრიული ფორმის საცხოვრებელი სადგომებია. აღსანიშნავია, რომ რეგულარული ფორმის დამკვიდრებასთან ერთად, ჩნდება მორთულობა, ცალკეული პატარა ეკლესიები მოხატულია, გაჯის შელესილობაზე ჩუქურთმას ჭრიან და სხვ. ახლის ნიშნები მხოლოდ მთავარი ეკლესიების, საერთო სატრაპეზოებისა და სპეციალურად ამოკვეთილი სენაკების მაგალითებით არ ამოიწურება. როგორც აღინიშნა, თითოეული მონასტერი ერთიან, ორგანიზებულ სახეს ღებულობს. იქმნება, კლდეში ნაკვეთი გასასვლელებისა და საფეხურების სისტემა, რომელიც ურთიერთ აკავშირებს ცალკეულ სადგომებს; მთელ მონასტრისათვის კეთდება გარეგანი, წვიმის წყლის შესაგროვებელი სისტემა (ცისტერნები, ღარები და სხვა). გარდა ამისა, მსგავსი წყალმიმღებები სპეციალურად გაყავთ საერთო სატრაპეზოებში (ბერთუბანი, უდაბნო, დოდოს რქა). გამოქვაბულებში უკვე აკეთებენ დიდ, ქვევრის მსგავს ბეღელსა და სხვა. ზოგან სპეციალურ მღვიმეში მოწყობილია ცხენის საბმური და ბაგა საქონლის საკვებისათვის.

სადგომთა გადაწყვეტის ახლებური მიდგომა განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს მთავარ ეკლესიებსა და საერთო სატრაპეზოებში. თუმცა გარეჯის მრავალმთის მონასტერთა მთავარი ეკლესიები ლავრის იმ ეკლესიის ფორმებს იმეორებს, რომელშიც დავითისა და ლუკიანეს საფლავებია, მათი ზომები გადიდებულია. განსაკუთრებით გაზრდილია სიმაღლე და გაძლიერებულია განათება. ამასთანავე, კედლის მხატვრობას დიდი როლი ენიჭება სადგომთა ახლებურ გადაწყვეტაში. კერძოდ, ბერთ-უბნის ეკლესიისა და სატრაპეზოს მოხატულობა თავისდათავად სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ხელოვნებაში.

ამრიგად, დავით-გარეჯის XII—XIII სს. მიჯნის მონასტრის სურათი მთლიანად მკვეთრად განსხვავებულია ადრინდელ პერიოდის მაგალითებისაგან. აქ გვაქვს სრული გაგება მონასტრის ცხოვრების მოხერხებულობისა და მისწრაფება გამოქვაბულებში ისეთი სადგომების შექმნისაკენ, რომელნიც თავისი დროის კულტურულ მოთხოვნებს უპასუხებს. ასევე, კულტურის ახალი ელემენტები— დიდებულება, გრანდიოზულობა, ფართო თავისუფალი სივრცისადმი ინტერესი და საგანგებო თვითშეზღუდვის უარყოფა, მთელი ძალით გამოისახა ამ ეპოქაში შექმნილ მდიდრულად მოხატულ მთავარ ეკლესიებსა და საერთო სატრაპეზოებში. ამასთანავე დიდებულების შთაბეჭდილება მიღწეულია არა მარტო ამ სადგომების ზომითა და ფორმებით, არამედ, უმთავრესად, კედელზე გადაშლილი მოხატულობით.

ყველა ერთად ეპოქის ნიშანდობლივ ტენდენციას გამოსახავს ადრინდელ უბრალოებისა და უშუალობის ნაცვლად, ახლა ზეიმურობისა და ბრწყინვალების ჩვენება.

გაიანე ალიბეგაშვილი, ნელი ვოლსკაია
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით-გარეჯის მოხატულობა

დავით-გარეჯის უდაბნოს მზით გადამწვარ შიშველ კედლებში შემონახულია არა მარტო გამოქვაბულები—სამონასტრო კომპლექსთა მნიშვნელოვანი ძეგლები; ამ გამოქვაბულთა კედლების უმეტესობა ახლაც დაფარულია (გადარჩენილი ფრაგმენტების სახით) ფრესკებით. დავით-გარეჯის მხატვრობა, თავისი მდიდრული ფერადოვნებით, აშკარა მეტოქეობას უწევს გარემომცველ ბუნებას, რომლის ზღაპრული ცვალებადობა ასეთი ოსტატობით გადმოგვცა ევ. ლანსერემ თავის აკვარელებში.

დავით-გარეჯის ფრესკები ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურის მეტად მდიდარსა და საინტერესო მასალას გვაწვდის; ეს მასალა აშკარა დადასტურებაა იმ მრავალფეროვანი მხატვრული ცხოვრებისა, რომელიც საქართველოს ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამონასტრო ცენტრში აღმოცენდა და განვითარდა.

დიდი სიძველისა და განსაკუთრებული მდგომარეობის გამო (ისინი ამოკვეთილნი არიან მთის ქანების სისქეში), ძეგლები ძალზე ცუდადაა შენახული: ბევრგან კედლებზე შერჩენილია მხატვრობის მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები, მაგრამ მთლიანად—ესაა უაღრესად მდიდარი და საინტერესო მასალა, რომელშიც შეიძლება გამოირჩეს საკმაოდ რიგიანად და თითქმის სრულად შენახული ფრესკებიც, მაგ., ბერთუბნის ტაძრისა და სატრაპეზოს მხატვრობა, ანდა ხარებისა და მოწამეთას ტაძრების მხატვრობა „უდაბნოში".

ქრონოლოგიურად დავით-გარეჯის ფრესკები დიდ პერიოდს მოიცავს X საუკ. მოყოლებული ვიდრე XIV საუკუნემდე.

მოხატულობათა კოლორიტი, საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ბიზანტიური ფერწერის კანონებისადმი თავისუფალი მიდგომა, გამოხატული სცენების თავისებური გამომსახველობა, ნებას გვაძლევს ვიმსჯელოთ გარკვეულ ფერწერის სკოლის შესახებ დავით-გარეჯაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ამ მხატვრობისადმი ინტერესს ამახვილებს, არის ის რომ, დავით-გარეჯის ფრესკებმა შემოგვინახა ქტიტორთა მრავალრიცხოვანი პორტრეტები; მათ შორის საქართველოს მეფეთა პორტრეტები—თამარ მეფე და მისი ძე გიორგი ლაშა (ბერთუბნის ეკლესია), მეფე დიმიტრი თავდადებული (უდაბნოს ეკლესიის მოხატულობა); უდაბნოსა და ნათლისმცემლის ეკლესიათა მოხატულობამაც შემოგვინახა ქტიტორთა პორტრეტების მთელი გალერეა.

ბერთუბნის ტაძარი ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი და მისი კედლები დაფარულია ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი სცენებით. ამ სცენებიდან თავისი ზომითა და ადგილმდებარეობით გამოირჩევა ზემოხსენებულ ქტიტორთა პორტრეტები თამარ მეფისა და მისი ძის ლაშა გიორგისა. დედაშვილის გამოსახულება, გიორგის ასაკი (იგი წვერითაა წარმოდგენილი) და

მეფედ კურთხევის ცერემონიალის ატრიბუტები (გვირგვინი და ხმალი) საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ მხატვრობის თარიღი: იგი შესრულებულია თამარის სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც ლაშა, უკვე მოწიფული ასაკისა მეფედ იყო კურთხეული.

ეს პორტრეტები ტაძრის ჩრდილოეთ კედელზეა გამოსახული ეკლესიის შესასვლელის (სამხრეთითაა) პირდაპირ, ასე რომ შენობაში შესულს ისინი მაშინვე ხვდებიან თვალში, მით უფრო, რომ პორტრეტები ბევრად ჭარბობს



ბერთუბანი, თამარ მეფისა და გიორგი ლაშას გამოსახულება ეკლესიის ჩრდ. კედელზე.

ფოტო ვ. ცინცაძისა

თავისი ზომით სხვა გამოსახულებებს. ქტიტორთა პორტრეტების შეფარდება ღვთისმშობლის გამოსახულებასთან აშკარად მოწმობს, რომ ქართველი ოსტატი სრულიან დამოუკიდებელია ბიზანტიური ხელოვნების მიერ დაკანონებული სქემებისაგან. ღვთისმშობელი აქ მნიშვნელოვნად შემცირებულია ქტიტორებთან შედარებით, და იგი სათანადოდ მოჩარჩოებული, პატარა ხატის შთაბეჭდილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას სტოვებს. საერთო ისტორიული მომენტების ამგვარი გამოყოფა ქართულ მხატვრობაში, როგორც ამას სხვა ძეგლებიც ადასტურებს, ჩვეულებრივი მოვლენაა და, მაშასადამე, თვითმყოფადი.

ბათქაშის ნათელი მონაცრისფრო, თითქმის თეთრი ტონი, რომელიც ფონადაა გამოყენებული, გარკვეულ თავისებურებას ანიჭებს ბერთუბნის მხატვრობას. ცალკეულ სცენათა თავისუფალი კომპოზიცია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მკვდარ შაბლონთან და ფონის მხატვრული ეფექტი (იგი თითქოს



ბერთ-უბანი, ჩრდ. კედელი, ხარება იაკობისა.

ფოტო ვ. ცინცაძისა

შუქს ჰფენს მთელ მხატვრობას) ჩვენი ოსტატის თავისებურ ინდივიდუალობაზე მიგვითითებს.

დასავლეთის მინაშენში შემონახულია დაუმთავრებელი მხატვრობა, რომლის ფიგურები შესრულებულია ძლიერი და გამომხატველი მონახაზით. როგორც ჩანს, მინაშენის მოხატვა უფრო გვიან დაუწყიათ და მტრის შემოსევის გამო შეუწყვეტიათ.

სატრაპეზოს და ეკლესიის მხატვრობა, აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ერთი და იმავე ხელითაა შესრულებული. ამას ის მოწმობს, რომ ცალკეული სცენების აგებასა და მხატვრობის საერთო სისტემაში ამოცანისადმი მსგავსი მიდგომა ჩანს. მაგრამ მათ შორის არის განსხვავებაც, რაც გამოწვეულია სატრაპეზოსა და ეკლესიის ნაგებობის სხვადასხვა ხასიათით (სატრაპეზო დაბალი და ბნელია) და მათი დანიშნულების სხვადასხვაგვარობით. სატრაპეზოს მხატვრობის სცენებს შინაარსის მხრივ აერთიანებს სულიერი და ხორციელი საზრდოს თემა. განსაკუთრებით საინტერესოა გამოხატულება დავით გარეჯელისა, რომელიც წველის ირმებს. ეს სცენა ადგილობრივ იკონოგრაფიას უკავშირდება. მთლიანად მხატვრობა საზეიმო და დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს.



დავით-გარეჯი. დოდოს რქის მოხატულობა.

ფოტო ნ. კეცხოველისა.

აკად. გ. ჩუბინაშვილის დასკვნით, ბერთ-უბნის ტაძრისა და სატრაპეზოს მხატვრობა დავით-გარეჯის ფერწერული სკოლისათვის განვითარების უმაღლეს წერტილად გვევლინება.

„უდაბნოს“ მონასტრის მხატვრობაში აღსანიშნავია ხარების ეკლესიის მხატვრობა ქტიტორის პორტრეტით. შემორჩენილი წარწერა ნებას გვაძლევს აქ გამოსახული პირი დიმიტრი II თავდადებულად მივიჩნიოთ.

მხატვრობის საერთო დეკორატიული სისტემა, ცალკეული კომპოზიციების ხასიათი და შესრულების მანერა, ამჟღავნებს ერთგვარ ნათესაობას მინიატურათა მხატვრობასთან, რაც შუასაუკუნეების მხატვრობის სხვადასხვა დარგებს შორის ურთიერთ კავშირის პრობლემებს აყენებს.

ამ მხრივ, დამატებით მასალას გვაძლევს ორნამენტული ზოლი, რომელიც მოთავსებულია ამავე გამოქვაბულების ერთ-ერთ შესასვლელში. ნაცრისფერ



დავით გარეჯა. უდაბნო, ამაღლების ეკლესია.

ე. ლანსერეს აქვარელი.

ფონზე შავი ნახატით გამოსახულია „S“-სებურ ორნამენტში ჩაქსოვილი ბა[illegible] თავები; ეს მოტივი უშუალო პარალელებს პოულობს 1198 წ. ქართული ხელ-ნაწერის—A-65 ორნამენტში.

მხატვრობის თავისებური კოლორიტი, ლიმონის ფერი ყვითელისა და მუქი ლურჯის შეხამებანი ადგილობრივი ოსტატების პალიტრის სიმდიდრეს მოწმობს. მიუხედავად ინდივიდუალური გამომსახველობისა, ფერთა შემადგენლობის მხრივ, „უდაბნოს“ მხატვრობა ბერთუბნისას უახლოვდება. ამავე დროს „უდაბნოში“ არის მხატვრობა, შესრულებული ფერთა უფრო ღია გამით, რომელშიც გამოირჩევა მწვანე, ყვითელი, მოწითალო მოყავისფრო. როგორც ჩანს, ეს განსხვავება შეპირობებულია იმით, რომ უდაბნოს მთავარი ეკლესიის მხატვრობა და სატრაპეზოს ადრეული ფენების შესრულება განეკუთვნება ადრეულ პერიოდს—XI-ს, რასაც მოწმობს ამ მხატვრობის საერთო ხასიათი; საინტერესოა, რომ უდაბნოს სატრაპეზოში ეს პირვანდელი ფენა ჩანს უფრო გვიანდელი მხატვრობის ქვეშ, რომელიც ხარების ეკლესიის მხატვრობას უახლოვდება.



დავით-გარეჯის მოხატულობის ფრაგმენტი

უდაბნოს მთავარ ეკლესიაში შემონახა სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან. ეს სცენები, ისევე როგორც მოწამეთას ეკლესიაში გამოსახული სცენები, ასურათებენ წმინდანის ცხოვრების ზოგიერთ ნაწილებს იმ ვერსიიდან, რომელიც XI-ს I ნახევარს განეკუთვნება.

ქტიტორების გამოხატულებათა არსებობა უდაბნოს ეკლესიებში მოწმობს, რომ მონასტრები ამ ადრეულ ეპოქაშიც ბევრ შეწირულებას ღებულობდნენ.

უდაბნოს მხატვრობის მრავალრიცხოვან ფრაგმენტებს შორის უნდა გამოვყოთ ერთ-ერთი ეკლესიის აბსიდის მხატვრობა ამაღლების სცენით. რაკურსები, მეტყველი თავები, მოძრაობათა დინამიკურობა გამოარჩევს ამ მხატვრობას ყველა დანარჩენ, უძველეს მხატვრობათა შორისაც კი; მისი შესრულების ხანაც ადრეულ (არაუგვიანეს XI ს.) პერიოდს განეკუთვნება.

თუ მეორეხარისხოვანი ნაგებობანი ასე გულუხვად იყო მორთული, მით უფრო უნდა მოეკაზმათ დავითის ლავრისა და „ნათლისმცემლის“ კედლები. ამას მოწმობს მხატვრობის ცალკეული ფრაგმენტები და ის, რომ „დოდოს რქაში“, ჩამოცვენილ ნალესობის ქვეშ, აღმოჩნდა მხატვრობის ნაწილი, რომელიც ახლოსაა თავისი ხასიათით უდაბნოს ეკლესიის ძველ მხატვრობასთან.

დავით-გარეჯის მხატვრობათა თავისებური ხასიათი, რომელიც იქმნებოდა „ბიზანტიური“ მხატვრობის ცენტრებისაგან მოშორებით, აძლევს საშუალებას გ. ჩუბინაშვილს, მის ნაშრომში დავით-გარეჯის მონასტრების შესახებ, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნოს ამ მხატვრობათა მნიშვნელობა და წამოაყენოს პრობლემები—ძველი მხატვრობის ურთიერთობის შესახებ ქრისტიანულ და მუსლიმანურ აღმოსავლეთის ხელოვნებასთან, ბიზანტიურ ხელოვნებასთან და ბოლოს, დასავლეთ ევროპის მხატვრობის პირველ ეტაპთან*.

* გ. ჩუბინაშვილი, დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები, თბ. 1948, გვ. 83.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ცინცაძე
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

# კ ა ც ხ ი ს  ს ვ ე ტ ი
## V-VI საუკ. ხუროთმოძღვრების ძეგლი

ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოს—იბერიასა და დასავლეთ საქართველოს—ლაზიკას განთქმული სასაზღვრო პუნქტები—შორაპანი და სკანდე, V—VI საუკუნეებში მსოფლიოს ორ ძლიერ სახელმწიფოთა—ბიზანტიისა და ირანის ინტერესების შეხების სარბიელს წარმოადგენდა. საქართველოს სულიერი კულტურის სფეროში კი ამ დროს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მისი აღმოსავლეთის და დასავლეთ ნაწილების თანდათანობით დაახლოება იყო. არგვეთი უნდა ვიგულისხმოთ იმ ტერიტორიად, სადაც განსაკუთრებით ცხოველი იყო ამ ორი ნაწილის ურთიერთობა კულტურის დარგში. არგვეთის ერთ-ერთ საყურადღებო პუნქტს ამ დროს, როგორც ჩანს, კაცხი წარმოადგენდა.

შორაპანს ზევით ყვირილას კაცხის წყალი უერთდება, მაღლა კაცხის წყალის სათავესთან „ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი ვითარცა სვეტი ფრიად მაღალი, მის კლდის თხემზე არის ეკლესია მცირე. არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა“-ო გადმოგვცემს ვახუშტი.

1944 წელს ექსპედიციის წევრები—ალპინიზმის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე ჯაფარიძე, მწერლები ლევან გოთუა, აკაკი ბელიაშვილი და მე ავედით სვეტის თხემზე.

აკად. ბროსე სვეტს ადარებს სენ მიშენის კლდეს ქ. პუი-ში, და აქვე დასძენს სახელი „კაცხი“ ქართული ენისა არ არისო. აკად. ა. შანიძემ განმარტა, გეოგრაფიული ტერმინი „კაცხი“ სვანური სიტყვაა და მწვერვალს,—კაცხ-ს აღნიშნავსო.

კაცხის ამ კლდის დღემდის შერჩენილი დასახელება: „ძელი ცხოველი“ და „სვეტი ცხოველი“ ქრისტიანობის ამ ადრინდელ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, რასაც სვეტის აღმოსავლეთის გვერდზე ამოკვეთილი ჯვარი გვიჩვენებს. ახალმა სარწმუნოებამ „განწმინდა“ სვეტად ამართული კლდე ზედ ჯვარის გამოსახვით. ეს ჯვარი, როგორც გამოსახულების კომპოზიციით, ისე შესრულების ცალკეული მომენტებით, ადრინდელ სირიულ და ბოლნისის ჯვრებს ენათესავება და თავის ბუნებრივ ადგილს IV—V და VI საუკ. დასაწყისის ძეგლებს შორის პოულობს.

სვეტის თხემი სწორკუთხედს წარმოადგენს. (10 x 17 მ.) გარშემო გალავანი აქვს შემოვლებული, რომელიც თხემზე მოპოვებული ქვით არის ნაგები. თხემის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში რამოდენიმე მეტრის სიმაღლის კლდეა ამართული, ამ კლდეში ეკლესიის აფსიდია გამოკვეთილი, რომლის სხვა კედლები აქვე მომტვრეული ქვითაა ნაგები. თხემის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მეორე დარბაზული ეკლესიაა დაცული, ნაგები თლილი, ქვევიდან ამოზიდული, შირიმის ქვით. თხემის დასავლეთის გვერდთან რამოდენიმე ქვევრია ჩაფლული. გალავნის აღმოსავლეთის კედელი, რომელიც თლილი ქვით



კაცხის სვეტი.

აქვარელი ვ. ცინცაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოყვანილი ეკლესიის ჩრდილო აღმოსავლეთის კუთხეს ერწყმის და კლდეში ნაკვეთ აფსიდისაკენ მიემართება, კლდეს არ ედგმის და გალავნის კარს ჰქმნის. ვფიქრობთ, რომ ეს ადგილი იყო მესვეტეთა მიერ ხალხთან ურთიერთობისათვის გამოყენებული.

თლილი ქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესია ორსართულიანია: ზევით ეკლესიის დარბაზი, ქვევით კი—კრიპტა. კრიპტა შიგნიდან ისეთივე ფაქიზად ნათალი ქვებით არის ნაგები, როგორც თვით ეკლესია. კრიპტის კარი შიგნიდან მკვეთრი ნალისებური ფორმის თაღით არის გადახურული. საყურადღებოა, რომ ეკლესიის აფსიდის მოხაზულობას ნალისებური ფორმისაკენ აქვს ტენდენცია.



კაცხის სვეტი.

საერთოდ, ეს ეკლესია გამოირჩევა აღმშენებლობის მაღალი ხარისხით და ხუროთმოძღვრულ ფორმათა დახვეწილობით. ის, რომ მშენებელი ამ სრულიად მიუწვდომელ, მხოლოდ შორიდან აღსაქმელ ძეგლში იყენებს თაღის წმინდა დეკორატიულ-ნალისებურ ფორმას, ამით მჟღავნდება ეპოქისათვის აუცილებელი ესთეტიკური მოთხოვნილება. ეკლესიის ეს თვისებები და ხერხები კარგად არის ცნობილი და დამახასიათებელი საქართველოს VI და VII საუკუნეთა ძეგლებისათვის.

ამგვარად, სვეტის თხემზე აგებულ ორ ეკლესიიდან ერთი ფაქიზი და მაღალი საამშენებლო ხელოვნებითაა ნაგები, როგორც ქვევით უკეთ დავრწმუნდებით: VI საუკ. თარიღდება; მეორე—ამ დახვეწილობას მოკლებული, კლდეში გამოკვეთილი აფსიდით ნამსხვრევი ქვით ნაგები ამოყვანილი კედლებით, ქრონოლოგიურად უფრო ადრე V საუკ. აგებულად უნდა მივიღოთ. მის აშენების პერიოდს სვეტზე ზევით აღნიშნული ტოლმკლავებიანი ჯვარის ამოკვეთის თარიღიც უნდა უახლოვდებოდეს.

ამგვარად, კაცხის სვეტზე აღმშენებლობის ხანა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ძველ პერიოდზე მიგვითითებს.

ამ თარიღის დაზუსტება მესვეტეთა მოძღვრების დაწყების ისტორიული მონაცემებით ხერხდება.

კაცხის სვეტს სვიმონ მესვეტის სახელიც აქვს მისაკუთრებული. ეს სახელწოდება სირიელ მესვეტესაგან მიიღო. სვიმონ მესვეტემ პირველმა 423 წ.

შემოიღო მესვეტეობა. იგი ავიდა სვეტის ფორმის კლდეზე და იქ დაჰყო მთელი სიცოცხლე. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ქართველებს მასთან მჭიდრო კავშირი ჰქონიათ. ანტიოქელ სვიმეონის (596 წ.) „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ „არა ერთხელ მოსულან“—სვიმეონთან—„არამედ მოდიოდნენ ჟამითა-ჟამად, ერი მრავალი ქართველთაი ლიტონიითა და აქუნდა ხელთა მათთა ჯვრები“—ქართველები—„ქადაგობდენ სვიმეონის სახელსა და საქმესა ქვეყანასა მათსა“—



კაცხის „სვეტი“. სვეტზედა ეკლესიები. გეგმა.
ნახ. ვ. ცინცაძისა.

საქართველოში. 506 წელს ქართულ, სომეხ და ალბანელ ეკლესიების საერთო კრებამ ერთადერთ ჭეშმარიტ ქრისტიანობად მონოფიზიტური სარწმუნოება აღიარა, კაცხის მიდამოები იმ დროს, ქართლის დასავლეთ საზღვრებში, არგვეთში მდებარეობდა. აღნიშნული იყო, რომ ამ დროს სულიერ კულტურის სფეროში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ქართლისა და ეგრისის თანდათანი დაახლოება იყო, რაც არგვეთიდან ვრცელდებოდა და, რასაკვირველია, ამ დროს კაცხის სვეტსაც სათანადო როლი უნდა ეთამაშა.

მონოფიზიტურ რწმენას ნიადაგი მალე შეერყა. VI საუკუნის დამლევისათვის ქართლში მონოფიზიტები საბოლოოდ დამარცხდნენ და ქალკედონისტების მიერ უწყალოდ იქნენ დევნილნი.

VI ს. დასასრული სვეტზე აღმშენებლობის თარიღის უგვიანეს მიჯნად უნდა მივიღოთ. მეორე მხრივ, თუ ქართლში მონოფიზიტობის გამოცხადების 506 წ. თარიღს გავიგებთ, როგორც ახალ იმპულსს რელიგიურ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული მხატვრული შემოქმედების გაშლისას, მაშინ ახალი მშენებლობის უკიდურეს მიჯნად 506 წელი უნდა მივიღოთ. ეს თარიღები კი ემთხვევა ზევით მხატვრულ სტილისტური ანალიზით წამოყენებულ თარიღს ე, ი. შემცდარი არ ვიქნებით, თუ სვეტზე მშენებლობის თარიღებად: V ს. კლდეში გამოკვეთილ აფსიდიანსა და VI ს. თლილი ქვით ნაგებ ეკლესიებს მივიღებთ.

კაცხის სვეტს წმინდანად აღიარებული ადგილის მნიშვნელობა დიდხანს არ დაუკარგავს. სვეტის თხემზე შეწყვეტილი მესვეტეობის შემდეგ უნდა იყოს აშენებული ის მცირე ეკლესია, რომელიც სვეტის ძირშია დაცული.

„სვეტის“ სახელწოდებას საქართველოში რამდენიმე ძეგლი ატარებს: სვეტი ულთისის წყლის ხეობაში, უბისის სვეტი, მარტვილის სვეტი და სხვა, რაც შუა საუკუნეების საქართველოს სხვა დროს მიეკუთვნება. ეს ძეგლები მესვეტეთა მიერ განმარტოებით საცხოვრებლად იყო განკუთვნილი და არა მესვეტეთა ასკეტური თვით-მწვალებლობისათვის, რისთვისაც ამ სვეტს სრულიად სხვა ხუროთმოძღვრული სახე, აგებულება და გამოხატულება აქვს.



დავით-გარეჯი. XII ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჟან გიორგაძე

ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის
ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

# XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის, დონ ქრისტოფორო კასტელის, გამოუქვეყნებელი ნახატების ალბომი საქართველოს შესახებ

იტალიელმა მხატვარმა კასტელიმ ოცდაექვსი წელი დაჰყო საქართველოში და ქართველი ხალხის სინამდვილიდან შეადგინა ვრცელი ნახატების ალბომი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ხუთასჩვიდმეტმა სურათმა. მისი გამოუქვეყნებელი ალბომიდან ზოგიერთი ნახატი არაერთგზის იყო გამოყენებული ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ, მაშასადამე, მის ჩანახატებს თავიდანვე ნდობა ჰქონდა მოპოვებული მკვლევართა თვალში, რადგან მასში აღბეჭდილია ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის სურათები.

კასტელის შემოქმედება საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ალბომში მოცემული ნახატები უტყუარ მასალას იძლევა ქართვე-



საქართველოს მეფის მიერ კათოლიკე მისიონერებისათვის ნაბოძები პირველი რეზიდენცია ქალაქ ქუთაისში.

ლი ხალხის ისტორიული ცხოვრების გასაშუქებლად, თითოეული ნახატის შინაარსის გადმოცემას სინამდვილის ამსახველი ღირებულება ენიჭება. კასტელის შრომის გათვალისწინებით ჩვენ საშუალება გვეძლევა ღრმად ჩავიხედოთ XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ვითარების სიღრმეში. მის ნაშრომში უხვადაა წარმოდგენილი იმდროინდელი საყოფაცხოვრებო სურათები, სახელდობრ: სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული იარაღები და მასთან დაკავშირებული—პირუტყვები, სამინდვრე კულტურების დამუშავება-აღება, მეთევზეობის სცენები, მრავალგვარი ნადირობა, საომარ იარაღში ვარჯიში და თვით იარაღები, ტრანსპორტის ზოგიერთი სახეობა, ქალისა და კაცის ღარიბული და მდიდრული მორთულობა-ჩაცმულობა, ქართული და უცხო ტიპები, გართობა-თამაშობანი, მდაბიო ხალხის საყოფაცხოვრებო სცენები, მაღალი ფენის არისტოკრატიის დამახასიათებელი პორტრე-



ილორის ტაძარი. 1630-40 წწ. მეორე რეზიდენცია დაბა ილორში.

ტები და სხვ., რომელიც თანამედროვე მკვლევარს სამსახურს გაუწევს ცალკეული საკითხების შესწავლის საქმეში. ამ ნახატებიდან შესაძლებელი ხდება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ქვეყანაზე, რომელსაც უკვე გაუვლია მთელი ისტორია 1632 წლიდან 1658 წლამდე და მხოლოდ ეს ნახატებიღა მოწმობენ მის გარდასულ სინამდვილეს, ის რაც ავტორს თავის თვალით უნახავს და თავს გადახდენია—კარგიცა და სამწუხაროც. კასტელი ფანქრით ყველაფერს აღნიშნავდა, რაც მის თვალსა და გონებას ხელდახელ ხვდებოდა და ღირსი იყო ყურადღებისა. გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს ნამდვილ შთაბეჭდილებასთან და არა წინაგანზრახულობასთან, როგორც ეს სჩვევიათ სხვა მწერლებს, რომელნიც

თავიანთ შრომებს საკუთარ რწმენაზე აგებენ. მისი შენიშვნები ზოგჯერ ერთი-მეორის საწინააღმდეგოა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი და იგივე პიროვნება და ერთი და იგივე მომხდარი ამბავი სხვადასხვანაირად განუსჯია და შეუფასებია.

ქრისტოფორო დე კასტელიმ ხატვა იცოდა არა ისე, რომ ამ ხელოვნებაში მართლა ბრწყინვალე ყოფილიყო, როგორც ეს ნათქვამი აქვს ამად დი სან ფილიპოს თავის შრომაში. ,,მან თავისი აზრების გამოთქმა იცოდა შეფერადე-ბულად და რამდენადმე დახელოვნებულიც იყო. ზოგჯერ პრეტენზიასაც კი აცხადებდა. როდესაც რომელიმე ჩარჩოში თავის კომპოზიციას ათავსებდა,



გურიის ერთ-ერთი უცნობი ეკლესია.

მას ეტყობოდა პრანჭიაობა, გაზერილობა და სიმრუდე, ასეთი ნაკლი არა ჰქონდა, როდესაც ის სინამდვილიდან ხატავდა. სუფთად შესრულებული იშვიათად აქვს. ჩვეულებრივად ფანქრით ხატავდა და შემდეგ კალმით ასწო-რებდა. უცნაურ წესს ხმარობდა: ასე მაგალითად ხეში ამოჭრიდა გრავიურასა და მასში ჩახატავდა თავისებურ ფიგურებს ისე, რომ დახატულ ფიგურებს დაემატებოდა ხოლმე რომელიმე ნაჭდევიც''-ო.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ ყოველ სურათს, როგორც წესი, თან ახლავს მინაწერები და წარწერები. საჭიროდ ჩავთვალეთ მათი გაშიფვრა და თარგმნა. ნახატებზე აღნიშნულია ვინაობა, მოქმედება, დაკვირვება. უმეტეს შემთხვევაში წარწერები იტალიურ ენაზეა, იშვიათად ბერძნულადაა, ზოგიერთი მინაწერი სიცილიურ დიალექტზეა, უფრო ხშირად ლათინურად, სირიულად, ებრაულ-არაბულად, აბაშურად, სპარსულ-თურქულად. წარწერების ხელწერა იმდენად გაურკვეველი და ძნელი წასაკითხია, რომ მთლიანი ტექსტის აღდგენა,

ბევრ შემთხვევაში, დიდ ჯაფასა და ინტენსიურ შრომას მოითხოვს, მით უმე-ტეს, რომ თითოეულ ნახატზე მინაწერი ერთ რომელიმე ენაზე კი არაა, არამედ რამდენიმე ენაზეა ერთდროულად შესრულებული.

მრავალი ღირსშესანიშნავი ეკლესია-ტაძარია დახატული. ეს ძეგლები სიდიდითა და სიმდიდრით თავის დროზე განთქმული ყოფილან. კასტელის მიერ აქ წარმოდგენილ ნახატებში კონტურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ძეგლთა არქიტექტონიკაში უმთავრესად ერთი ტიპი ჭარბობს, ერთი სტილია გამეფებული. ძეგლის ერთი მესამედი ძალიან მაღლა აწეულ ნახევრად სფერულ თაღს უკავია. ცილინდრი, რომელზედაც თაღია დაყრდნობილი, მრავალსართულიანია. გვერდითი კარი თითქმის ყოველთვის დაქოლილი აქვს. ტაძრის ნავის პერპენდიკულარულად მცირე რამ კარი შეიმჩნევა. სხვა ძეგლებზე კარის ზემოთ პატარა სახლია ამართული, ზოგჯერ კი ნამდვილი კოშკი. ეკლესიის გარს ხშირად ფიცრული აივანი უვლის—ხის ბოძებზე დაყრდნობილი წინ პატარა მოედნები აქვთ—გალავანშემორტყმული ან კიდევ ღობე შემოვლებული. კარებები და სარკმლები ოდნავ თაღისებური ან ოთხკუთხედია.

მოკლედ, მის მრავალფეროვან ჩანახატს შორის ამჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევს ნაგებობათა კომპლექსები, სახლები და სასახლეები, საკულტო ნაგებობანი, ციხე-კოშკები და ხიდები.

ქართველ საზოგადოებას ამჯერად ჩვენ აქ გავაცნობთ კასტელის ხელიდან გამოსულ მხოლოდ რამდენიმე ძეგლის სურათს, დანარჩენს კი—რიგ-რიგობით მივაწვდით დაინტერესებულ მკითხველს.



ბოლნისი. V ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინა გომელაური
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

# ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ხოვლეში

დიდი, ფართოდ გადაშლილი სოფელი ხოვლე, რომელიც შიდა ქართლში, თეძმის ხეობაში მდებარეობს, არაჩვეულებრივად მდიდარი ყოფილა ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლებით. მრავალი ეკლესიისა და კოშკის ნაშთი აქ დღემდეა შემორჩენილი. ხოვლეში თავის დროზე თექვსმეტამდე ეკლესია მდგარა, რომელთაგან უმრავლესობა ახლა ნანგრევებადაა ქცეული*.

ამ წერილის საგანს მდინარე ხევხმელას მარჯვენა ნაპირზე მდებარე თევდორეს ეკლესია წარმოადგენს, რომელმაც ჩვენ დრომდე აგრეთვე თითქმის მთლიანად განადგურებული სახით მოაღწია. ახლა ადგილზეა მხოლოდ დარბაზული შენობის პერანგშემოძარცული კედლების ნანგრევები და სამხრეთის კარიბჭის დასავლეთის კედლის ნაწყვეტი. უკანასკნელის სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების კვალი მიწის პირს უსწორდება. არ გადარჩენილა არც კამარების, არც კონქის მცირე მონაკვეთი. შენობის პერიმეტრის ფარგლებში, შენობის თავდაპირველი სიმაღლე არსად არ შემორჩენილა. არ არის დაცული აგრეთვე სარკმლების კვალიც**.

შესასვლელი ეკლესიას ერთი ჰქონია, სამხრეთით. ეს შენობის ყველაზე უკეთ დაცული მონაკვეთია. მთლიანადაა გადარჩენილი კარის წირთხლები და თაღოვანი ზედა ნაწილი ინტერიერში***. ოთხივე ფასადზე დარჩენილი ღრმა, დიდი ზომის ბუდეების მიხედვით, ჩანს, რომ შენობის მოპირკეთებაში დაუმუშავებელ ქვასთან ერთად, რომლის ნაშთებიც აქა-იქ ჩანს, თლილი ქვა იყო გამოყენებული****.

ინტერიერში მოპირკეთება შესრულებულია ყორე და უხეშად ნათალი ქვით. ჩანს შელესვის ნაშთებიც. განსაკუთრებით კარგად ირკვევა იგი აფსიდის მარცხენა არეში, საკმაოდ მოზრდილ ფართობზე. სწორედ აქაა მოთავსებული მთლიანად დაცული, ღრმა სწორკუთხა თახჩა.

ეკლესიის იატაკი, დაფარული ნაყარი მიწით, ახლა ძლიერაა შემაღლებული. ამ მიზეზითვე გარედან აღარ ირკვევა ცოკოლის ხაზი. მხოლოდ ერთგან, შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩანს მისი სწორკუთხა საფეხურის ქვა.

---

* ზოგიერთი კი, როგორც მაგ. წმ. ნიკოლოზის ეკლესია გოგირდის წყაროს ხეობაში, საძირკვლიანადაა აღგვილი დედამიწის პირიდან.

** მხოლოდ O-ით უზარმაზარი მრგვალი ხვრელია კედლის წყობაში, იქ სადაც სარკმელი უნდა ყოფილიყო.

*** ფასადის მხრიდან კარის ხვრელებს აკლია არქიტრავის ქვის დიდი ნაჭერი, რომელიც აქვე შესასვლელის ზღურბლზე გდია.

**** O, W და N არცერთი მოსაპირკეთებელი ქვა არ გადარჩენილა. რამდენიმე შენახული მხოლოდ სამხრეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის დღევანდელი სახის შედარება ძველ ფოტოსურათებთან, რომლებიც გადაღებულია XX საუკუნის დასაწყისში, გვიჩვენებს იმ სამწუხარო ცვლილებებს, რომელნიც აქ უკანასკნელი ხუთი ათეული წლის მანძილზე მომხდარა*. აღნიშნულ დროს ეკლესიის კარიბჭის ცენტრალური ნაწილი თითქმის მთელი მდგარა** ნაწილობრივ იყო გადარჩენილი კარიბჭის აღმოსავლეთის მხარე (დანგრეული ყოფილა კედლების ზედა მონაკვეთები, აგრეთვე კამარა სახურავიანად). ეკლესიის საერთო ხედის ამსახველ ფოტოზე გარკვევით ჩანს თვით ეკლესიის კორპუსის შედარებით კარგად დაცული აღმოსავლეთის მონაკვეთი, კედლები სარკმლიანად, ფრონტონის ფერდის მარჯვენა მხარე კარნიზის ნაწყვეტებით და შენობის ორფერდა სახურავი, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა რამდენიმე ადგილას ქვის ფილების სახურავი. კარიბჭის ცენტრალური ნაწილის ფოტოს მიხედვით ნათლად ირკვევა აგრეთვე კარნიზის პროფილი და შემამკობელი ჩუქურთმების სახეები, კარის მორთულობა, მოჩუქურთმებული სათაურისა და დეკორატიული ჯვრებით შემკული ფილების სახით.

მით უფრო მნიშვნელოვანია ამ, თავის დროზე ალბათ მეტად საინტერესო, შენობასთან დაკავშირებული საკითხების შეძლებისდაგვარად დაზუსტება და ძეგლის ადგილის დადგენა შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

ხოვლეს თევდორეს ეკლესია მარტივ დარბაზულ შენობას წარმოადგენს, სამხრეთით მთელ სიგრძეზე მიშენებული კარიბჭე ეკვდერით. როგორც ცნობილია, დარბაზული ეკლესიები სამხრეთის კარიბჭით ქართულ ხუროთმოძღვრების განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე გვხვდება, მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, კერძოდ ხოვლეს შემთხვევაში გარკვეული მხატვრული ხერხებისა და მოტივების ხასიათის მიხედვით, რომლებიც კარიბჭესა და თვით ეკლესიის კორპუსშია გამოყენებული, ძეგლი ერთდროულ, მთლიან ორგანიზმს არ უნდა წარმოადგენდეს და ქრონოლოგიურად მშენებლობის ორ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდზე უნდა მიგვითითებდეს.

ყველაზე უფრო ყურადსაღებ მასალას, ამ თვალსაზრისით, ხოვლეს ეკლესიის ძველი ფოტოსურათების მიხედვით, გვაძლევს ეკლესიის კარნიზი.

თუმცა კარნიზის ძლიერ დაზიანებული, ნაწილობრივად გადარჩენილი ქვების მიხედვით თვით პროფილი სავსებით ნათლად ვერ ირკვევა (აქ თითქოს ორმაგი თაროს მოხაზულობა უნდა გვქონდეს), გარკვევით ჩანს კარნიზის მარჯვენა გვერდის ქვედა კუთხის ქვის ხასიათი, მისი შემკლავება.

როგორც ცნობილია, აღნიშნული მხატვრული ხერხი კარნიზის შემკლავებისა, ფრონტონის არეში შეტანილი ჰორიზონტული მონაკეცების სახით—ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ადრინდელ ხანისთვისაა დამახასიათებელი და უკვე სრულადაა უარყოფილი და გადავიწყებული მომწიფებულ შუა-

---

* აღნიშნული ფოტო-სურათები გადმომცა აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა. ისინი წარმოგვიდგენენ ეკლესიის საერთო ხედს, კარიბჭის ცენტრალურ ნაწილს და მოჩუქურთმებულ ფრაგმენტებს, რომელნიც აქვე ეკლესიაში ყოფილა დაცული. ფოტო-სურათები გადაღებულია მის მიერ 1914 წ. აგვისტოში.

** კარიბჭის ამსახველ ფოტოზე, წინა პლანზე, მიწაზე ჩანს კარიბჭის კარნიზის ჩამონგრეული ქვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესია სამხრეთ აღმოსავლეთიდან. 1914 წ. ფოტო.



ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის ინტერიერი, საკურთხევლის აფსიდი. 1962 წ. ფოტო.

საუკუნეებში. უკანასკნელი ცნობილი მაგალითები მისი გამოყენებისა, როგორც ამას ძეგლები გვიჩვენებს, უკავშირდება X ს.

განვითარების ადრინდელი ხანისთვის შემკლავებული კარნიზების მრავალი ნიმუში შეიძლება დავასახელოთ. ასეთ კარნიზებს ვხედავთ თეთრ წყაროში* (V-VII სს.) სამწევრისში (X საუკუნის შეკეთება)**, VIII-IX სს. ძეგლში თელოვანის ჯვარ-პატიოსანში***, ერედვში (X ს. დასაწყისი)****, ვალეში (X ს. ბოლო)***** კარნიზთან ერთად კვლავ ამავე ადრინდელ თარიღზე-ხანზე უნდა მიგვითითებდეს, როგორც ჩანს, თავისი ხასიათით ხოვლეს ეკლესიის 0-ის სარკმელიც. იგი სრულიად სადაა, შეუმკობელი, ხვრელობი შემოკლებული პროპორციისაა. წყობა, რომელშიც ზის სარკმელი, შესრულებულია შემთხვევითი ფორმის და მოხაზულობის ქვის ბლოკებით; მაღალი და შედარებით ვიწრო, სხვადასხვა სიგანის მქონე ქვები აქ წირთხლებს შეადგენენ, დიდი ზომის, განიერი, ზედა კუთხეებჩამოთლილი ქვის სარკმელი არქიტრავივითაა გადახურული. ამ ქვაშია ამოჭრილი მისი თაღოვანი ნაწილი.

ასეთი სპეციფიკური ხასიათი სარკმლისა, თავისებური ხერხი ხვრელობის შედგენისა ნებისმიერი ფორმის ბლოკებით, სრულიად უცხოა მომწიფებული შუასაუკუნეებისა და, პირიქით, დამახასიათებელია ადრინდელ პერიოდისათვის. მსგავსი სახე სარკმლისა იშვიათად ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გვიან პერიოდშიც შეიმჩნევა, მაგრამ ამ დროს ეს უფრო ოსტატობის, კერძოდ, წყობის ოსტატობის დაქვეითების ერთ-ერთი ნიშანია. ამრიგად, სარკმლის ხვრელობის ისეთი წესით შედგენას, როგორც ამას ადგილი აქვს ხოვლეში, გარკვეულ ხერხს, რომელსაც გარკვეული დეკორატიული ამოცანებიც აქვს დაკისრებული, გავრცელება მხოლოდ XI საუკუნემდე აქვს. აქაც ანალოგიების მოყვანა შეიძლება მოყოლებულ VI-VII, სს. შემდეგ VIII-IX და X საუკუნეებთან დაკავშირებულ შენობებში: ოლთისი******, თელოვანის ჯვარპატიოსანი*******, ერედვი********.

როგორც ვხედავთ, მტკიცე ხელმოსაჭიდ მასალას ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის განხილვისას ეს ორად-ორი დეტალი გვაძლევს, მაგრამ დღეისათვის თითქმის განადგურებული ძეგლის კვლევის პირობებში ესეც მნიშვნელოვანია. შენობის კარნიზიცა და სარკმელიც თავისი ხასიათით იმდენად მტკიცედ, ორგანულად უკავშირდება გარკვეულ ეპოქებს, რომ აღნიშნული წვრილმანებიც უფლებას გვაძლევს თარიღის შესახებ დასკვნა გამოვიტანოთ.

---

* Н. Чубинашвили и Р. Шмерлинг, Храмы в древних селениях Триалети-Олтиси и Тетри цкаро. ქართული ხელოვნება, 2, 1948 წ., გვ. 58.

** Н. Северов. Самцеврисн, ქართული ხელოვნება, 2, 1948 წ. გვ. 8, 9. გ. ჩუბინაშვილი, მასალები სამწევრისის ტაძრის შესწავლისათვის, ქართული ხელოვნება, 2, 1948 გვ. 23.

*** ვ. ცინცაძე, თელოვანის ჯვარპატიოსანი (VIII-IX სს. ძეგლი), ქართული ხელოვნება, 5, 1959, გვ. 81.

**** რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 4, 1955, გვ. 119.

***** რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი პერიოდი, ქართული ხელოვნება, 3, 1950, გვ. 36.

****** Н. Чубинашвили и Р. Шмерлинг. Храмы в древних селениях Триалети-Олтиси и Тетри-цкаро, გვ. 49,

******* ვ. ცინცაძე, თელოვანის ჯვარპატიოსანი, გვ. 80-81.

******** რ. მეფისაშვილი, ერედვი, გვ. 122.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ეკლესიის შინაგან სივრცეს, მასზე ახლა, სამწუხაროდ, მსჯელობა სრულიად აღარ შეიძლება.

დღევანდელი სახით არც შენობის გეგმა იძლევა რაიმე გარკვეულ მასალას. საინტერესოა აღინიშნოს მხოლოდ, რომ იგი უკიდურესად მარტივი ყოფილა თავისი სქემით—მოკლებული საყრდენ თაღებს, კედლების გასწვრივ გაყოლებულ ქვის საფეხურს და სხვა ელემენტებს—ასეთი სახის ეკლესიები კი გვხვდება ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ადრინდელ პერიოდთან დაკავშირებულ არა ერთ ძეგლში (აკვანება, აკაურთა*, თეთრი წყარო, ოლთისი**). როგორც ცნობილია, იშვიათად გამარტივებული სქემის მქონე დარბაზული ეკლესიები მომწიფებულ შუასაუკუნეებშიც გვხვდება.

მაგრამ ის, რაც განსაკუთრებითაა საინტერესო და აღსანიშნავი ხოვლეს თევდორეს ეკლესიაში, არის შენობის საშენი მასალისა და წყობის ხასიათი; სხვა მონაცემებთან ერთად ამ მომენტების მიხედვით, ზემოთ, ზოგადად მოხაზული თარიღის ფარგლები სრულიად გარკვევით შეიძლება შეიზღუდოს.

წყობა შესრულებულია შერეული ქვით. თლილი ქვის პერანგში დაუმუშავებელი წვრილი ქვის შეტანა საერთოდ არაა დამახასიათებელი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მაღალი აყვავების პერიოდებისათვის. როგორც ცნობილია, X საუკუნემდე მასალისა და წყობის ასეთი ხასიათი შენობებში გვხვდება ხუროთმოძღვრების განვითარების იმ გარკვეულ ეტაპზე, რომელსაც გარდამავალს უწოდებენ და რომელიც ძირითადად VIII-IX საუკუნეებს უკავშირდება. მკვეთრ ნიმუშებს ამ მხრივ წარმოადგენენ ისეთი შენობები, როგორიცაა თელოვანის ჯვარპატიოსანი***, არმაზი****, წირქოლი*****, ბიეთი******.

ბოლოს, ეკლესიის თარიღთან დაკავშირებულ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს ეთანხმება შესასვლელიც თავისი ხასიათით—სადა, შეუმკობელი, სწორკუთხა ხვრელობი გადახურული უზარმაზარი არქიტრავის ქვით და ისევ მეტად მნიშვნელოვანი თარიღის თვალსაზრისით—ძეგლის ცოკოლის საფეხურის სწორკუთხა ფორმაც. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, იხმარებოდა ქართულ ძეგლებში მომწიფებულ შუასაუკუნეებშიც, მაგრამ XI საუკუნემდე იგი ცოკოლის ერთადერთი საყოველთაოდ გავრცელებული სახეა.

ამრიგად, ყველა ზემოთგანხილული ნიშნების მიხედვით ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის შექმნა, როგორც ჩანს, VIII-X სს. უნდა იყოს დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში X ს. გვიან ძეგლის აგება არ არის მოსალოდნელი.

---

* ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, 2, 1948. გვ. 28, 34.

** Н. Чубинашвили и Р. Шмерлинг, Храмы в древних селениях Триалети—Олтиси и Тетри-Цкаро, гв. 48—54

*** ვ. ცინცაძე, თელოვანის ჯვარპატიოსანი, გვ. 80, 81, 82.

**** Г. Н. Чубинашвили. Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущельи, ქართული ხელოვნება, 1942, ტაბ. 1, 2.

***** იქვე, ტაბ. 4, 6

****** Р. С. Меписашвили, „Полупещерный памятник IX века в селении Биети, ქართული ხელოვნება, 6, 1963, ტაბ. 11, 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონოლოგიურად სულ სხვა ფენას წარმოადგენს ხოვლეს თევდორეს ეკლესიის კარიბჭე. უკვე მისი გეგმა თავისი გადაწყვეტით ორქანობიანი სახურავით გადახურული, გამოყოფილი ნაწილით—უნდა მიგვითითებდეს მომწიფებულ შუასაუკუნეებზე, როდესაც კარიბჭეთა უმრავლესობა სწორედ მსგავსი სახისა კეთდებოდა—სავანე (XI ს. პირველი ნახ*.) აღალაანთ ეკლესია XIII ს. პირველი ნახ.)**, სათხე (XIII ს. პირველი ნახ.) კარიბჭე***.

საინტერესოა ხოვლეში შესასვლელის ხასიათი. ხოვლეს ოსტატი თავისი კარიბჭისათვის იღებს მომწიფებულ შუა საუკუნეების კარიბჭეებში არა იმ თითქმის საყოველთაოდ გავრცელებულ სქემას შესასვლელისას, რომელიც მდიდრულად შემკულ ღია თაღს წარმოადგენს, არამედ შესასვლელის იშვიათ სახეს—ჩვეულებრივ დახურულ სწორკუთხა ხვრელობის კარს****. ასეთი ტიპის შესასვლელი კარიბჭისა ცნობილია მაგ. XI ს. ზემო-კრიხში (სამხრეთის კარიბჭე)*****, აგრეთვე, გელათის დიდ ტაძარში (XII ს.)******. (უნდა აღინიშნოს, რომ შესასვლელის გადაწყვეტა კარის სახით არაა დაკავშირებული კარიბჭის გარკვეულ ტიპთან).

თუ ხოვლეს ეკლესიის კარიბჭის გეგმა ზოგადად მომწიფებულ შუა საუკუნეებს უნდა უკავშირდებოდეს, ორნამენტაციისა და აგრეთვე ცალკეული ხუროთმოძღვრული ელემენტების, პროფილების, მორთულობის ხასიათი მჭიდროდ აკავშირებს მას მომწიფებული შუა საუკუნეების განვითარების გვიანდელ ეტაპს—XIII—XIV სს.

ეკლესიასთან შედარებით სხვა ეპოქაზე, უპირველეს ყოვლისა, მიგვითითებს კარიბჭის კედლების სრულიად განსხვავებული წყობა. მთლიანად თლილი ქვით შესრულებული მოპირკეთება თავისი ხასიათით, ისევე როგორც თვით დეკორი, კვლავ მომწიფებული შუა საუკუნეების ზემოაღნიშნულ ეტაპზე, XIII—XIV სს. ძეგლებში პოულობს ანალოგიებს. წყობის ჰორიზონტული რიგების დარღვევა, ზოგჯერ ვერტიკალური ნაკრების ახლო განლაგება ან თანხვედრა, ძლიერი მერყეობა კვადრების ზომებში და ქვის მოყვანილობაში, ქვის ხშირად სრულიად ნებისმიერი ფორმა—საერთოდ კედლის არათანაბარი ზედაპირი,

---

* ვ. ბერიძე, სავანე (XI საუკ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), ქართული ხელოვნება, 1, 1942, გვ. 80, 81, ტაბულა 23.

** ვ. ბერიძე, მაღალაანთ ეკლესია. ქართული ხელოვნება, 5, 1959, გვ. 205, 210, 211, 212, სურ. 1—5—7.

*** ვ. დოლიძე, სათხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები.

**** ადრინდელი ხანის კარიბჭეები ძირითადად მთლიან, დაუნაწევრებელ მასებს იძლევიან, გადახურულს ერთქანობიანი სახურავით. ამასთან დაკავშირებით განსხვავებულია ჩვეულებრივ შესასვლელის მხატვრული გადაწყვეტაც. ასეთი სახის კარიბჭეების ადრინდელ ნიმუშებში, გვხვდება რამდენიმე მალის მქონე თაღოვანი შესასვლელი, რომელიც კარიბჭის ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული (მაგ. ოლთისი—Н. Чубинашвили и Р. Шмерлинг, Храмы в древних селениях Триалети-Олтиси и Тетри-цкаро, გვ. 49).

კარიბჭის ეს სახე, უკვე რემინისცენციის სახით, მომწიფებულ შუა საუკ. გვიანდელ ეტაპზეც გვხვდება (XIV ს. ზარზმაში—ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955, გვ. 103, სურ. 34) აგრეთვე ამავე ხანასთან დაკავშირებულ (XIII—XIV სს. მიჯნა) ლიხაურში.

***** ვახტანგ ცინცაძე, ზემო კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 6. 1963, გვ. 70.

****** Н. П. Северов, Памятники грузинского зодчества, 1947, გვ. 122, ტბ. 120.

რაც კარის შემამკობელ სათაურის არეში განსაკუთრებით შეიმჩნევა. ეს ნიშნები, როგორც ცნობილია, უკვე XIII ს. მეორე ნახევრის ძეგლებში და ზოგჯერ უფრო ადრეც კი შეიმჩნევა (გუდარეხი XIII ს. პირველი ნახ., აბელია XIII ს. 60 წლ., ლიხაურის კარიბჭე—XIII ს. დას. XIV ს. დასაწყ.). წყობის ხასიათის სხვადასხვაობა, ორი სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნები ხოვლეს ეკლესიისა და კარიბჭის სარკმლების მაგალითზე მკვეთრად ჩანს. ეკლესიის სარკმლის ნებისმიერი ფორმის ქვებით სპეციალურად შექმნილ ხვრელობს უპირისპირდება, კარიბჭის რეგულარულ, ერთგვაროვან წყობაში გამოჭრილი სარკმელი.



ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესია სამხრეთ აღმოსავლეთიდან.
1962 წლის ფოტო.

ხოვლეს კარიბჭის დათარიღებისათვის მტკიცე დასაყრდენს იძლევა, უპირველეს ყოვლისა, კარიბჭის კარნიზი თავისი პროფილითა და ჩუქურთმებით. კარნიზის პროფილისათვის წრეთარგი, ცალმხარეს, ხოლო ზემოთ ხაზგასმული ლილვითა და თაროთი — ზუსტი ანალოგია არ ვიცით, მაგრამ იგი ჰგავს მოჩუქურთმებულ კარნიზებს, გავრცელებულს XII-XIII საუკუნეებიდან გუმბათიან ტაძრებში და სახესხვაობაა მომწიფებულ შუა საუკუნეების სწორედ გვიანდელ ეტაპზე (მოყოლებული XIII ს-დან) თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული მოტივისა (ლილვსა და თაროს შორის მოქცეული წრეთარგი მაგ. ახტალა, ფიტარეთი, დმანისი).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხოვლეში, კარნიზებისათვის გამოყენებულია გრეხილი ლილვები, რომელთა მსგავსი მოტივიც მრავლად მოიპოვება განსაკუთრებით XIII ს. აგრეთვე XIV ს. ძეგლებშიც (დმანისი, ახტალა, ქარზამეთი)*.

საერთოდ, თვით ხერხი ამგვარ პროფილის მქონე კარნიზის შემკობისა გრეხილი ლილვებითა და ჩუქურთმით, როგორც ძეგლები გვაჩვენებს, XIII ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

* ვ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება, ტაბ. 94

ხოვლეს კარიბჭის კარნიზის ჩუქურთმის მოტივები მომწიფებულ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებულ და განსაკუთრებით XIII საუკუნისათვის საყვარელ სახეებს უკავშირდებიან. ფოთლოვანი ყლორტითა და წრეების ხლართით შედგენილი მოტივის სხვადასხვა ვარიაციები მრავალ ძეგლში გვხვდება (ახტალა, მღვიმევი, ერთაწმინდა). მსგავსი სახეები უფრო გვიანაც იხმარება (ჭულე-სამრეკლოს მეორე სართულის მორთულობა—XIV ს. დასაწყისი*).



ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესია. სამხრეთის კარიბჭე. 1914 წ. ფოტო.

განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება ამ ხანას თავისი ხასიათით ხოვლეს კარნიზის ჩუქურთმების შემადგენელი ნაწილი სამყურა ფოთლის სახით, რომლითაც შევსებულია ჩუქურთმის ნახატში წნულით წარმოქმნილი ოვალური არეები. ფოთლების ქვედა წყვილის მოხაზულობა, ზედაპირის დამუშავება ღრმა კოვზისებური ამონაღარით, ზედა ფოთლის მკვეთრად წვეტიანი მოყვანილობა, მისი შუაზე გადატიხრული ზედაპირი, ყოველივე ეს ძალზე ტიპიურია სწორედ XIII—XIV სს. ძეგლებისათვის, ასეთი სახის ფოთლები აღნიშნულ ხანაში შენობათა ორნამენტული მორთულობის მცენარეული და შერეული სახეების თითქმის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. ამასთან მთლიანად ყლორტის რამდენადმე დაუდევრად შესრულებული ნახატიც გვხვდება კვლავ სწორედ აღნიშნულ ეპოქაში, როდესაც შესრულების მაღალ ოსტატობას, არტისტიზმს

* ვ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება ტაბ. 76.

ხშირად წმინდა ხელოსნური ნახელავი სცვლის. რამდენადაც ფოტოს მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, აღნიშნულ მოვლენას ადგილი აქვს ხოვლეს კარიბჭის მოტივებშიც.

მეტად საინტერესოა ხოვლეს კარიბჭის დათარიღების თვალსაზრისით შესასვლელის მორთულობის სისტემაც, მისი ხასიათი.

ჰორიზონტულ გადანაკეცებიანი, ნახევარწრიული სათაურის სახეს, უკვე უძველესი დროიდან (VI—VII სს.) ფართოდ იყენებდნენ შენობათა, როგორც შესასვლელების, ისე სარკმლების შესამკობად. ამ სქემასთან პარალელურად უძველესი ხანიდანვე გავრცელებული იყო კრონშტეინებზე დაყრდნობილი ნახევარწრიული სათაურის მოტივიც, აგრეთვე, სრულიად მარტივი, რაიმე დამატებით ელემენტებს გარეშე მოცემული, სადა, ნახევარწრიული სათაურის თემა.

ხოვლეს სათაური გარკვევით არცერთ ზემოთმოყვანილ სქემას არ იმეორებს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფორმალური ნიშნებით იგი „კრონშტეინებიან“ მოტივთანაც იჩენს მსგავსებას (კომპოზიციის ჰორიზონტული მონაკვეთების წარმოდგენა ცალკე ქვების სახით, მათი შემკობა სპეციალური, სათაურის სახეებისაგან განსხვავებული მოტივებით, მაგრამ ამავე დროს იგი დაკავშირებული ჩანს „გადანაკეცებიან“ თემასთანაც. ხოვლეში თვალი კარის სათაურს ფაქტიურად ისე აღიქვამს, როგორც ერთიან დაუნაწევრებელ ფორმას, ერთი მთლიანი კონტურის მქონე ფორმას, რომელიც ზუსტად იმეორებს სწორად გადანაკეცებიანი, ნახევარწრიული სათაურის მოხაზულობას. ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის სათაურისა და „გადანაკეცების“ სრულიად ერთგვარი პროფილი, ერთი სიგანე, თანაბარი ამოზიდვა კედლის სიბრტყიდან. თუ მოვიგონებთ ამასთან, რომ უკვე ადრინდელ ძეგლებში ისევე, როგორც ბევრად გვიან „კრონშტეინებიან“ სათაურის მოტივში „კრონშტეინებს“ თავისი ფორმით, მოხაზულობით, მდებარეობით თითქმის ყოველთვის, სრულიად ჩამოყალიბებული, კომპოზიციურად დამოუკიდებლად გამოყოფილი ელემენტების სახე აქვთ, ხოვლეს კარის მორთულობა თავისი წარმოშობით თითქოს „გადანაკეცებიან“ მოტივთან შეიძლება ჩანდეს უფრო დაკავშირებული. თუმცა, როგორც ზემოთაც ვთქვით, ხოვლეში ამ მონაკვეთებს კომპოზიციისას „გადანაკეცები“ პირობით თუ შეიძლება ვუწოდოთ. აღნიშნული „გადანაკეცები“, რომელნიც ამავე დროს თითქოს ბაზების მაგვარი ელემენტების სახითაა წარმოდგენილი, იმდენად მცირე შვერილობისაა, იმდენად ვიწროა, რომ მათი ნამდვილი კომპოზიციური მნიშვნელობა, რომელიც უცვლელი იყო აღნიშნული თემის განვითარების მანძილზე XIII ს. ჩათვლით, თითქმის დაკარგულია. ხოვლეს მორთულობაში მათ ფაქტიურად აღარც გადანაკეცების, არც ბაზების სრულყოფილი ხასიათი არა აქვთ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ხოვლეს თევდორეს ეკლესიის კარიბჭის სათაური ჩვენთვის კარგად ცნობილ, საუკუნეების მანძილზე გავრცელებული მორთულობის ორი სხვადასხვა სქემის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს, მაგრამ აქ ამ ნიშნების რაიმე ორგანულ, შემოქმედებით შეხამებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

საინტერესოა, რომ რამდენადმე მიახლოვებული პარალელი ჩვენი შემთხვევისათვის სწორედ XIII ს.-ში გვაქვს. გუდარეხში (სამხრეთის ფასადი), როგორც ცნობილია, სათაურის ჰორიზონტული „გადაკეცების“ როლს ასრულებენ კრონშტეინები, რომელნიც სათაურის მიმართ ორსავ მხარეს მნიშვნელოვნად განზეა

გაწეული (შიგნით, სათაურის არეს ეს ელემენტები ოდნავ სცილდება). გარკვეულ მსგავსებას იჩენს ჩვენი სათაური XIII-XIV ს. მიჯნის ძეგლთან—ქარზამეთთა-ნაც*, მაგრამ ამ უკანასკნელში კრონშტეინებს, როგორც ასეთებს, ბევრად უფრო ჩამოყალიბებული, გარკვეული სახე აქვთ (ფორმის, მდებარეობის თვალსაზრი-სით).

ამრიგად, ისევე, როგორც შენობის კარნიზი, ხოვლეს ეკლესიის კარიბჭის სათაური განვითარების გვიანდელ ეტაპთან უნდა იყოს დაკავშირებული. უკვე ნახევარწრიული, რამდენადმე წაგრძელებული სათაურის არა სრულყოფილი მოყვანილობის რკალი, ძლიერ დაცილებული კარის ხვრელობს თავისი ფორმით, გვაგონებს XIII ს. 60 წლების აბელიის ეკლესიის სამხრეთის კარის სათაურს.

ამ დროსვე უნდა ეთანხმებოდეს ხოვლეს კარიბჭის სათაურის ორნამენტუ-ლი მორთულობაც. თვით სათაურის შემამკობელი ჩუქურთმის სახე სხვადასხვა ვარიაციით კარგადაა, ცნობილი XIII ს. და, კერძოდ, მის მეორე ნახევარშიც, (ფიტარეთი, გუმბათის ყელის სარტყელი, მღვიმევი—კარნიზი, ლიხაური O-სარ-კმლის საპირე); ხოლო რაც შეეხება თვით ხასიათს ჩუქურთმისას, აქ აგრეთვე აღსანიშნავია მთელი რიგი ისეთი ნიშნებისა, რომელნიც გარკვევით იჩენენ თავს სწორედ გვიანდელ ეტაპზე. ესაა ჩუქურთმების ცალკეული ელემენტის დაუდე-ვარი შესრულება, მერყეობა ზომებში ჩუქურთმის ელემენტების მანძილებს შორის და, რაც მთავარია, სპეციფიკური სიმშრალე სახის საერთო გამომეტყვე-ლებისა. სწორედ, ამ მხრივ, აქ განსაკუთრებით გვაგონდება XIII ს. და XIV ს. მიჯნის ლიხაურის ტაძრის აღმოსავლეთის სარკმელის მორთულობა, სადაც ისევე როგორც ხოვლეში, ჩუქურთმის ცალკეული ელემენტების შესრულების კარგ დონესთან ერთად, შთაბეჭდილების განმსაზღვრელი სახის სიმშრალეა. XIII ს. გავრცელებულ სახეებს გვაძლევენ ხოვლეს სათაურის ბაზების ჩუქურთ-მებიც, რომელთა მიმართაც ყოველივე ზემონათქვამი კვლავ ძალაში რჩება.

დასახული თარიღის თვალსაზრისით ხოვლეში საინტერესოა ისეთი დეტა-ლების არსებობაც, როგორიცაა ჩუქურთმების სახეში აღნიშნულ დროში განსა-კუთრებით გავრცელებული წვეტიანი ნასკვების ჩართვა (კარნიზი, სათაურის ბაზა). აგრეთვე სათაურის მორთულობაში, კომპოზიციის შემომფარგვლელი ელემენტის, ლილვის უარყოფა. ანალოგიები—ლიხაურის კარიბჭისა და მღვიმე-ვის W ფასადის როზეტები (XIII ს. მეორე ნახ.), ყაზბეგის სამების დასავლეთის ფასადის როზეტები (XIV ს.).

ბოლოს, ყოველივე ზემოთქმულთან, განსაკუთრებითაა აღსანიშნავი აგრეთვე ის გარემოებაც, რომ რამდენადმე გაურკვეველ, ჩამოუყალიბებელ სქემის მქონე სათაურის ორნამენტაციის ცალკეული ელემენტების შესრულება ნამდვილი მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. ეს სხვადასხვაობა, თავისებური წინააღმდე-გობა კარის მთელ მორთულობას პროვინციულ ხელოვნების ნიმუშის ხასიათს ანიჭებს.

საყურადღებო მასალას იძლევა ხოვლეში კარის სათაურით შემოწერილ არეში და მის ზემოთ, ღერძზე მოთავსებული დეკორატიული ჯვრები. ქვედა ჯვარი სავსებით ეთანხმება თავისი ხასიათით კარიბჭის დეკორს და მას-თან აშკარად თანადროული ჩანს.

* ვ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება. გვ. 187, სურ. 60

მსგავსია აქ, მაგ., განედლებული ჯვრის გრეხილი ჩარჩოსა და სათაურის ჩუქურთმის კვანძების ხასიათი, საწნავი ლენტის ხასიათი, ჭრის სიღრმე (რაზედაც ჩრდილების თანაბარი სიგანე მიგვითითებს); მსგავსია ჯვრის მკლავების ბოლოებში მოთავსებული წვეტიანი ფოთლებისა და კარნიზის სახეების ფოთლების გადმოცემის ხერხი. მთლიანად ჯვარი კარგადაა ჩაწერილი სათაურით მოხაზულ არეში—კომპოზიციას დასრულებული, მთლიანი ხასიათი აქვს. უკვე თვით ასეთი ხასიათი ხოვლეს ტიმპანის მორთულობისა, გარკვეულ დროზე მიგვითითებს. ადრინდელი ძეგლებისაგან განსხვავებით აქ ტიმპანის დეკორატიულ გადაწყვეტის უკვე სულ სხვა სახე გვაქვს. თუ მაგ., XI ს. ძეგლებში ჩვეულებრივ რთული, ერთიანი კომპოზიცია მჭიდროთ ავსებდა ტიმპანის მთელ არეს, XIII საუკუნიდან როგორც ცნობილია—სურათი იცვლება. აღნიშნული ხანიდან ტიმპანის ზედაპირზე ცალკეული დეკორატიული ელემენტები ხშირად მხოლოდ ცალკე აგენტების სახითაა მოცემული, ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ჩვენ შემთხვევაში,—ამ მხრივ, პარალელების დიდი რიცხვის მოტანა შეიძლება: საფარა, ქარზამეთი (XIII ს. დასასრ.), აბელია (XIII ს. 60 წლები), მღვიმევი (XIII ს. მეორე ნახ.).

რაც შეეხება ზედა ჯვარს, თავისი მასშტაბით, ადგილით, (უკანასკნელი უშუალოდ სათაურის ხაზს ეყრდნობა), მოხაზულობით იგი განსხვავებული, მოწყვეტილიც კი ჩანს ქვედა გამოსახულებისაგან. ჯვრის წაგრძელებული, წნულით შედგენილი წვრილი მკლავები აქ წნულითვე წარმოქმნილი ძლიერ გაფართოვებული, დაუდევრად მოხაზული გეომეტრიული ფიგურებითაა დასრულებული. მაგრამ ჯვრის ცალკეული ელემენტების მსგავსება კარიბჭის მორთულობასთან, საერთოდ, გეომეტრიულ ფიგურებში ჩართულ ფოთლების მოხაზვის, მათი ზედაპირის დამუშავების ხერხი, აგრეთვე ჯვრის მკლავების წნულის ხასიათი—მათ თანადროულობას მოწმობს. ამაზევე მიგვითითებს, როგორც ქვემოთ დავინახავთ,—ხოვლეს ეკლესიაში ამ 50 წლის წინ დაცული კანკელის ფრაგმენტიც, რომელიც მთელი რიგი ნიშნებით ქრონოლოგიურად მჭიდროდ უკავშირდება კარიბჭეს და რომლის გარკვეულ ელემენტებთანაც უშუალო მსგავსებას იჩენს სწორედ ხოვლეს კარიბჭის ზედა ჯვარი.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, ხომ არ შეიძლება აქ სხვადასხვა ხელი ჩანდეს შემსრულებლისა, სხვადასხვა გემოვნება. მაშინ დასაშვები იქნებოდა ეს ხელი კანკელის შემქმნელი ოსტატისთვის მიგვეკუთვნებინა.

ქართულ ხუროთმოძღვრულ დეკორში განედლებული ჯვრის მოტივი უძველესი დროიდანაა ცნობილი და გავრცელებულია საუკუნეების მანძილზე. ადრე ფეოდალური ხანიდან მოყოლებული მისი გამოყენების მაგალითები სწვდება გვიან საშუალო საუკუნეებსაც, კერძოდ XVII საუკუნესაც, „ამ ფართოსა და ვრცელ გზაზე იგი—(განედლებული ჯვრის თემა)—განიცდის მთელ რიგ სახეცვლილებებს, როგორც მთლიან კომპოზიციურ აღნაგობაში, ისევე დეტალებშიც"*. ჩვენი ჯვრები კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს ზემოთმოყვანილი სიტყვებისთვის, რომელნიც უშუალოდ ადრინდელ ხანასთან დაკავშირებულ მასალას ეხება.

* ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, 2, 1948, გვ. 44.

ხოვლეს ზედა ჯვრისათვის, ადრინდელ, წინამორბედ ნიმუშებს XI ს. ძეგლების, ზემო კრიხისა და ზედა ვარძიის დეკ. ჯვრები* წარმოგვიდგენს, რომლებთანაც შედარება კარგად გვაჩვენებს ცვლილებებს ამ თვალსაზრისით. (პროპორციები, დეტალების ხასიათი და სხვ.).

მრავალი წინაპარი ჰყავს ხოვლეს ქვედა ჯვარსაც—რომლებისგანაც იგი უკვე მკვეთრად განსხვავდება. ამ ჯვართან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ახლო ანალოგია მოვიტანოთ—მას 1339 წ. ნათლისმცემლის ეკლესიაში დაცული სტელის მორთულობაში ვხედავთ. დიდად მსგავსია ამ ორ ძეგლში პროპორციები საერთოდ. მსგავსია ორივე ჯვრის ზედა მკლავების დამუშავება სამყურა ფოთლებით, ერთგვარია—ჯვრის მკლავების გადაკვეთის სპეციალური აღნიშვნის ხერხი და მკლავების ზედაპირის დამუშავება სწორხაზოვან ღარებით, აგრეთვე ქვედა განედლებული მკლავებისა და ყლორტების ხასიათი, ყლორტის ზემოთა, ნაპირა ფოთლის ფორმა.

ამასთან ერთად, მსგავსია ორივე შემთხვევაში კომპოზიციის შემომსაზღვრელი წნულით შედგენილი ჩარჩოს მოხაზულობაც, თვით წნულის ხასიათი.

ასეთი უშუალო მსგავსება ორივე ნიმუშისა მით უფრო საყურადღებოა, რომ აღნიშნული სტელის დაკავშირების საკითხი ნათლისმცემლის ეკლესიის აგების ხანასთან (1339 წ.) საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა. ამის გამო, სხვა მრავალი ნიშნითაც XIII-XIV სს. დაკავშირებულ ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის კარიბჭესთან სტელის ჯვრის მსგავსება, ორივე კომპოზიციის დათარიღებისა და ამ დათარიღების ურთიერთ განმტკიცების საფუძველს უნდა ქმნიდეს.

განედლებული ჯვრის კომპოზიციის გვიანდელ, უკვე გადაგვარებულ ნიშნების მატარებელ, სახესხვაობას ვხედავთ ბოლნისის მახლობლად მდებარე ხატისოფლის ეკლესიის მორთულობაში (ჯვარი აღმოსავლეთის ფასადზე—1658-1675 წწ.).

დამოკლებული, უხეში პროპორციები, ჯვრის მკლავების ჰიპერტროფირებული დაბოლოვებანი, ჯვრის ღერძების მანერული დამუშავება წნულით, ამასთან განედლებული ნაწილის მოწყვეტა ფაქტიურად ზედა მკლავისგან, უგემოვნო დუნე კონტურით ჩაჭრა, ყოველივე ეს კვლავ ძალზე მკვეთრად გვაჩვენებს იმ ცვლილებებს, რომელნიც ამ თემამ განიცადა თავის ,,როგორც კომპოზიციურ აღნაგობაში, ისე დეტალებში''.

ბოლოს საინტერესოა, აგრეთვე, შევეხოთ ხოვლეში ჯერ კიდევ 1914 წ. დაცულ მოჩუქურთმებულ ქვას, რომლის ფოტოსურათებიც ჩვენ ხელთ არის. აღნიშნული ქვა, რომელიც იმ დროს ეკლესიაში შიგნით დებულა, აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის შენიშვნით ეკლესიის კანკელის ფრაგმენტი უნდა ყოფილიყო**. ფოტოზე კარგად ჩანს ქვის ორი, სხვადასხვა სიგანის მქონე, განსხვავებული სახეებით მოჩუქურთმებული მხარე—კალათისებრი წნულითა და ფოთლოვან ელემენტიანი წრეების ხლართით. ორივე ზოლი ჩუქურთმისა გრეხილითაა შემოვლებული. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ქვის განიერი მხარის შემამკობელი მოტივი დასრულებული ყოფილა რაღაც კომპოზიციით, საფიქრელია, სწორედ ჯვრის გამოსახულებით, რომლის მხოლოდ ქვედა

* ც. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. პორტალები ქართულ არქიტექტურაში ტბ. 24, 26

** ყველა ნიშნით ეს კანკელის ნაწილების გამყოფი ერთ-ერთი ბოძია.

ნაწილი ჩანდა, ზედა მხარე კი უკვე მაშინვე გადამტვრეული იყო. მნიშვნელოვანია, რომ კომპოზიციის ნაპირებში მოთავსებული, წნულით შემკული გეომეტრიული ხასიათის ელემენტები, ეკლესიის კარიბჭის შესასვლელის ზემოთ მოთავსებულ ჯვრის განივი მკლავების ზუსტი განმეორებაა, მხოლოდ უფრო დიდ მასშტაბში, რომელიც კანკელის ფორმებით იყო ნავარაუდევი. თვითონ ჯვრის ქვედა მკლავის ღერძი (თუ აქ ჯვრის გამოსახულება იყო მართლაც) აგრეთვე კარიბჭის ჯვრის მსგავსად იყო შედგენილი.

საერთოდ საწნავი ლენტის დამუშავებისა და ხასიათის ერთგვარობასთან ერთად, სრულიად აშკარა მსგავსება არსებობს კანკელის ქვის მოტივის ფოთლებსა და კარიბჭის ჩუქურთმების ფოთლებს შორისაც. სრულიად ერთი ხერხითაა გამოკვეთილი აქ, მაგ., ყლორტის ზედა წვეტიანი ფოთოლი, რომლის არეც ტიხრითაა შუაზე გაყოფილი—ფოთლის ის სახე, რომელმაც ფართო გავრცელება მოიპოვა XIII-XIV სს. ძეგლებში. ხოვლეს კარიბჭისა და კანკელის ფრაგმენტების მორთულობაში კიდევ ერთი საინტერესო საერთო დეტალი არსებობს: კანკელის ქვის კალათისებრ წნულში საწნავი ლენტი არა მარტო სახის ნაპირებში ინასკვება, არამედ თვით სახის ფარგლებშიც. ლენტები ყოველი ორ-ორჯერ, კვანძების გარეშე შეხვედრის შემდეგ ინასკვებიან სახის ორსავ მხარეს.

აღნიშნული დეტალი, ზუსტად ასეთივე სახით არის მოცემული შესასვლელის სათაურის მარჯვენა ბაზის შემამკობელ კალათისებურ წნულშიაც.

ხოვლეს ეკლესიაში დაცული მოჩუქურთმებული ქვა, ამრიგად, ყველა ამ ნიშნის მიხედვით, ქრონოლოგიურად კარიბჭესთან უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული.

საინტერესო ილუსტრაციას იმ ცვლილებებისას, რომლებიც მომწიფებულ შუა საუკუნეების მანძილზე გამოვლინდა ქართული ორნამენტული დეკორის განვითარებაში, წარმოადგენს ჩვენ მოტივთან ხოვლესავე ნაკალოარის ეკლესიის, XI ს. სახელგანთქმული კანკელის ჩუქურთმების შედარება, რომელიც წმ. თევდორეს ეკლესიის კანკელის მოტივის პირდაპირი წინაპარი უნდა იყოს*.

ორივე შემთხვევაში სქემა ორნამენტისა ერთგვარია, მაგრამ უკვე დიდად განსხვავდება მისი გამომეტყველება მთლიანად, მისი ცალკეული ელემენტების ხასიათი. განსაკუთრებით მკვეთრად ცვლილებები ფოთლის გადმოცემაში ჩანს. თუ მშვენიერი მოხაზულობის ელასტიკური განშტოებული ყლორტები, მოკლებულნი წვეტიან ზედა ფოთლებს, ნაკალოარის ჩუქურთმაში მჭიდროდ ავსებდნენ ჩუქურთმის არეს, წმ. თევდორეში სურათი გამარტივებულია. სახეში ახლა გეომეტრიული წნულია წამყვანი, სამყურა ფოთლები კი მის დანამატებს წარმოადგენენ. აქაც, როგორც რ. შმერლინგი შენიშნავს, ხოვლეს ნაკალოარის კანკელის ჩუქურთმების შედარებისას XIII ს. ძეგლებთან (რკონის ბაზილიკის პორტიკთან და თბილისის ,,მეტეხის‘‘ პორტიკთან)—,,Схема орнамента оставлена без изменения, но рисунок орнамента упрощен именно в этом направлении, какое характерно для этого времени. Весь рисунок исполнен с помощью одной только плетенки, а растительный элемент сведен к трафаретным условно-схематическим листкам не имеющим как не имеет и весь

* Р. Шмерлинг малые формы в архитектуре средневековой Грузии, 1962, ტაბ. 30

орнамент в целом ничего общего с тонкой изощренной обдуманностью и изящной разработкой его''*. ნაკალოარისა და წმ. თევდორეს ჩუქურთმის ალნიშნულ სახეებს დიდად განასხვავებს საერთო შესრულების ხასიათიც, ოსტატობის დონე. ჩვენი მაგალითი უკვე აღარ შეედრება პირველის შესრულების ბრწყინვალებას, რომელიც ,,გვხიბლავს თავისი წყნარი, სიყვარულით გამსჭვალული, გაღრმავებული ყურადღებით ზედაპირის თითოეული მილიმეტრის დამუშავებისადმი, და რომელიც, ხოვლეს კანკელის ქვებს ქვაზე ჭრის, ოსტატობის შედევრებად აქცევს''**.

წმ. თევდორეს ჩუქურთმა მოკლებულია ამ თვისებებს. მის ნახატში, პირიქით, ჩანს სახის ცალკეული ელემენტების სიზუსტის ის ნაკლებობა, ის დაუდევრობა დეტალების დამუშავებაში, რომელიც მას უკვე გარკვეული ხელოსნურობის იერს ანიჭებს. ამრიგად, იგი ამჟღავნებს XIII-XIV სს. დაკავშირებულ მრავალი ძეგლის ორნამენტულ დეკორისათვის უკვე სტილისტიკურ ნიშნებად ქცეულ, დამახასიათებელ თვისებებს.

ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის არქიტექტურისა და დეკორის ანალიზით მიღებულ დასკვნებთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იძენენ ამ ძეგლის წარწერები.

აღნიშნული ნაფხაჭნი წარწერები ე. წ. ,,სგრაფიტო'', გადმოღებული მის მიერ წმ. თევდორეს ეკლესიიდან, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს გადაუცია ლ. მუსხელიშვილისათვის, რომელსაც ეკუთვნის მათი გამოცემა. ხოვლეს წარწერები მოყვანილი და კომენტირებულია ლ. მუსხელიშვილის მიერ ჰამამლუს ტაძრის წარწერების განხილვასთან დაკავშირებით***. წარწერები, როგორც ლ. მუსხელიშვილი შენიშნავს (როგორც ჩანს ი. ჯავახიშვილის ცნობით) მოთავსებული ყოფილა ეკლესიის SO კუთხეში ჩასმული ქვის O და S წახნაგებზე, აგრეთვე ამ ქვის გვერდით მოთავსებულ ქვაზე****.

აღნიშნული ნაფხაჭნი წარწერებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ ეს უკანასკნელი, რადგან შიგ მოხსენებული სახელების—აღბულა, სარგის, ბექა, შალვა—მიხედვით იგი XIV ს. დამდეგით შეიძლება დათარიღდეს.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს,—წერს მუსხელიშვილი,—აღბულა მოხსენებულია 1259 წ. რკონის სიგელში, ხოლო ბექა, სარგის და ყვარყვარე ჯაყელნი იხსენიებიან ბექა მანდატურთ-უხუცესისა და კახა სამძივარის კეთილ მოყვრობის წიგნში, რომელიც 1300 წ. ახლო ხანით თარიღდება.

საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ცნობილი ისტორიული პირის, კახა მეჭურჭლეთუხუცესის ახალქალაქის ერისთავთ ერისთავის სახელი უშუალოდ

---

* Р. Шмерлинг, „Малые формы в архитектуре средневековой Грузии, გვ. 120

** იქვე „ „ „ (თარგმანი) გვ. 120.

*** ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერას ხეობაში, 1941, გვ. 53—75.

**** იქვე გვ. 73,74. აქ როგორც ჩანს კარიბჭის S O კუთხე უნდა იგულისხმებოდეს. აღნიშნული ქვა, როგორც ჩანს, ჩასმული უნდა ყოფილიყო კარიბჭისა და არა თვით ეკლესიის O კუთხეში, რადგან, როგორც ძველ ფოტოზე გარკვევით ჩანს, კარიბჭე ეკლესიას მთელ სიგრძეზე ჰქონდა მიშენებული და ეკლესიისა და კარიბჭის კედლები, ამრიგად, ერთ სიბრტყეს ქმნიდა. ასეთ პირობებში შეუძლებელი იქნებოდა წარწერიანი ქვის S-ის წახნაგის დანახვა.

დაკავშირებულია ხოვლესთან სწორედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. როგორც ცნობილია, რკონის შეწირულების წიგნიდან, რომელიც ,,ქართული დიპლომატიკის ერთ შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს და დაწერილია კახას შეკვეთით 1259 წ. ახლო ხანში, ჩანს, რომ კახას რკონის მონასტრისათვის შეუწირავს მისი ნასყიდი სოფელი ხოვლე*. ამგვარად,—წერს მუსხელიშვილი,—მეჭურჭლეთუხუცესს კახა თორელს, რომელიც ამავე დროს ახალქალაქის ერისთავიცაა



ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესია. გეგმა.

ე. ი. ჯავახეთის განმგებელია, მამულები უჭირავს თეძმის ხეობაში**.

როგორც ვხედავთ, ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის წარწერებში მოხსენებული პირების ცხოვრების წლები არა თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენი ანალიზის საფუძველზე გამოთქმულ მოსაზრებებს კარიბჭის თარიღის შესახებ, არამედ, თავის მხრივ, მათ მტკიცე საფუძველს უქმნის.

როგორც ჩანს, მოშწიფებული შუა საუკუნეების გვიანდელ ეტაპზე, სახელდობრ, XIII ს. მეორე ნახევარში, XIV ს. დასაწყისში ხოვლეში მდგომ ადრინდელი ხანის ეკლესიისთვის, (შესაძლოა ძველი დანგრეული კარიბჭის მაგივრადაც) წარწერებში მოხსენებულ ჯაყელებს ან მირუშიანთ, მიუშენებიათ ჩუქურთმებით შემკული, თლილი ქვით მოპირკეთებული კარიბჭე, ხოლო თვით ეკლესიისთვის მდიდრულად მორთული კანკელი გაუკეთებიათ.

ასეთია, ჩვენ ხელთ არსებული მცირე მასალის მიხედვით, ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის ისტორიული წარსულის ზოგადი სურათი. იგი დამატებით მასალას გვაწვდის და თავისებურად ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ქართლის ამ კუთხეში ხუროთმოძღვრების განვითარების ორი, ქრონოლოგიურად სრულიად სხვადასხვა პერიოდის შესახებ, რომლებთანაც დაკავშირებულია ამ საინტერესო ძეგლის შექმნა.

---

* ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 69. ნ. შოშიაშვილის კვლევითი სიგელი (დაწერილია 1260 წ. (ნ. შოშიაშვილი, რკონის დაწერილი, როგორც ისტორიული წყარო, დისერტაცია, 1952)

** მუსხელიშვილის კვლევითვე თორელების დამკვიდრება ამ ხეობაში გაცილებით ადრე XII ს. შუა ხანებში უნდა მომხდარიყო (იქვე, გვ. 69).

## გვწერენ ზონისა და რაიონის ინსპექტორები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა პაპიძე
საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოების პრეზიდიუმის ინსპექტორი

# აქტიურობენ ძეგლთა დაცვის საქმეში

იმ ზონაში, რომელსაც ვუწევ მეთვალყურეობას (ქ. თბილისში,—ლენინის, 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონები, ქალაქები—ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი და მარნეულის სამრეწველო ზონა; სოფლის რაიონებიდან: ახალციხე, ახალქალაქი, ბოლნისი, ორჯონიკიძე, ზესტაფონი, საჩხერე და ყაზბეგი) თითქმის ყველა რაიონში თავიდანვე შეიქმნა აქტივი საზოგადოების ხაზით, სადაც გაერთიანებულია მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მასში შედიან საზოგადოების რაიონული საბჭოს წევრები, სარევიზიო კომისიები, პირველადი ორგანიზაციების საბჭოს და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკები, პედაგოგთა და უფროსი კლასის მოსწავლეთა შემადგენლობა და სხვა.

აქტივის მიერ შესაფერისი ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად მოხდა მოსახლეობის მასიური გაწევრიანება, საზოგადოების დასახელებულ ზონაში ძეგლთა დაცვას რომ შეგნებულად უყურებენ, დასტურდება შემდეგითაც: თუ 1963 წელს რესპუბლიკაში საფინანსო გეგმა შესრულებული იყო 96%-ით, (აქედან-ინდივიდუალური საწევრო ანარიცხები შეადგენდა სულ-69%-ს, იურიდიული 121%-ს), ჩემს ზონაში გეგმა შესრულდა 108%, აქედან—ინდივიდუალური საწევრო 84%-ით, იურიდიული—134%.

ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონმა, სადაც საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა ამხ. ა. ხომასურიძე, გეგმა შეასრულა 118%-ით, აქედან ინდივიდუალური საწევრო 121%-ით, იურიდიული 113%-ით.

ამ რაიონის ყველა ისტორიულ ადგილს შეფობენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, ტარდება ლექციები, მოხსენებები, ეწყობა ექსკურსიები, საქართველოს კულტურის და ისტორიულ ძეგლების დასათვალიერებლად, როგორც ქალაქში, ისე რესპუბლიკის სხვა რაიონებში, სათანადო წინასწარი მოფიქრებული სამუშაო გეგმის მიხედვით.

კარგად მუშაობს რაიონული საბჭოების შემადგენლობა, საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეები, ისეთები, როგორიც არიან საზოგადოების სატრიკოტაჟო კომბინატის პირველადი ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე—ნ. გოგსაძე, ელმავალმშენებელ ქარხნიდან—ფ. მშვიდობაძე და სხვა.

ამ რაიონში აგრეთვე კარგად არის დაყენებული ფინანსებისა და მარკების აღრიცხვიანობა, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოს წევრი ამხ. ა. შალუტაშვილი. ახალციხის რაიონული საბჭოს თავმჯდომარეა ს. სანიკიძე, ინსპექტორი

ვ. იგიდხანოვა. 1963 წლის საფინანსო გეგმა განისაზღვრებოდა 2400 მანეთით, შესრულება =2971 მან. ე. ი. 124%. ეს ცუდი არ არის, მაგრამ ინდივიდუალური გაწევრიანება მოისუსტებს. იმედია, ახალციხელი მუშაკები მალე გამოასწორებენ ამ საქმეს. ახალციხის გამსხვილებული რაიონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა რესპუბლიკაში, კულტურის ძეგლების რაოდენობის და ისტორიული ღირსების თვალსაზრისით.

ქ. ჭიათურამ საფინანსო გეგმა შეასრულა 119%-ით, ქ. ტყიბულმა 132%-ით, ახალქალაქის რაიონმა 131%-ით და სხვა.

გასული პერიოდის მუშაობის შედეგების ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო საზოგადოების საუკეთესო პირველად ორგანიზაციებზე კონკურსის გამოცხადება და მისი შედეგების შეჯამება. 9 პირველადი ორგანიზაციიდან, რომლებიც დაჯილდოვებული იყვნენ ჟიურის მიერ, ამ ზონის სამმა პირველადმა ორგანიზაციამ დაიკავა საპატიო ადგილი და მიიღო ჯილდო. ესენი არიან: საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშუალო სკოლა (ხელმძღვანელი მ. გოგატიშვილი), ქ. ჭიათურის მარგანეცის მაღარო № 11 (გ. სამხარაძე) და ზესტაფონის რაიონის სოფ. ჩხარის საშუალო სკოლა (ხელმძღვანელი—ა. ბუცხრიკიძე).

საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საბჭოს რესპუბლიკური პრეზიდიუმის დადგენილებით კარგი მუშაობისათვის დაჯილდოვებული იქნენ შემდეგი ამხანაგები: ა. ხომასურიძე, ა. შალუტაშვილი, ე. ცერცვაძე, ს. ბეგიაშვილი, ზ. პოპოვა, ჭიათურიდან—ნ. კვარაცხელია, ს. მიქიაშვილი, საჩხერიდან—ლ. შალამბერიძე, ახალციხიდან—ვ. იგიდხანოვა და ს. სანიკიძე, ტყიბულიდან—ბ. ჭელიშვილი, ვ. გეგეშიძე.

უკვე დიდი ხანია, როგორც წესი, ზონის ყველა რაიონში საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები შეფობენ ცალკეულ კულტურის ძეგლებს.

ზონაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი:

1. საზოგადოების მუშაობაში არ არის ჩაბმული რაიონის მთელი აქტივი.

2. ჯერ კიდევ არ უფრთხილდებიან ძეგლებს და აზიანებენ მას. მაგ.: ტანძია, დაბა ბოლნისი (სუსტად მუშაობდა ბოლნისის რაიონში კულტურის განყოფილება, რომელსაც ეს საქმე ევალა).

3. ზონის სხვა რაიონებშიც ჯერ კიდევ ყველა ძეგლი არ არის აღრიცხული და მოვლილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იონა ნუცუბიძე
საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოების პრეზიდიუმის უფროსი ინსპექტორი

# როცა საქმეს გულისხმიერად ეკიდებიან

ძეგლთა დაცვის საზოგადოების გეგეჭკორის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე გივი ელიავა) რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერით წარმატებით უძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. საბჭოში არჩეულია საქმისადმი დაინტერესებული ამხანაგები. აქვთ წინასწარ შემუშავებული სამუშაო გეგმა, საბჭოს წევრთა შორის განაწილებულია ფუნქციები. სისტემატიურად ტარდება საბჭოს სხდომები. საბჭოს სხდომაზე ისმენენ საბჭოს წევრთა თვით ანგარიშს, საბჭო ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს ფინანსიურ გეგმას, ამას გარდა ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს. ადგილობრივი ძალებით, სისტემატიურად ტარდება ლექციები, ეწყობა ექსკურსიები. ახალი ძეგლების გამოვლინების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები, რის შედეგადაც მათ შეკრიბეს 60-ზე მეტი ნივთი და მასალა. ასზე მეტი გადმოცემა, ლეგენდა, ჩაწერეს 500-ზე მეტი ტოპონიმიკური მასალა, შეისწავლეს მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი, იპოვეს უძველესი მატერიალური კერა ნახუნარში, რამაც რაიონულ საბჭოს საშუალება მისცა აღერიცხა ყველა ძეგლი და ადგილი, რის შედეგადაც ერთი ჯგუფი რაისაბჭოს აღმასკომის ნაკრძალად გამოცხადდა, ძეგლების მოვლა-პატრონობის მიზნით ჩაატარეს კვირეული, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო საზოგადოების 60-ორგანიზაციამ 700 კაცის მონაწილეობით. დაასუფთავეს და გაწმინდეს ძეგლების მიდამოები. რაიონში 30 ძეგლს მიჩნეული ჰყავს საზოგადოებრივი მეთვალყურე.

საბჭომ ჩაატარა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა რაიონში არსებულ ძეგლებს. სოფელ სალხინოს საშუალო სკოლასთან არსებულმა პირველადმა ორგანიზაციამ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნა სასკოლო მუზეუმი. სკოლის ახალგაზრდულმა კოლექტივმა რამდენჯერმე ჩაატარა შაბათობა, გაწმინდა და წესრიგში მოიყვანა დადიან-მიურატების სალხინოს სასახლის ეკლესია.

ზუგდიდის რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე შ. ქობალია) ძეგლების შენარჩუნების მიზნით რაიონის ყველა ძეგლზე დააწესა მეთვალყურეობა, ხოლო ზოგიერთ ძეგლს მიუჩინა ფასიანი მცველი. ძეგლთა დაცვის საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ძირეული ორგანიზაციები და ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრები.

რაიონული საბჭო ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს ფინანსიურ გეგმას. ტარდება ლექციები, ეწყობა ექსკურსიები.

კარგი მუშაობით ზონაში თავი ისახელეს აგრეთვე მახარაძის (თავმჯდომარე—ზ. დუმბაძე), ლანჩხუთის (თავმჯდომარე—რ. ებრალიძე) რაიონულმა საბჭოებმა. საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა წულუკიძის რაიონულმა საბჭომ

(თავმჯდომარე—ლ. ჩხენკელი). ჩამორჩებოდა მუშაობაში ძეგლთა დაცვის მაიაკოვსკის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე-პ. ჩიქვინიძე), მაგრამ წელს მათ საქმიანობაში გარდატეხა მოხდა. ადგილზე პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით რაიონულმა საბჭომ მუშაობა გარდაქმნა.

მეორე წელია, რაც შეიქმნა ძეგლთა დაცვის სამტრედიის საქალაქო საბჭო (თავმჯდომარე ჯ. გოგავა). მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქალაქო საბჭომ გასულ წელს ფინანსიური გეგმა 157 პროცენტით შეასრულა, (რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით), რის გამოც პრეზიდიუმმა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. გოგავა დააჯილდოვა საზოგადოების საპატიო სიგელით.

არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ცხაკაიას რაიონულ ხელმძღვანელობას. ხუთი წლის მანძილზე ხუთჯერ შეიცვალა საბჭოს თავმჯდომარე. ამან გავლენა მოახდინა საზოგადოების საქმიანობაზე, რის გამო რაიონულმა საბჭომ თავი ვერ დააღწია ჩამორჩენას.

ძეგლთა უმრავლესობა შეკეთება-აღდგენას მოითხოვს, საზოგადოებამ გასულ წელს ხელი მოჰკიდა ძეგლების შეკეთების საქმეს. შეკეთდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი, რისთვისაც გაღებული იქნა სათანადო თანხა. ასეთივე ღონისძიება ტარდება წელსაც. ყოველივე ეს დიდ მოვალეობას აკისრებს საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ საზოგადოების ფინანსიური ბაზა. საზოგადოების თვითეული წევრის საპატიო მოვალეობაა წმინდად დაიცვას და შეასრულოს საზოგადოების წესდება.

საჭიროა მტკიცედ გავატაროთ ცხოვრებაში 1960 წლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე მიღებული დადგენილებანი მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოებისადმი, რათა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კულტურის ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობით საზოგადოებას ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეში.

ვალ. X ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი გოგოლაძე
საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების
ხაშურის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

# გავაუმჯობესოთ კულტურის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაციების მუშაობა

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის ხაშურის რაისაბჭომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. საზოგადოების ბევრი პირველადი ორგანიზაცია უდიდესი ყურადღებით ეკიდება და შეუნელებელ მზრუნველობას იჩენს ჩვენი ეროვნული კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმისადმი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ხაშურის რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების პირველადი ორგანიზაციები

თუ გასულ წელს ჩვენი რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება აერთიანებდა 1800 წევრს, აქედან მოსწავლე იყო—1200 და მოზრდილი 600, ამჟამად იგი უკვე აერთიანებს 4000-ზე მეტ წევრს. აქედან მოსწავლეა—3200 და მოზრდილი 1200-ზე მეტი. გაიზარდა კოლექტიურ წევრთა რაოდენობაც. შესაბამისად გაიზარდა საზოგადოების სახსრები.

მიმდინარე წელს კარგად მუშაობენ ხაშურის რაიონის—სურამის № 1, ხაშურის № 2, სოფ. იტრიის, წაღვლის, გომის, ქვიშხეთისა და სხვა საშუალო სკოლების პირველადი ორგანიზაციები.

თუ დღემდე ცალკეული პირველადი ორგანიზაციები მხოლოდ პერიოდულად აწყობდნენ შაბათობებს, კულტურის ძეგლების მიდამოთა გაწმენდისათვის, ახლა ცალკეულმა ორგანიზაციებმა შეფობა იკისრეს ძეგლების მოვლა-პატრონობის გაძლიერების მიზნით.

მაგ: ხაშურის რაიონის იტრიის საშ. სკოლამ (დირექტორი კ. ნადირაძე) შეფობა იკისრა სოფ. იტრიის XVII საუკუნის ბაზილიკური ეკლესიის მოვლა-პატრონობაზე. ასევე შეფობა იკისრა ნაბახტევის 8-წლიანმა სკოლამ (დირექტორი თ. ნოზაძე, საზ-ის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე თ. შიუკაშვილი), სოფ. ნაბახტევის XIV—XV საუკ. ღვთისმშობლის ტაძრის დაცვისა და მოვლა-პატრონობის გასაწევად. ამ სკოლამ გაწმინდა და შეაკეთა მისასვლელი გზა.

გარდა ამისა, ქვიშხეთის საშ. სკოლა (დირექტორი გ. მანჩხაშვილი და პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე—თ. ღონღაძე) შეფობას უწევს ქვიშხეთის XVII-საუკუნის ციხეს და XVIII საუკუნის კოშკს, ხოლო ახალდაბის საშ. სკოლამ (დირექტორი თ. სირაძე) იკისრა ახალდაბის შუა საუკუნეების ციხის დაცვა და მოვლა-პატრონობა.

მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ხაშურის რაიონის სოფ. წაღვლის და სოფ. ტკოცის რვაწლიანი სკოლების პირველადი ორგანიზაციები (დირექტორები გ. გელაშვილი, ა. გრიგალაშვილი). უკანასკნელ ორ წელიწადში აღნიშნული სკოლების დახმარებით ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

საგრძნობლად გამდიდრდა ქვისა და ბრინჯაოს, რკინის ხანის ფონდებით. ამ ნივთების დიდი უმრავლესობა მოტანილია სოფ. ნაცარგორის ყორღანული სამარხიდან და ტკოცის გორაკიდან, რომელსაც 500 კვ. მ. ფართობი უკავია.

სოფელ წაღვლში მიწის დამუშავების დროს ჩვენი საზოგადოების წევრმა გ. კაპანაძემ მიწიდან ამოაგდო სპილენძის მიკრო-ქვაბი, რომელშიც აღმოჩნდა XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის უნიკალური განძი 25 მონეტით.

აღნიშნული მონეტები მოჭრილია ქართველი მეფეების ვახტანგ V (შახნავაზის), ვახტანგ VI, ბაქარისა და სვიმონის მიერ.

გარდა ამისა, ამას წინათ ამავე სოფლებში მიწის დამუშავების დროს წააწყდნენ უძველესი ხანის ნამარხებს. ნამარხებში აღმოჩნდა ძველი ხანის საომარი იარაღები და სამკაულები, 3 ცალი სატევარი, ამდენივე შუბის პირი და ერთი ცალი ქამრის აბზინდა, რომელზედაც მელიის თავია გამოსახული.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ხაშურის რაისაბჭოს პირველადი ორგანიზაციები დიდი სიხარულით შეხვდნენ „ძეგლის მეგობარი"-ს გამოსვლას. ისინი კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მუშაობას და გარკვეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი ეროვნული კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა

## სპელეოლოგთა გამსვლელი სამეცნიერო სესია

ცნობილია, რომ ფეოდალური საქართველოს ძლიერებას თითქმის მთელი ათასი წლის განმავლობაში მესხეთ-ჯავახეთი ედო ქვაკუთხედად. იგი იყო მისი ფორპოსტი სამხრეთიდან მოძალებული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ რატომ არის ასე აღვსილი ეს მხარე ისტორიული ძეგლებით.

ამ ძეგლთა შორის ერთი პირველი ადგილი კლდეში ნაკვეთ ქვაბებს უჭირავს:—ვარძია, ვანის ქვაბები, სამსარი მათი საუკეთესო ნიმუშებია. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ამ რამდენიმე წლის წინ დაარსებულმა სპელეოლოგიურმა კომისიამ თავისი პირველი გამსვლელი სესია სწორედ ახალციხეში მოაწყო.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა ხელშეწყობით ჩინებულად იყო ორგანიზებული, როგორც თვით სესია, ისე სესიის მონაწილეთა მიერ მესხეთ-ჯავახეთის ისტორიო ძეგლების ერთგვარი საინსპექციო მიმოხილვა—დათვალიერება. სესიამ ადგილობრივ მოსახლეობაში ფრიად დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოხსენებები (გ. გაფრინდაშვილის, შ. ონიანის, ლ. ხიმშიაშვილის) და მათ გარშემო წარმოთქმული სიტყვები (ქ. ჯავრიშვილის, ვ. ბერიძის, ალ. კალანდაძის, ლ. ისაკაძის, გ. ლომსაძის, ნ. ნათენაძის) სესიამ დიდი ყურადღებით მოისმინა. მსჯელობის საგანს შეადგენდა ამ მხარის კლდეში ნაკვეთ ქვაბთა ხუროთმოძღვრება, მათში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ნაშთები, ეპიგრაფიკული ძეგლები და კულტურის ყველა ამ ძეგლთან დაკავშირებული აღდგენა-კონსერვაციისა თუ მოვლა-პატრონობის საკითხები. კერძოდ აღნიშნული იყო, რომ მესხეთ-ჯავახეთის ქვაბთა კომპლექსები (ვარძია, ვანის ქვაბები, ჭაჭკარი, სამსარი და სხვ.) ფრიად მნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენენ ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების დარგში. მათი საშუალებით ვეცნობით კლდეში ნაკვეთ სოფლებს, ხალხური საცხოვრისის უძველეს ნიმუშებს, გვირგვინული განათების გლეხურ დარბაზებს, მონასტრებს, გამოქვაბულ გუმბათიან და დარბაზულ ეკლესიებთან დაკავშირებულ ქვაბ-საცხოვრისებს, საწნახლებს, საქაჯავებს, წისქვილებს და სხვა.

მესხეთ-ჯავახეთის ბრწყინვალე საისტორიო ძეგლებს უეჭველად მეტი ყურადღება ესაჭიროება, სიამოვნებით ვუჭერთ მხარს „იუნესკოს“ საუცხოო თაოსნობას კულტურის ძეგლთა დაცვის საერთაშორისო წლად 1964 წლის გამოცხადების შესახებ და მიგვაჩნია, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში სწორედ ერთ-ერთი საგულისხმო წვლილი იქნებოდა მესხეთ-ჯავახეთის კლდეში ნაკვეთ და სხვა დიდებულ ძეგლთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება.

## ძეგლის იუბილე

როგორც მკითხველებს ჩვენი მეორე კრებულიდან ახსოვთ, ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავ ძეგლს, კუმურდოს ტაძარს 1000 წელი შეუსრულდა.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის და ახალქალაქის რაისაბჭოს ინიციატივით 1964 წლის 19 სექტემბერს სოფელ კუმურდოში, ძეგლთან მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გახსნა საქ. კ. პ. ახალქალაქის რაიკომის მდივანმა მ. ლაზარაშვილმა.

სიტყვებით და მოხსენებებით გამოვიდნენ მწერალი ლ. გოთუა, ნ. ლომსაძე, ა. კარაპეტიანი შ. პაპიძე და სხვები.

იმავე საღამოს ახალქალაქის რაიკომის სააქტო დარბაზში მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ—კ. სოხაძემ.

ჯავახეთისა და კუმურდოს მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ მოხსენებები გააკეთეს: ისტ. მეცნიერებათა კანდიდატებმა—გ. გაფრინდაშვილმა, შ. ლომსაძემ, ახალქალაქის კულტურის განყოფილების გამგე—ჰ. დურგარიანმა, პროფესორმა გ. ტივაძემ, დოცენტებმა—ლ. სუმბაძემ, ი. მაისურაძემ და სხვებმა.

კონფერენციის დასასრულს, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სიგელები გადაეცა საზოგადოების აქტიურ მუშაკებს.

ნაჩვენები იქნა კინო-ფილმები კულტურის ძეგლებზე.

## გამსვლელი სესია ცაგერში

1964 წლის 26-27 სექტემბერს ცაგერის რაიონში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მიერ ჩატარდა კონფერენცია, მიძღვნილი ლეჩხუმის კულტურის ძეგლებისა და ისტორიულ-რევოლუციური ადგილებისადმი.

კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 26 სექტემბერს, ცაგერის რაიონის კულტურის სახლში, გახსნა საქ. კ. პ. ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. სილაგაძემ.

მოხსენებები წაიკითხეს: საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესახებ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ—კ. სოხაძემ.

ლეჩხუმის ისტორიულ რევოლუციური ადგილებისა და გლეხთა 1918 წლის აჯანყების შესახებ მოხსენება წაიკითხა აჯანყების მონაწილემ, გენერალ-მაიორმა გ. ყურაშვილმა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. გაფრინდაშვილის მოხსენება მიეძღვნა საქართველოს გამოქვაბულებს, მათ ისტორიასა და არქიტექტურას.

მოხსენება—ლეჩხუმის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ წაიკითხა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა—ვლ. თოთაძემ.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის ბრძანება საზოგადოების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისა და ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე მზრუნველობის გამოჩენისათვის, რიგი ამხანაგების დაჯილდოვების შესახებ წაიკითხა ირ. ზაქარიაშვილმა.

დასასრულ ნაჩვენები იქნა სპეციალური ფილმები.

27 სექტემბერს ცაგერის მშრომელებმა თავი მოიყარეს ობელისკთან, რომელიც აღმართულია 1916 წლის აჯანყების აღსანიშნავად. მიტინგი გახსნა საქ. კ. პ. ცაგერის რაიკომის I-მა მდივანმა კ. სილაგაძემ. ობელისკთან მოგონებებით გამოვიდნენ აჯანყების მონაწილეები: ირ. სოხაძე, გ. ყურაშვილი და სხვ. სიტყვები წარმოთქვეს მოსწავლეებმაც.

მშრომელებმა ყვავილებით შეამკეს ობელისკი, სადაც 1918 წლის ბრძოლაში მოკლული და დაჭრილ იქნა ასზე მეტი ლეჩხუმელი მშრომელი.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ღონისძიებას ლეჩხუმელი მშრომელები მოწონებით შეხვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეორიული კონფერენცია

თეორიული კონფერენცია თემაზე—„ჩვენი რაიონის კულტურის ძეგლები და ისტორიულ-რევოლუციური ადგილები“ ჩატარდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანმა—სოფიო გამრეკელმა. სიტყვით გამოვიდა ავლაბრის არალეგარული სტამბის ექსკურსიათმძღოლი—ვ. აბაზაძე. რაიონში არსებული ისტორიული ძეგლების მიმოხილვას მიუძღვნა თავისი სიტყვა მეცნიერ-მუშაკმა გ. გოგიამ. კონფერენციაზე გამოვიდნენ, აგრეთვე, 93-ე საშუალო სკოლის დირექტორი ს. სააკიანი, 95-ე საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი—ი. ნათაძე.—„ჩვენი რაიონის პიონერ-მოსწავლეების მოვალეობაა რეგულარულად მოვაწყოთ შაბათობები რაიონში არსებულ კულტურის ძეგლებზე და ისტორიულ რევოლუციურ ადგილებზე. ისინი უნდა გადავაქციოთ პიონერული რაზმის შეკრების ადგილებად“—აღნიშნა მან.

შემდეგ კონფერენციის დარბაზში მწყობრად შემოვიდნენ პიონერ-მოსწავლეები, რომლებიც იესალმნენ კონფერენციას და პირობა დასდეს, რომ დაიცავენ, მოუვლიან რაიონში არსებულ ისტორიულ ძეგლებს. დასასრულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. სოხაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა რაიონის ხელმძღვანელობას და კონფერენციის მონაწილეებს. მოუწოდა მათ უფრო ფართოდ ჩაებან რაიონის მოსახლეობა საზოგადოებაში, მოვუაროთ რაიონში არსებულ ისტორიულ ძეგლებს და გავუფრთხილდეთ რევოლუციურ რელიქვიებს, რათა ისინი უკლებლივ შემოვუნახოთ შთამომავლობას.

დასასრულს რაიონის მუშაკთა დიდ ჯგუფს გადაეცა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების საპატიო სიგელები.

კონფერენციის მონაწილეებს უჩვენეს კინო-ფილმი „სამი რევოლუციის ქალაქი“.

კონფერენციამ დამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

## კიჟის ძეგლის 250 წლისთავი

1964 წლის 23 ივნისიდან 11 ივლისამდე მოსკოვსა და პეტროზავოდსკში მიმდინარეობდა მეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ონეგის იქითა მხარის ძველი რუსული ხის ხუროთმოძღვრულ ძეგლის კიჟის 250 წლისთავისადმი. იუბილეში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის, ლენინგრადის-კარელიის მეცნიერები.

სტუმართა შორის იყვნენ უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის სსრ რესპუბლიკის წარმომადგენლები. საქართველოდან—ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მ. დვალი და ისტორიკოსი ირ. ზაქარიაშვილი.

კონფერენცია გაიხსნა მოსკოვში 23 ივნისს, ხოლო პეტროზავოდსკში და კუნძულ კიჟზე 7-11 ივლისს.

პეტროზავოდსკში კონფერენცია შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ჩატარდა პოლიტგანათლების სახლის შენობაში.

ფოიესა და დარბაზებში გამოფენილი იყო ონეგის იქითა მხარის ხუროთმოძღვრული ძეგლების ფოტოები, ნახაზები, ცალკეული დეტალების ნახატები, მაკეტები და სხვა, ხოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დარბაზში—ჩრდილოეთის რუსული მხატვრული სკოლის ნიმუშები.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნა 14 მოხსენება, რომლებიც ეხებოდა ჩრდილოეთ რუსეთის ხუროთმოძღვრებას, დაზგურ ფერწერას, არქეოლოგიას, ხალხურ-დეფორმატულ ხელოვნებას, ონეგის იქითა მხარის ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, და სხვა. აგრეთვე ძეგლთა კონსერვაციის, დენდროქრონოლოგიის, ღია ცის ქვეშ მუზეუმის, ნაკრძალების მოწყობისა და სხვა საკითხებს.

ლექციები უხვად იყო ილუსტრირებული კინო და დიაფილმებით, წარმოდგენილი იყო ცალკეული დეტალების ნიმუშებიც.

განსაკუთრებით საინტერესო იყო არქიტექტურის დოქტორ ვ. ი. პლიავსკის მოხსენება „კიჟის არქიტექტურული ანსამბლი“.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, და საერთოდაც ცნობილია, კარელიის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის საპატიო ადგილი უკავია კიჟის მრავალგუმბათიან ტაძარს, რომელიც ითვლება რუსული ხუროთმოძღვრების უდიდეს მიღწევად.

იგი მდებარეობს ონეგის ტბის ერთ-ერთ კუნძულზე. ხუროთმოძღვრის სახელი უცნობია. ერთ-ერთი ლეგენდის გადმოცემის თანახმად, ეს ეკლესია ააგო ოსტატმა ნესტორმა, შემდეგ ცული გადა-აგდო ონეგის ტბაში და თქვა: „მსგავსი არ ყოფილა, არ არის და არც იქნებაო“. ოცდაორგუმბათიანი მონასტერი სიმაღლით 35 მეტრია, საამშენებლო მასალად გამოყენებულია მხოლოდ ხე, ხოლო იარაღად ცული. ამითაცაა იგი აღსანიშნავი, როგორც ნიმუში ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი გენიისა, რომელმაც უბრალო საამშენებლო მასალითა და იარაღით შემდეგში რუსეთის სინამდვილეში ასეთი გენიალური ძეგლი შექმნა.

ამ ძეგლმა გარშემო შემოიკრიბა რუსული ხუროთმოძღვრების სხვა ნიმუშებიც, როგორიცაა 1714 წელს აგებული, აგრეთვე მრავალგუმბათიანი პოკროვსკის მონასტერი, საცხოვრებელი სახლები, წისქვილები და სხვა.

საბჭოთა კავშირში იგი ერთ-ერთ საუკეთესო ყოფით მუზეუმად იქცა, რომლის კეთილმოწყობასა და დაცვა-შენარჩუნებას საკავშირო და ადგილობრივი ორგანოები სახსრებსა და მზრუნველობას არ აკლებენ.



ხოვლეს წმ. თევდორეს ეკლესიის კანკელის ფრაგმენტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რედაქციის ფოსტა

## „უკვდავების“ მოტრფიალენი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი დიმიტრი ლობჟანიძე, მხატვრული თვითმოქმედების კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი ვახტანგ გურგენიძე და სხვები რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში წერენ, რომ ბევრი ისტორიული ძეგლის კარ-მიდამო საქეიფო ადგილადაა გადაქცეული. ისვრიან თოფებს, პისტოლეტებს, ამახინჯებენ კედლებს, ბევრი კი თავისი სახელის უკვდავსაყოფად ბლაჯნის თავის გვარსა და სახელს.

ს ა მ ა რ ც ხ ვ ი ნ ო ა!

ამხ. დ. ლობჟანიძესა და ვ. გურგენიძეს ვთხოვთ შემდეგისათვის მოგვაწოდონ კონკრეტული დამნაშავის გვარი და სახელი ჩვენს კრებულში გამოსაქვეყნებლად.

## მეტი ყურადღება თბილისის გარეუბანს!

გარდაბნის რაიონის ველკეთილის (ავტორი ვარკეთილს* ხმარობს) რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ზაქ. რამიშვილი გვწერს, რომ თბილისის მიდამოებში არის მრავალი ისტორიული ძეგლი, (თელეთის მონასტერი, კუმისის სამება, კუმისის კოშკი და სხვა) რომელთაც აკლიათ ყურადღება და მოვლა. რაიონის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

რედაქცია ურჩევს ამხ. ზ. რამიშვილს მისცეს მაგალითი სხვა მეზობელ სკოლებს და პირველმა ძეგლის მოვლა-პატრონობა იკისროს მან და მისმა სკოლამ.

---

*) „ვარკეთილის“ ნამდვილი სახელი ველკეთილია. სანამდე დადგენილებით სახელი არ შეიცვლება, მას ძველი სახელი უნდა დარჩეს. მით უმეტეს, ველკეთილი საკმაოდ კეთილხმოვანი სახელწოდებაა.

რ ე დ ა ქ ც ი ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ» № 3

Серия «Памятники материальной культуры»

КРАТКОЕ СОДЕРЖАНИЕ:

*Г. М. ГАПРИНДАШВИЛИ*
Кандидат архитектуры

## Пещеры исторической Джавахетии

*Грузинский народ наряду с деревянными и каменными строениями широко использовал и высеченные в скалах сооружения. Пещерное зодчество является одним из значительных отраслей древнегрузинского строительного искусства. В Грузии создано немало замечательных скальных сооружений.*

*В провинции Грузии—Джавахетии встречаются пещерные комплексы гражданского и культового назначения. В скалах высекались отдельные комплексы убежищ, храмы и монастыри, скальные села с пещерными жилищами. Устраивались хлева, винодавильни, водохранилища, кухни, уборные, скальные мельницы, водопроводы, оросительные каналы и другие. Из тех об'ектов, которые датируются VIII-XIII вв. необходимо назвать: Джолда, Маргастани, Тмогви, Мирашхани, Чачкари, Самсари, Ванис-Квабеби, Ананаури, Вардзиа и др.*

*Изучение характерных особенностей этих скальных сооружений дает возможность создания типологии и периодизации и, отчасти, истории этих комплексов. Эти исследования дают сравнительный материал для изучения пещерных комплексов других районов Грузии.*

*Ш. Я. АМИРАНАШВИЛИ*
Академик АН Груз. ССР

## Стенная роспись главного пещерного храма в Вардзии

*Сравнительное изучение росписей конца XII и начала XIII века указывает на существование различных течений и школ в области грузинской монументальной живописи. Наиболее ранней среди росписей эпохи правления царицы Тамары является роспись главного пещерного храма в Вардзии. В конхе алтарной абсиды в торжественной позе восседает богоматерь с младенцем, по сторонам, которой представлены в рост архангелы Михайл и Гавриил. Все фигуры изображены на темно-синем фоне, усеянном звездами. В нижнем регистре изображены в традиционных одеяниях святители, а в окнах св. воины. Своды храма и западная стена заняты изображением новозаветных композиций, а на стене откры-*

*того притвора изображен Страшный суд. На западной стене южного притвора изображено перенесение мощей св. Стефана и обретение голгофского креста. Среди отдельных изображений святых, помещенных на арках и пилястрах храма выделяется св. Нина, просветительница Грузии, представленная около входной двери, на южном пилястре.*

*Все перечисленные композиции выдержаны в нормах художественных традиций грузинского искусства этой эпохи. Общей чертой всех представленных композиций является подчеркивание эмоциональных моментов в передаче традиционной темы, что вносит живую струю в иконографию традиционных тем.*

*Роспись Вардзии в целом стоит на высоком уровне художественной культуры своей эпохи. Большую роль в искусстве росписи Вардзии играет ктиторский портрет. На северной стене перед сидящей на троне богоматерью с младенцем изображены в рост в царских одеяниях Георгий III и царица Тамара, которая как и в других росписях этой эпохи (Бетания, Кинцвиси, Бертубани) носит именно мужское царское одеяние, а не одеяние царицы. Содержание ктиторской надписи на фреске и детали головного убора Тамары позволяют уточнить датировку росписи. Она выполнена после смерти Георгия III, последовавшей 27 марта 1184 года, и не позднее 1186 года (дата выхода царицы Тамары замуж за Юрием, сыном Андрея Боголюбского.) На северной стене представлен „эриставт Картли“ в парадном одеянии, в высоком головном уборе, имя которого утрачено.*

*Роспись Вардзии выполнена на высоком художественном уровне и свидетельствует о новых прогрессивных достижениях, которые подготовили зарождение нового направления в грузинском искусстве.*

*Ш. С. ОНИАНИ*
Кандидат филологических наук

## Оберегать надписи Ванского пещерного монастыря

*Ванский пещерный монастырь расположен в Ахалцихском районе, между Вардзиа и Тмогви, на правом берегу р. Куры. Большой интерес представляют сохранившиеся на его стенах надписи второй половины XV века, которым и посвящена статья.*

*1. В надписях приводятся образцы грузинской поэзии XII-XV вв.,—как литературные, так и фольклорные. Большинство их имеет любовное содержание. В одной из надписей встречается фрагмент „Венхисткаосани“ (стр. 1300-1301).*

*2. Часть надписей Ванского пещерного монастыря выцвела под воздействием солнечных лучей и повреждена случайно попадавшими в монастырь лицами. Необходимо принять специальные меры для их охраны.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*Д. А. ХАХУТАЙШВИЛИ*
Кандидат исторических наук

## Уплисцихе

*Автор рассказывает о результатах археологического изучения Уплисцихе, одного из блестящих творений материальной культуры дофеодальной Грузии и крупнейшего городского центра рабовладельческой Иберии (Картли).*

*В свете новооткрытых материалов пришлось подвергнуть пересмотру основные вопросы истории Уплисцихе, научное разрешение которых запоздало почти на 100 лет, из-за отсутствия критически изученных первоисточников и надежного сравнительного материала.*

*Было установлено, что первые поселения в районе Уплисцихе появились во второй половине II-го тысячелетия до н. э., среди которых в начале I тысячелетия до н. э. выдвинулось поселение, расположенное на месте современного скального городища. В VI-V вв. до н. э. Уплисцихе является крупным поселением городского типа, дальнейшее развитие которого в IV-III вв. до н. э. завершилось возникновением крупного городского центра, с развитым хозяйством, оживленной торговой связью с городскими центрами Колхиды, Ирана, Малой Азии и Восточного Средиземноморья, пестрым социальным и этническим составом населения, прекрасными для своего времени путями сообщения и т. п.*

*В период раннего средневековья Уплисцихе остается как сильнейший военный плацдарм и опорный пункт, игравший немаловажную роль в процессе объединения Грузии.*

*Г. В. АБРАМИШВИЛИ, К. А. ВАЧЕЙШВИЛИ*
Научные сотрудники Музея искусств Грузии.

## Уплисцихский „Миували“ (труднодоступный) комплекс

*Археологические работы произведенные в Уплисцихе выявили необходимость изучения труднодоступных пещер этого городища.*

*Пещера сильно выветрена. Состоит она из площадки (двора) и двух помещений, из которых одно перекрыто цилиндрическим сводом и характеризуется вытянутыми, высокими пропорциями. Второе помещение низкое и расположено на одну ступеньку выше первого. На восточной стене в центральном месте высечен монолит в форме кресла. В пещере обнаружены керамические фрагменты, датирующиеся V-IV в в. до н. э. Это дает нам возможность предполагать, что примерно в этот отрезок времени был-*

*нарушен путь к подступам вышеупомянутого комплекса. В результате анализа этих фактов, нижней хронологической границей высечения этих залов можно было-бы считать VI-V вв. до н. э.*

*Монолит в форме кресла, находящийся у стены указывает на культовое назначение этого сооружения.*

*Изучение „труднодоступного" комплекса и его хронологическое определение, на сегодняшний день ставит вопрос о пересмотре и передатировке многих внутригородских архитектурных сооружений Уплисцихе и их декоративных систем. Ответ на это смогут дать археологические исследования.*

*К. В. ДЖАВРИШВИЛИ*
Заместитель председателя Спелеологической комиссии АН Грузинской ССР

## Мир подземных памятников

*В продолжение многих тысячилетий человек использовал естественные пещеры для жилья, а многие века для хозяйственных, оборонительных и культовых нужд. Возникло пещерное строительство, которое в средние века достигло максимального расцвета.*

*Грузинскими археологами изучено множество пещер, начиная с нижнего палеолита (Цона, Кударо, Дзеврисн), верхнего палеолита (Дзвис-хврели, Сагварджиле), античного (Уплисцихе) и феодального (Вардзиа, Давид-Гареджа) периодов, и кончая многочисленными пещерами каньонов Кциа, некоторые из которых и сейчас используются населением для хозяйственных нужд.*

*Многие из вновь изученных пещерных памятников, (Трехви, Кобтави, Цихе-Квaби) вошли уже в научный обиход, многие же (а таких великое множество) только учтены, или пока даже не выявлены.*

*Из пещер изученных за последние годы особый интерес представляют пещерные комплексы ущелья р. Кциа, не только потому, что они многочисленны и многообразны, но, в основном, потому, что их изучение постепенно всё в большей и большей степени выявляет то весьма интересное и значительное обстоятельство, что сооружались они по единному продуманному плану, как неот'емлемая составная часть общей оборонительной фортификационной системы Квемо-Картли.*

*Выявленные в каньонах ущелий р. р. Машавера и Кциа пещерные „укрепленные районы" восполняют пробелы обороны в промежутках между опорными крепостями, в тоже время, служат надежным убежищем для укрытия населения. Единая система визуальной коммуникации связывает оборонительные сооружения всего ущелья (например, в ущелии р. Кциа, она прослежена от низовых крепос*

тей—до крепостей замыкающих верховья рек, таких например, как Кладжари.

Изучение пещерных комплексов дело новое. Мы смогли пока приподнять только край завесы, скрывающей обширный и почти неведомый мир подземных сооружений, созданных упорным трудом наших предков.

*В. О. ДОЛИДЗЕ*
Кандидат искусствоведения

## Пещерный комплекс Давид-Гареджи

*Среди многочисленных выдающихся памятников старины комплекс пещерных монастырей Давид-Гареджи (в 60 км. к ю. в. от Тбилиси) занимает особое место.*

*По своему масштабу, продолжительности исторической жизни, богатству произведений искусства, комплекс Давид-Гареджи является исключительным памятником мирового значения.*

*Основанные первоначально в VI веке одним из сирийских отцов, проповедывавших в Грузии христианство,—Давидом Гареджели, эти монастыри просуществовали до XIX века.*

*В статье кратко изложен наиболее интересный период жизни монастырей с начала их возникновения и до высшего расцвета строительства на грани XII-XIII веков.*

*Г. В. АЛИБЕГАШВИЛИ, Н. И. ВОЛЬСКАЯ*
Кандидаты искусствоведения

## Роспись Давид-Гареджи

*Росписи Давид-Гареджийской пустыни (Удабно, Додос-Рка, Бертубани), исполненные в период с X по XIV в. в. представляют ценный и интересный памятник истории культуры Грузии.*

*Художественные особенности росписей, колорит их дают основание говорить о существовании в Давид-Гареджийском монастыре своей живописной школы. Расцвет этой живописной школы относится к периоду наивысшего культурного и политического развития Грузии—XI нач. XIII в. в. Кульминационным пунктом развития Давид-Гареджийской школы живописи являются Бертубанские росписи, исполненные в конце XII, нач. XIII в.в. сбольшим художественным мастерством и отражающие определенную свободу творчества художника в использовании канонизированных схем византийской живописи.*

*Одним из факторов, повышающих интерес к Давид-Гареджийским росписям являются ктиторские изображения—портреты царицы Тамары и её сына Лаша Георгия в Бертубани, царя Димитрия Самопожертвователя в Удабно и др. Изображение ряда*

*сцен из жизни основателя Давид-Гареджского монастыря—Давида, свидетельствует о формировании своей, национальной иконографии на материале грузинской житийной литературы.*

*На основе анализа художественных особенностей Давид-Гареджской живописи, созданной вдали от центров византийского искусства, Г. Н. Чубинашвили в труде о Давид-Гареджийской монастыре выдвинул ряд важных проблем о взаимоотношении грузинских росписей, в частности, Давид-Гареджийских росписей, с искусством всего христианского и мусульманского Востока, а также с византийским искусством и с первыми этапами развития западно-европейской живописи.*

*В. Г. ЦИНЦАДЗЕ*
Кандидат искусствоведения

## „Кацхис свети"—памятник, грузинского зодчества V-VI вв.

*К северу от Шоропани, в ущелье реки Коцхура (правый приток Квирилы) возвышается столпообразная скала. На верхней площадке высокого столпа воздвигнуты две церкви. Известный грузинский историк Вахушти, упоминая о столпе, пишет, что подняться на него невозможно.*

*В 1944 г., вместе с группой альпинистов, мы смогли подняться на вершину столпа.*

*Языческий характер легенд о Кацхском столпе позволяет предположить, что эта скала была культовым местом в дохристианскую эпоху. Его название „животворящий столп" относится к ранне-христианскому времени, название же „столп Симеона Столпника" связано с сирийскими столпниками.*

*Художественный и исторический анализ церквей, находящихся на вершине столпа, показывает, что эти памятники воздвигнуты в V-VI вв., что несомненно, свидетельствует о существовании и развитии столпничества в Грузии в V-VI вв. Это еще одно доказательство тесной культурной связи Грузии со странами христианского Востока.*

*Известные в Грузии под названием „Свети" (Столп) примеры: Убисский (1141 г.) и Мартвильский (начало XI в.) относятся к зрелому средневековью. Очевидно, они предназначались для отшельнического жилья, а не для—„убиения плоти", как в ранее христианское время; у этих столпов совершенно иной архитектурный облик и построение.*

*Б. Г. ГИОРГАДЗЕ*
Библиограф библиотеки
Института истории им. И. Джавахишвили

## Альбом неопубликованных рисунков итальянского миссионера Кристефоро Кастелля о Грузии.

*Итальянский миссионер XVII столетия, Кристофоро Кастелли, проживший 26 лет в Грузии, составил пространный альбом с*

*надписями и реляцию с иллюстрациями, в котором описана повседневная жизнь восточной и западной Грузии того периода, зарисованы типы и сцены из разных отраслей народного хозяйства, разносторонние обычаи многих племен и народов Кавказа: одежда и головной убор мужчины и женщины, сельскохозяйственное и военное оружие и т. д.*

*И. Г. ГОМЕЛАУРИ*
Кандидат искусствоведения

## Архитектурный памятник в сел. Ховле

*Статья посвящена ныне почти полностью разрушенному архитектурному памятнику, церкви св. Федора в сел. Ховле (восточная Грузия, Каспский район), о первоначальном облике которой теперь можно судить лишь по фото-снимкам, сделанным в 1914 г.*

*Памятник представляет собой зальную церковь с южным приделом по всей длине здания. Изучение сохранившихся старых фото показывает, что эти части здания неодновременны.*

*Такие четкие стилистические признаки, как форма углов карниза с горизонтальными заворотами, прием образования оконного проема из специально подобранных камней естественной формы, смешанная кладка стены из тесанных блоков, рванного камня, булыги, дают основание отнести возведение самой церкви к VIII-X вв.*

*Хронологически другим слоем является южный придел. Характер кладки стены из тесанного камня, профиль и орнаментация карниза, характер декора входа, указывают на XIII-XIV вв. К этому же времени, повидимому, должен относиться и украшенный резьбой столбик от алтарной преграды, который в 1914 г. еще лежал в церкви.*

*В связи с выводами, основанными на анализе архитектуры и декора памятника, большой интерес представляют не дошедшие до нас надписи, которые, повидимому, находились на приделе. (надписи изданы Л. Мусхелишвили по материалам, переданным ему акад. И. Джавахишвили). По именам исторических лиц, упомянутых в надписях, их можно отнести к началу XIV в.*

*Памятник архитектуры в сел. Ховле дает дополнительный материал и обобщает наше представление о двух хронологически разных этапах развития средневековой архитектуры Грузии.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

გივი გაფრინდაშვილი—ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები. . . . . . . . . . . . . . . . . . 3
Г. М. Гаприндашвили—Пещеры исторической Джавахетии

შალვა ამირანაშვილი—ვარძიის მთავარი ტაძრის კედლის მოხატულობა . . . . . . . . . 10
Ш. Я. Амиранашвили—Стенная роспись главного храма в Вардзии

შერმადინ ონიანი—მივხედოთ ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს . . . . . . . . . . 14
Ш. С. Ониани—Оберегать надписи Ванского пещерного монастыря

დავით ხახუტაიშვილი—უფლისციხე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 19
Д. А. Хахутайшвили—Уплисцихе

გურამ აბრამიშვილი, კოტე ვაჩეიშვილი—უფლისციხის „მიუვალი“ კომპლექსი . . . . . . . . 28
Г. В. Абрамишвили, К. А. Вачейшвили—Уплисцихский „Миували“ (труднодоступный) комплекс

კოტე ჯავრიშვილი—მიწისქვეშა ძეგლთა სამყარო . . . . . . . . . . . . . . . . 35
К. В. Джавришвили—Мир подземных памятников

ვახტანგ დოლიძე—დავით-გარეჯის გამოქვაბულთა კომპლექსი . . . . . . . . . . . . . . 42
В. О. Долидзе—Пещерный Комплекс Давид-Гареджи

გაიანე ალიბეგაშვილი, ნელი ვოლსკაია—დავით-გარეჯის მოხატულობა . . . . . . . . . 47
Г. В. Алибегашвили, Н. И. Вольская—Роспись Давид-Гареджи

ვახტანგ ცინცაძე—კაცხის სვეტი—V-VI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი . . . . . . 52
В. Г. Цинцадзе—„Кацхис свети“—памятник грузинского зодчества V-VI вв.

ბექან გიორგაძე—XVII ს. იტალიელი მისიონერის, დონ ქრისტაფორო კასტელის გამოუქვეყნებელი ნახატების ალბომი საქართველოს შესახებ . . . . . . . . . . . . . . 56
Б. Г. Гиоргадзе—Альбом неопубликованных рисунков итальянского миссионера Кристафоро Кастелля о Грузии.

ინა გომელაური—ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ხოვლეში . . . . . . . . . . . . . . 60
И. Г. Гомелаури—Архитектурный памятник в сел. Ховле

გვწერენ ზონისა და რაიონის ინსპექტორები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 75
Сообщают инспектора зон и районов

ქ რ ო ნ ი კ ა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 81
Х р о н и к а

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ფ ო ს ტ ა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 85
Р е д а к ц и о н н а я п о ч т а

К р а т к о е с о д е р ж а н и е . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 86

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Грузинское общество охраны памятников культуры

Серия «Памятники материальной культуры»
Выходит на общественных началах

# ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Сборник третий

(На грузинском языке)

სერიის რედაქტორი ႧႤႬႢႨႦ ႡႳႠႹႨႻႤ
რედაქტორი ႬႨႩႭ ႩႤႺႾႭႥႤႪႨ

ყდა ელგუჯა ამაშუკელისა
ტექრედაქტორი გ. ამაშუკელი
კორექტორი ი. წიკლაური

ფერადი ფოტო-ილუსტრაციები დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში

გადაეცა წარმოებას 5|X 64 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23|XII 64 წ.
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 9,93 ანაწყობის ზომა 7x11,5
ქაღალდის ზომა 70x108 1|16

ფასი 1 მან. 44 კაპ.
Цена 1 руб. 44 коп.

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3
შეკვეთა 3236 უე 12845 ტირაჟი 1500

# ქართული არქიტექტურის ძეგლები




ავტორი ვ. ცინცაძე (ხელოვნების ინსტიტუტი) რუკა შედგენილია 1964 წელს

მასშტაბი 1:1 500 000

ეროვნული
ბიბლიოთეკა